

დავით დუფი ★ აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ

დავით დავი

აქედან ყველანი სოცსლავი გაველთ



დავით დეფი © 2012

აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ © 2012
პოეზია

David Dephy © 2012

We all will get out from here alive © 2012

Poetry

www.dephy.ge

ნავიგატორი:

ლევან ერისთავი

ფოტო: ლევან კაკაბაძე

დიზაინი: ანო კიკაჩიშვილი

ყველა უფლება დაცულია © 2012

გამომცემლობა წიგნები ვაკეში www.booksin.ge



წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით



ISBN 978-9941-0-46-28-5

აქედან ყველანი სოცსლები გაველთ

სარჩევი

ნიშანი.....	21
დროის დარდი.....	23
გამარჯობა სიჩუმე ჩემო ძველო მეგობარო.....	25
შენ მეუბნები.....	27
ერთხელ შეხება.....	29
ცვარი მთა მინდორთა.....	32
ვნება სიტყვების მას ვერ აგისსნი.....	33
ჰმ.....	34
აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ.....	36
ფიქრი წვიმისას.....	38
შუაგზა.....	41
ვინ იფიქრებდა.....	42
მინად.....	44
ორი დღე.....	46
უსიერ ტყეში.....	48
რალაც უცანური.....	50
დღეს სწორედ ის დღეა.....	52
ჩვენ ერთმანეთში.....	54
რა დრო გასულა.....	57
მე ვარ სამშობლო.....	60
ყველგან გაშლილი თითქოს არაფერი.....	62
ვიდექი და ვუყურებდი.....	64
რა?.....	67
მოსე მივიდა ქანაანს.....	69

ამომიყვანე	72
გეტყოდი	75
ჩვენ სამს შორის.....	77
მუნჯებს და ყრუებს ერთი ენა გვაქვს	79
ახალგამოღვიძებულზე.....	81
ჩვენ ვქრებით	82
მეუცხოება.....	85
დილით საუზმეზე	87
თავს ისევ დავეუსვი იგივე კითხვა.....	89
გარკვეულ დრომდე.....	90
ანგელოზები ანგელოზები.....	93
მთავრდება იწყება გრძელდება	95
ნაპირი	96
წმინდანები	100
დინება მშვიდია.....	101
სისხლში და ძვალში.....	104
ლამე იმ მნათობთა.....	106
აქ სული დამრჩა.....	108
ბევრი დრო გავიდა	110
ჩემი არაფერია.....	111
მერე იკითხეთ	113
ტალღა და სუნთქვები.....	115
გაიზიარე.....	117
ხელი მოხვიე.....	119
აქ სამოთხეა თითქოს ჩვენ ახლოს.....	120
როცა დრო გავა	121

სიბნელეში	123
რთველია ჩემში	125
სტივ ჯობს ეძღვნება.....	126
თვალის მოძრაობა სიზმარში სწრაფი	127
ცხოვრება კარგად შეიძლება არ გესმის.....	129
სურნელება შემცვლის როგორც.....	130
გაითრთოლებს ზოგჯერ ფიქრი	132
სართული.....	133
დამთავრდა რთველი.....	134
დაიწყო სპექტაკლი... ..	135
გადასასვლელზე გადავდივარ... ..	136
გადამარჩინა... ..	137
დროს თუ მოძებნი... ..	138
სიზმარში და სიზმრიდან... ..	139
სურნელი მიწის... ..	140
ჯერ იქ ბინდია... ..	141
მოგონება... ..	142
დრო თითქოს ჩერდება... ..	143
ლექსები გიმღერეს... ..	144
დალამდა. გათენდა... ..	145
ყვავები ხიდეზზე... ..	146
ისე გაკოცებ... ..	147
დასასრულამდე ბევრი გვიკლია... ..	148
დავიბადე თავიდან... ..	149
შენ შენს სახელზე... ..	150
წვეთები წვეთებს... ..	151

ყვავილი ქოთანში... ..	152
ის ქალი მანდომებს... ..	153
ყველა სიახლეს საიდუმლო აქვს... ..	154
როცა კი ვხედავ... ..	155
ნუ ველოდები	156
ჩვენ ვეძებთ ერთმანეთს.....	158
დღემდია ჩემში.....	160
ჩვენ ერთმანეთის არასდროს გვჯერა	161
ქუჩაში	162
15	164
ვერავინ იცნობს მთელ ჩვენ მსოფლიოს	165
იქითკენ სიჩუმე.....	166
აქ გამოიძარებს.....	167
თიხის ქიქაში	168
ჯერ.....	169
ნოემბრის ვერცხლი.....	170
ვდგავართ საზღვარზე.....	171
თვალის გახელა დახუჭვისას	173
რომელსაც	175
11.11.11. – 11:11	176
ახლა მოეშვი	177
შუქთა მამა.....	179
ორდ	181
შენთვის კარგი ამბავი მაქვს	183
ვისაც გეკუთვნით იცით ვისაც	184
ჩემი წერილი სომერსეტ მოემს	186

დაიჯერებდი.....	188
ხმა სიხარულის	190
ჩვენ მოვესწართ.....	191
მხიბლავს შეცნობა თავის.....	193
შუქმა განსაზღვრა	195
მე გიშვებ ნადი მშვიდობით	197
სიცილი მესმის.....	198
შენ არ ხარ ღვთის მონა.....	200
რამდენი სიტყვაა უთქმელი	202
ჩემმა გონებამ ღამე გაათენა	204
შავი.....	206
მე ვერ გადმოგცემ.....	208
ცხრამეტი იანვარი.....	210
დღეს ხელისგულზე.....	211
ის წამიც მოვა და... ..	212
საათს ვუყურებ... ..	213
სიტყვებად ვცოცხლობთ სიტყვებად ვკვდებით	214
როცა ცხოვრების სხვა მხარეს ვიქნებით.....	216
ამქვეყნად	218
მესტუმრე. ჩაი დავლიოთ. ახალ ლექსებს... ..	220
ღამეა... ..	221
გემები იქით.....	222
გავუჩინარდი.....	224
აქედან გაგიყვან.....	226
იმედნი გადიან.....	228
ჩვენი წარმოდგენით.....	230

ეგრევე გაგიცანი... ..	231
მგვანება.....	232
ყოველი წამით.....	234
Like Share	236
ქრისტიანები ჩემში სატანას ხედავენ... ..	239
სიგნალი SOS	240
გეიმედები.....	242
დრო აღუღდა	244
სიჩუმე მიჰყვეს	246
არსად არასდროს.....	248
თავზე ლაპარაკს დიდ დროს არ ვუთმობ... ..	249
გმირები გზებზე.....	250
დავითის გახლავართ ტყუპი ძმა დეფი.....	251
სულთან... ..	253
შენ ისეთი ხარ როგორიც ხარ	254
წარმოსახვათა არქიტექტურა... ..	256
მე ჩემ მტერს ვიცნობ. მადლობა მას... ..	258
მარგალიტები ერთმანეთს.....	259
უდაბნო სიზმრად.....	261
ზოგჯერ გაიფიქრებ „ჩემი ადგილი არსად არ არის„... ..	262
უკან მაბრუნებს სიჩუმეში.....	263
ერთად	265
სიმალღებებში სინმინდებში	267
წიგნით მომაგნებ	269
ასე მოხდება.....	272
პოეზია შესაქმე.....	273

ნეტავ კი გამყვეს.....	274
ახლა მთავარია ჭკუიდან არ გადავიდე..	276
გახდი ვინც იყავი დაბადებისას. შენი ბავშვობისას...	277
ერთმანეთისკენ და სამოთხისკენ.....	278
ჩემთვის საძულველი.....	279
ზოგჯერ სიმარტოვე და ბედნიერი ვარ...	280
უკვე სამუდამოდ	281
შემოინერა	282
იფანტებიან	283
შუქნი დადგნენ ჩემ გარშემო...	284
მშვიდობით რუბი თიუსდელი.....	286
ნიგნების თაროს	288
სიცოცხლის ნიშანი.....	289
ღია კარი ვარ ღია გულთათვის	290
იცი.....	291
ძველ ნივთებთან.....	292
სული ბაღნარად.....	294
ლილეო, ლაი ლა, ლილე..	296
Venus Project	297
12	299

„დავით დეფი დირიჟორობდა ლეგენდარულ კერპს ლორი ანდერსონს... ამალღებული ალქიმი... პოეტის ხმა უსუფთავესად გაისმის და ყველგანშემღწევი... ეს ლექსი „21 რიტუალური კოცნა“ ჩინებულის მიღმა... მისი ნაწამოებები, უნიკალური ქართული ენით, დასავლური კულტურის გავლენასაც ირეკლავს და ორგანულად ითავსებს პერფომანსის ხელოვნებას, მუსიკას, პოეზიასა და რომანს. დეფის სიყვარული ენისადმი და რითმისადმი გადამღებია.“

**ჯოი სტოკი. უაილდ რივერ რევიუ ნიუ იორკ.
მთავარი ედიტორი. ვრცელი მიმოხილვა**

„დეფის პოეზია, ო ეს ბრწყინვალეა... ეს უმშვენიერესია.“

ლორი ანდერსონი

„დიდებული ცოცხალი წარმოდგენა, მეორე კანი. ახალი სამყაროს პოეტები... განსაცვიფრებელი... ჩვენი დროის მნიშვნელოვანი და ინდივიდუალური ხმები... თვალისმომჭრელია...“

ნიუ იორკ თაიმს ბუქ რევიუ

„დასასრულამდე. 2012 წლის ევროპის საუკეთესო ნანარმოები. დადგენილი ალექსანდრე ჰემონის მიერ. დეფი სიკვდილზე განსჯისას, მოკლე პარაგრაფებს ურთავს, რომლებიც არაჩვეულებრივი გამომხატველობით აღწერენ ტყვიების მოახლოებას. მისი წინადადებები ლაკონურია და ფაქტიურად თავისუფალია მეტაფორებისა თუ შედარებებისაგან. ისინი, სიკვდილის შესახებ, აქამდე არსებულ ყველა გრანდიოზულ მოსაზრებასა და ფორმულირების გვერდით, სათუთად თავსდებიან.

სიკვდილის დიდებულება, როგორც პიროვნებისა, დეფის ნანარმოებში, უნახესად ესაზღვრება, შემტვევი ძალადობის, მექანიკურ, განმარტებით აღწერილობას. ეს ნანარმოები, ამ ერთი უცნობი მეომრის, სიკვდილის რომანტიზაციას უარყოფს და არც ბორხესის ლიტერატურულ აბსტრაქციაში ვარდება. დეფის ნანარმოები, თავისი ფორმით და შინაარსით, შესამჩნევად სხვაა ვიდრე ბორხესის ნანარმოები და აქვე, სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბორხესის გვერდით, მასთან შედარებისას, დეფი იგებს.

ეს მოთხრობა, მტაცებლობისა და სიკვდილის მექანიზმის და მათი მიზეზების წინააღმდეგაა მიმართული. სიკვდილი, როგორც ყველაფრის დასასრული აქ არ განიხილება. პირიქით, ეს იმედით სავსე ნანარმოებია, ნუგეშისა და სიცოცხლის შესახებ.“

დემიენ კელეჰერი. ლითერარი რევიუ ენდ ესეის. ვრცელი მიმოხილვა

„დეფი საოცრად ღირშესანიშნავი პოეტია და დიდი პერფომერი“.

ლასლო იაკაბ ორსოსი. პენ უორლდ ვოისეს. ნიუ იორკი

„დეფიწარმოსახვებს ოსტატურად აგებს. ის აშენებს. მისი მოთხრობა „სკამი“ საშინელებასა და მოჯადოებას იკვლევს, რომელსაც ნებისმიერი შემოქმედი, თავისი ნიჭის მიმართ გრძნობს. ვფიქრობ ასეთი მიდგომა ამართლებს, როცა გენიალური არტისტი, სათანადოდ გვინდა ავამაღლოთ. მისი სისუსტეები უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ, ხოლო წარმატებები დიდებულად. გთხოვთ, თუ მის ამ მოთხრობას, სადმე წააწყდებით, რომელიმე ლიტერატურულ ჟურნალში ან მოკლე მოთხრობების კრებულში, ეგრევე სტაცეთ ხელი.“

**დემიენ კელეჰერი. ლითერარი რევიუ
ენდ ესეის. ვრცელი მიმოხილვა**

„მისი არტისტული სამყარო ძალიან მდიდარია. დავით დეფი ცნობილია, როგორც სიტყვის ოსტატი. მისი ნაწარმოებები ჩემი აზრით უკიდურესად უნიკალურია და მიმზიდველი. ის გლამურულ ავტორთან ერთად ახალი სამყაროს პოეტია, რადგან მის პოეზიასა და პროზაში, ვიზიონერულ ხილვებთან და ფილოსოფიურ ნიუანსებთან, წერის დახვეწილი და დელიკატური სტილი, ზედმინევენიითი ორგანულიობითაა შერწყმული. დეფი ჩვენი დროის ექსტრაორდინალურად ინტელექტუალური პოეტი და რომანისტი, რომელსაც წილად ხვდა დიდი ლიტერატურული, საზოგადოებრივი და კომერციული წარმატება.“

**გაგა ლომიძე. საქართველოს შოთა რუსთაველის
სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი**

„დავით დეფი საქართველოდან, ჩვენ წინაშე წარმოაჩინეს, 2012 წლის, ევროპის საუკეთესო ნაწარმოებს, „დასასრულამდე“. ესაა სიკვდილის წინ მყოფი ადამიანის უკანასკნელ წამი, შენელებული წამი დახვრეტის წინ, როცა ტყვეები მთავარი გმირისკენ ზანტად მიიწევენ და სიკვდილი, მასთან საუბარში გაამხელს, თუ ომის დროს რატომ არავინ იღებს პასუხისმგებლობას გარდა თვითონ სიკვდილისა... და, რომ ომი გაამართლებს ნებისმიერის სიკვდილს.“

**ანნა კლარკი. ამერიქენ ვიდეო ბუქს რევიუ.
ვრცელი მიმოხილვა**

„ღია სივრცე, მაკრო და მიკროკოსმოსი და ყოველივე ეს, ყველაფრის შემდეგ თანამედროვე პოეზიაში, ყველაზე უკეთესად წარმოაჩინა დავით დეფიმ თავისი ლექსით „21 რიტუალური კოცნა“. მის სიტყვებსა და წინადადებებში აბსოლუტურად ყველაფერია ნათქვამი.“

ნიუ იორკ იოგა სითი რევიუ. ვრცელი მიმოხილვა

„მსურს მაღლობა ვუთხრა დავით დეფის, ყოველი სტუდენტისა და სტუმარის სახელით, ვინც მისი პოეზიის ცოცხალ წამროდგენას დაესწრო კონსერვატორიის კამერულ დარბაზში. ეს მართლაც განუმეორებელი და უნიკალური რამ იყო. ყოველი იქმყოფი, თვალნათლივ ხედავდა და გრძნობდა მისი პოეზიის ინოვაციურობას, მაგიურობასა და მაგნეტიზმს და მის უნატიფეს ფილოსოფიას.“

**კატო ვერხვიაშვილი. თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორია. მიმოხილვა**

„დასასრულამდე. 2012 წლის ევროპის საუკეთესო ნაწარმოები. დადგენილი ალექსანდრე ჰემონის მიერ... მაშ ასე, დეფი. ის ფინალურ მომენტებს შეგნებულად ანელებს, როდესაც მსროლელთა რაზმი გაისვრის და სუნთქვა გეკვრება კითხვისას, სანამ ტყვიები, გმირის მკერდსა და თავში შედის. სანამ ის კვდება. დრო იზღაზნება და ნელდება... ჩვენ რას გავიგებთ დასასრულამდე? გავიგებთ კი უმთავრესს ჭეშმარიტებას? თუ ეს ახალი ჭეშმარიტებაა? იქნებ გამოცხადება? თუ ეს ისაა რაც ჩვენ უკვე ვიცით ან აქამდე უნდა გვცოდნოდა, ან ვიცოდით და ვუარყავით? თუ ყოველი ჩვენგანი სწავლობს ინდივიდუალურად საჭირო ჭეშმარიტებას?“

**თრისიქსფაივსთორი უორდ პრეს რევიუ.
ნიუ იორკი. ვრცელი მიმოხილვა**

„მადლობა შენ, შენი ნაწარმოებებისთვის, შენი ხმისთვის, შენი მუსიკისთვის.“

**იუზეფ კომუნიაკა. პულიცერის პრემიის
ლაურეატი პოეზიაში. ნიუ იორკი**

„დავით დეფი საკულტო პოეტია და ნოვატორი რომანისტი, საქართველოს ახალი თაობებისთვის და მთლიანად თანამედროვე კულტურისთვის. ის საყოველთაოდ ცნობილი სლოგანის STOP RUSSIA ავტორიცაა.“

სკოტ მორისი – ო შილინგს რევიუ. ვრცელი მიმოხილვა

„მისი ნაწარმოებები კრიტიკის მიერ აღიარებული იქნა როგორც ნოვატორული იდეებითა და უახლესი ჟღერადობით სავსე ნამუშევრები.“

დალქი არქაივ პრეს. აშშ დიდი ბრიტანეთი

„დავით დეფის რომანი „ბალები და ეშმაკთა სამკვიდრო“ 2010 წელს გამოიცა საქართველოში. ესაა რომანი-მანიფესტი. დრამა. ნიგნი განცდებითა და იდუმალებით. უცნაური ნათება მოზარდი ბიჭების თვალწინ. ქალწულის პირველი და საბედისწერო სიყვარული და ბოშების მიერ გამხელილი დიდი საიდუმლო. საქართველოში, როგორც საკაცობრიო ბალნარში, ძრწოლვით, შოკითა და სიძულვილით შემოსული აგვისტოს ომი. აქ ყველაფერი განსაკუთრებულია. სიმშვიდისა და ბედნიერების ყოველნამიერი შეგრძნება. ომის დოკუმენტური სიზუსტით გააზრება და ქართველი სამხედროების სიმამაცე. ასმეთაურის გიორგი სარდლიშვილისა და სხვა ასმეთაურთა და ჯარისკაცთა ბედი და ტრაგიკული სიყვარული.“

**პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი. რომულდო დელ ბიანკო
ფაუნდებიშენ ევროპის უსაფრთხოება და კავკასია.
ვრცელი მიმოხილვა**

„მის ნაწარმოებებში რაღაც ძალზე განსაკუთრებული ხდება. ეს უახლესი მოვლენაა თანამედროვე კულტურაში.“

კაკი კენჭოშვილი. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყველა დიდი მწერალი, ყველაფრის მიუხედავად დიდი მკითხველია. დავით დეფი ამას ჭეშმარიტად წარმოაჩენს. მისი ნაწარმოებები, პროზა და პოეზია, არა მხოლოდ მის ლიტერატურულ სიძლიერეს გვიჩვენებს, არამედ სამყაროს ძალზედ გრძნობად ხილვებსაც.“

**ფაბიო გუიმარაეს ბენსოუსენი. ბიბლიოთეკა
 დო ფაბიო რევიუ**

„პოეტი საქართველოდან. ვინც ვირტუოზულად გვანახებს ცხოვრებისეულ განცდებს. წარსულის, აწმყოსა და მომავალის განცდებსა და გააზრებას. ვინც იცის რა არის ტანჯვაც და სიყვარულიც, წარმტებაც და მარცხიც, შექმნაც და გაზიარებაც. ბატონი დავით დეფი. ოსტატი. ნავიგატორი. უსმინეთ მას.“

**კახა ჯელია. მკვლევარი, გეოგრაფი. ამოუცნობი
 კავკასია რევიუ. მიმოხილვა**

„მე განსაკუთრებული პატივისცემით ვუყურებ დავით დეფის, რომელიც ნიუ იორკში, ლედიგ ჰაუსში, მწერალთა რეზიდენციაში გავიცანი და დავმეგობრდით. ის, ასევე მსოფლიო პენ ფესტივალზე მონაწილეობდა და პოეზიის ცოცხალი წარმოდგენის დროს, მისთვის აკომპონიმენტს, ვიოლინოთი, ლორი ანდერსონი აკეთებდა. დეფის მოთხრობა ალექსანდრე ჰემონმა ევროპის საუკეთესო ნაწარმოებად აღიარა და 2012 წლის გამოცემაში შეიტანა. დეფის ნაწარმოები ძლიერი და სიურრეალისტურიც კია.“

ანდრეა სკრიმა. იუროფიან ლითერარი რევიუ

„ინვიან და ელვარებენ ზმნები, ინტელექტთან ერთად... სტილისტურად ენერგიული, ემოციურად მოქმედი.“

ფილადელფია ინქუაირერ

„ექსტრაორდინალური და მისტიური.“

პოეთრი

„უმდიდრესი და მოელვარე ნიჭიერება.“

ნიუ იორკ ბუქფორუმ

ნიშანი

გაჩნდა ახალი იდეა.
როცა დრო გავა გარდავისახებით.
ჩვენ სიყვარულით ვიცნობთ ერთმანეთს
და გარდასახვის დღენიც მიდიან,
სიზმრად ერთმანეთს თვალი შევავლეთ,

ჩვენ დავინახეთ, ერთმანეთს ვგავართ,
როგორც ერთმანეთს, ისე სულ ყველას,
ჩვენ ერთნაირნი ნამდვილად არ ვართ,
მაგრამ ერთნი ვართ, რადგან გვწყურდება,

ყოველთვის წყალი, წყალი წვეთი წვეთ,
რადგან გვიყვარდება და მივისწრაფით,
რადგან ერთმანეთი სიზმრად შევნიშნეთ
ღამის დარჩენით და დილის წასვლით,

ჩვენ არ ვიცვლებით ახლა აქყოფნით,
ჩვენ შევიცვლებით როცა დრო მოვა,
სუნთქვა არ გყოფნის ერთად სამყოფი
თითქოს სამყაროც გაიყო ორად,

მაგრამ დუალიზმით მე არ ვიხიბლები,
 არც მიმაჩნია რომ ეს სწორეა,
 ხიდები გავდეთ, გრძელი ხიდები,
 ყველა დინება ისევ დროს მიაქვს,

ნეტავ ვიცოდე საით მიდიან,
 იდეალები, გარდასახვანი,
 გაჩნდა ახალი, ახალი იდეა,
 მე ის ერთ ნამში გავასამმაგე,

დიდი სიჩუმე სიტყვით შევამკე,
 ჩვენი სიყვარულიც ნიშანი გახდება
 და ჩვენ ამ ნიშნით ვიცნობთ ერთმანეთს
 სამყაროს სახედ, ღმერთის სახებად.

13 ივლისი 2011

დროის დარდი

„ოღონდ ილაპარაკონ“ – ამ სიტყვების მე არ მჯერა.
 ვინ უნდა ილაპარაკოს? რაზე? რატომ?
 სულ ნუ ილაპარაკებენ, მე ამაზე აღარ ვდარდობ,
 შენ ხომ იცი მე ლაპარაკს მირჩევნია გადარჩენა,

გადარჩენა ჩემთვის ნიშნავს გარდასახვას
 უკეთესში, რადგან უკეთესი ყოველთვის
 უსასრულოდ ცოცხალია,
 თუ ვერ მიცნობ მოგცემ ნიშანს,
 ხარი წითელს უკეთ ერჩის,
 შენი დროც ხან ჩემ დროს ერთვის
 ის წამებიც დროს თან მიაქვს

სულ რომ სადღაც ქრებოდნენ და ახლა კიდევ
 გახდნენ ერთნი, წარსულის და მომავალის
 შესაერთთან გახდნენ ანმყო,
 განამდვილდნენ დღეიდან და სინამდვილეს
 ეტრფის ღმერთიც,
 სიზმარიც და სიცხადეც, სწორედ ამ დრომ
 გადააწყო,

ხოლო თვითონ დრო კი გახდა,
 ჩემთვის როგორც დარდი, მართლა,

გამიმართლა ალბათ რადგან ცოცხალი
 ვარ თუმცა როგორ,
 სიმღერას ვცნობ მხოლოდ სამხმად,
 სურნელება დგას შენ გვერდით,
 სურნელება გავს შენ სახეს,
 დამშვიდებულ ნამდვილ ოქროს,

ვის რა უნდა ის უთქვამს, მე რა, მე არ მადარდებს,
 ჩემი დარდი მხოლოდ დროა, დრო რომელიც მეკუთვნის
 და შენ კოცნად და შენ სუნთქვად
 მე რად ვხედავ სხვა დარდებს,
 დარდი ისევ წამებს მიაქვთ, მთელი დროის საკუთრივ,

საკუთრების უფლება კი ყველამ ვიცით, ყველასა გვაქვს,
 მე კი არ ვფლობ არაფერს, მხოლოდ დროის, დროის გარდა,
 იმის გარდა კიდევ მოგცემ სხვა სამკაულს სხვა ყელსაბამს,
 სურნელებას ვგრძნობ შენს ახლოს და
 სამოთხის მგონი კართან.

15 ივლისი 2011

გამარჯობა სიჩუმე ჩემო ძველო მეგობარო

გამარჯობა სიჩუმე ჩემო ძველო მეგობარო.
ჩემი ტვინის, გულის გავლით, მთელი ჩემი
თავის გავლით, დარდი დამდის და მე
ვდარდობ, ჩემზე, შენზე, ჩვენზე, მათზე,
არავიზე თითქოს, მაგრამ, ვხედავ ზურგით

როგორ ვათრევთ ჩვენ ჩვენ მიწას ფეხის სადგამს,
ვხედავ, როგორ მიმოვდივართ, არსად თითქოს,
არსაითკენ, სინათლენი სად არიან, წმინდანებიც
სად წავიდნენ, მე არ მითქვამს შენთვის, დარდი,
ჩემი დიდი ძმა რომ გახდა, სიჩუმე ხარ, სიტყვად დამდე

შუაგულში, გზად შენ სახლთან, შენი სახლი ყველგანაა,
სადაც ბგერა ქრება ბევრგან, მხრებით მიწა ბევრს გადააქვს
ნინ და უკან, შენ რა გერქვა, ადრე ვიცი, ადრეც გცნობდი,
ჩვენ ხომ ერთად დავიბადეთ, გავხდით ერთმანეთის მცოდნე,
დარდებს, დარდებს, ჰო ჩემ დარდებს
ზოგჯერ სიტყვებს შენთან

ვატან, რადგან შენი მსგავსნი გახდნენ,
ჩრდილოეთი ჩრდილებს
ათასს სიცხედ უდგამს ფსკერზე სამხრეთს,
შენ იცვლები, მე მაინც

გცნობ, მე ყველგან გცნობ, შენი მესმის,
ჩემი ძმებიც იცვლებიან
რჩება საუკუნეების ძვლები, რჩება აქ და
მათაც ასე, მინა ფარავს,
ალბათ ჯობდა, სიტყვად შენთან განმათავსე,
ძმად ჩემო გამარჯობა.

16 ივლისი 2011

შენ მეუბნები

შენ მეუბნები, – განაგრძე. განაგრძე. – შენ მეუბნები,
– არ გაჩერდე. განაგრძე. – შენ მეუბნები, – მიდი
არ გაჩერდე, რა იყო მანამდე, მითხარი მანამდე
აქ რა ხდებოდა, შენ სხვა გიყვარდა? აქ რა ხდებოდა

სხვასთან იყავი? – აქ რა ხდებოდა? ნუთუ იმ ქალთა
სახელებს გეტყვი და გულთმისანი, მე თუ გგონივარ,
გამომიცანი, როგორ ვცხოვრობ ან როგორ ვიცხოვრებ,
ასაიდუმლებენ ნაბიჯებს გზანი, სიტყვიდან იღებს

თანხმოვანს, ხმოვნებს, ყოველი მკითხველი ჩემი ბედისა,
ჩემი ბედისწერის ყოველი მაცნე, განმარტოება მე კი მეღირსა,
მაგრამ მარტო მას არ დავაცადე,

დარჩენილიყო დილამდე ჩემთან,
შენ მეუბნები, – გინდა დღეს დავრჩე? –
სიცხადე შენი, ჩემ სიზმარს

ხედა, სიზმრად გავხვეტავ სამყაროს ნარჩენს.

შენ მეუბნები, –
ასე ხომ მოგწონს? მითხარი შენთვის რა გავაკეთო,
– და ისევ ელი
დღე ღამე ქორწილს და ისევ ელი კართან საბედოს.
რჩები, შენ მართლაც მთელი დღით რჩები
და მიმეორებ, – მიდი

განაგრძე, – თავის შექცევით და თავის რჩენით
გინდა იცოდე რა იყო მანამდე. მანამდე იყო თითქმის იგივე,
ვისაც ვეტროფოდი ვუფენდი მძივებს,
ცხადიც სიზმართან გავაიგივე
და დილით რადგან მარტო ვიღვიძებ...
სამყარო მესმის როგორც იგავი.

16 ივლისი 2011

ერთხელ შეხება

დასანანია... როგორ ვერ შევხვდით, ამდენი ხანი
ვერ შევხვდით ვერსად. დასანანია... დროც უცებ
გავიდა, ხელის შეხების თითქოს ხმა მესმა. ხელის
შეხების... და გაღიმების, ჩუმი ხმოვანება, ასე იშვიათი,

როგორ ვერ შევხვდით, ასე დავიღლებით,
უერთმანეთოთ... ასე ვიზიდავდით, მაინც ერთმანეთს,
შორი ქვეყნიებიდან, შორი სამყარო ზოგჯერ ხომ ახლოა,
ხან ღამეებიც დღეებს ეყრებიან, ხან ერთდებიან,

ჩვენ კი გვახსოვდა, თითქოს ერთმანეთი, სადღაც
შევიცანით, სად იყო ადგილი ასეთი შეცნობის,
სიზმარი იყო, ან იქნებ არც კი, ან თუნდაც ეს წამი
რატომ მეცნობა? დეჟავიუ გაქვსო, ვილაცა მეტყვის,

მე ჟამი დამიდგა შენი სიახლოვის, მაგრამ ვერ გხედავ
ჩემდა მახლობლად და ინტერნეტიც ციფრებს
მიაქროლებს. მე ინტერნეტით გრძნობებს ვიმეტებდი,
ზოგჯერ ვიმატებდი უცხო მეგობრებს, რაღაც ზღვაოსანი

თითქოს სირენები, ზღაპარს მაგონებენ და დროც მიაგორებს
ჩვენს დედამიწას, ყველა ჩვენ ნატვრას, ასე დაატარებს
ირგვლივ ვარსკვლავეთის, მომდევნო წამი უწინდელს არ გავს,
ხან კი ისე გავს, ვერც კი ვანსხვავებდი,

ვერასდროს ვერცერთს,

ვერანაირ წამს, ვერანაირ ხმას, ხმას მოგონების, დასანანია
ხან არაფრის მწამს, ხან თავის მიკვირს,

მართლაც როგორ ებმის,

ყოველი სიტყვა ყოველ საქციელს, ყოველი სუნთქვა მომდევნო
სუნთქვას, შუქი დავღვარე ვებრძვი მაქციებს,

ვარსკვლავს ნათება ხომ

ლამე უყვარს. დასანანია ვერსად ვერ შევხვდით

და ახლა მივდივართ

სხავდასხვა მხარეს, ერთხელ ვიგრძენი შენი შეხება,

ის ერთი წამი

მწვავს და მახარებს. შენ გალიმებას

პეშვით დავლევდი, მე გალიმების

თითქოს ხმა მესმა, ერთმანეთს ზოგჯერ,

ზოგი გამვლელი, ველარ

შეხვედბა ვერასდროს ვერსად. ვერსად ვერასდროს ვერასდროს
ვერსად ვერაფერს ვამგვანებ თრთოლვას შეხების,
სამყარო იცვლება
იცვლება ერთხმად, სამყარო იცვლება
ზაფხულში თოვს, ჩვენ კი
ერთმანეთს ისევ ვერ ვხვდებით დასანანია,
დასანანია, უცნაურია, ჰო.

18 ივლისი 2011

ცვარი მთა მინდორთა

მეოთხე დღეა ზედიზედ, მარჯვენა თვალი მითამაშებს.
 მეოთხე დღეა ზედიზედ, სულ ლურჯ სიზმრებს ვხედავ.
 და მგონია ეს ოთხი დღე თითქოს ვდგავარ ღვთის წინაშე
 და მგონია გამიმართლებს, გამიმართლებს ერთხელაც,

ღმერთი მეტყვის: – ვა დეეფ, როგორა ხარ, რას შვრები?

– რავი ვარ რა, შენ რას შვრები, შენკენ რა ამბებია?

ღმერთი მეტყვის: – არაფერი, ახლა მყავდნენ ბავშვები,

ვითამაშეთ და წავიდნენ, თავზე დამლამებია...

და ლურჯ სიზმრებს რატომ ხედავ? ექიმს, ვინმეს, ერგენე?

– ჯერ არ მითქვამს არავისთვის, თან დიდხანს ვარ უფულოდ.

– ჰო ეგ ვიცე, ეგრე მოხდა, პოეტი ხარ საჩინო...

თუ გინდა დღეს ჩემთან დარჩი, რამე კინოს ვუყუროთ,

დავრჩი მასთან, ვჭამდით ვსვამდით, ერთმანეთი დავითმინეთ,

ერთმანეთი შეგვიყვარდა და წამოსვლა არ მინდოდა...

და ვიყავით თითქოს სამნი, ან და სულაც ერთნი იქნებ,

ან და სულაც უთვალავნი, როგორც ცვარი მთა მინდორთა.

18 ივლისი 2011

ვნება სიტყვების მას ვერ აზიხსნი

შემოქმედება, ზემოქმედება, ო როგორია სიტყვების ვნება, სიტყვების ვნება ისე დიდია, ისე მიდიან ჩემგან და ქრება ყოველი სიტყვა და ისევე ჩნდება, ყოველ წამს

ისევე ისე ისე მწამს
 სიტყვას ვერ აგიხსნი და თან ვერ აღვინერ ეს რა ვნებაა,
 ეს რა ვნებაა, ხმაც აღარავის აღარსად ისმის,
 მყინვარი როგორც
 ერთხელ დნება ან, თითქოს ორთქლდება ხმაც სამუდამოდ,

სიტყვები ხმებში აღარ არიან, სიტყვები ბგერებში
 აღარ არიან, სიტყვები არიან ასოებს მიღმა,
 გვიან ღამით ან დილა ადრიან, გზაჯვარედინებს
 გამოაჩენენ, მე იქ მიმინევს გული ყოველთვის,
 მე იქ მიმინევს ჩემი გონება და უსიტყვებოდ
 ფიქრიც ხოლმე თრთის, აღარც წარსული არ მაგონდება,

სიტყვების ვნება ისე აღმაგზნებს, ზნე მაქვს ნებისყოფით
 ისე დატენილი, ისე განფენილი ყოველ სუნთქვაში,
 ვერც ამას გეტყვი ვდგავარ ქვაფენილზე, ან სადმე სხვაგან
 ან სულაც არსად, ან სულაც არსად, ზოგჯერ დიდხანს მსურს,
 ზოგჯერ დიდხანს მსურს დარჩენა, წასვლა, შემოქმედებად,
 ზემოქმედებად, ვნებად სიტყვების, სუნთქვების ასხმად.

20 ივლისი 2011

ჰმ

ჩემ ზურგს უკან ლაპარაკობთ?
ესეიგი თქვენზე წინ ვარ.

გინდათ დამაბინძუროთ?
ესეიგი სუფთა ვარ.

ჩემ ცხოვრებას და ჩემ სიტყვებს
გარს უვლით და მათზე უბნობთ?

ესეიგი თქვენზე უფრო,
უფრო საინტერესოა.

ცდილობთ ნაკლი მომიძებნოთ?
ესეიგი ჩემი გშურთ.

ახლოს ვერ მეკარებით?
ესეიგი ძალზე შორს ვარ.

ზოგჯერ მინდა აგახედოთ
ვარსკვლავს ცაზე დანიშნულს,

მაგრამ ყველა ჩემი ზრახვა
თქვენმა შურმა განიშორა.

ჩემი მოკვლა დღესვე გინდათ?
ესეიგი ცოცხალი ვარ.

დღე და ღამე არ გასვენებთ
სად ვარ ან რას ვაკეთებ?

ესეიგი ჩემით ცხოვრობთ,
იტანჯებით, ისევ გმინავთ,

ეძებდით და ისევ ეძებთ
ღია კარის საკეტებს.

...გააგრძელეთ, გააგრძელეთ,
...გააგრძელეთ, გპატიებთ.

23 ივლისი 2011

აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ

იდეალური არაფერია? მაგრამ მე მაინც

იდეალისტი ვარ. იდეა ყოფნის ძალიან

მხიბლავს, თუმცა კი როგორ, ვერ ამიხსნია.

აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ.

არის მანდ ვინმე? გესმით ჩემი ხმა?

ჰო ალბათ გესმით არცერთს ან მრავალს,
რალაც შეთამაშდა, რალაც შეირხა,

ეს ნიშანია მიღმა მხარედან,

აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ,

ერთმანეთის წინ თავი დავხარეთ,

სხვებსაც წავიყვანთ, თან უფრო მრავალს

ვიდრე შეგვეძლო ამის წარმოდგენა,

ვიდრე ვმეტყველებთ, სიტყვები კმარა,

ბევრი რამ ვნახეთ და უფრო ბევრთა

ნახვა მოგვიწევს, ყველანი გავალთ,

ერთნი ვართ, მაგრამ არა ერთნაირნი,

ახლა თუ არ გესმის, ოდესმე გაიგებ,

წყენას და სიხარულს კიდევ ბევრს დაითვლი
და დაველოდები მე ალაბთ იმ დღეს,
როცა კი შენთან სიმშვიდე მოვა,
როცა კი სიმშვიდე მთლიანად შეგავსებს
და სიჩუმეში დაიწყებს თოვას
და ის სიჩუმეც მოსაგს ყველაფერს,

ყველაფერს ირგვლივ, რასაც კი ხედავ,
რასაც წარმოიდგენ, რასაც ინატრებ,
უკვე მენიშნა იქითა მხრიდან,
ასეთი არა, სულ სხვა სინათლე,

უკვე დრო დადგა შენი დარწმუნების,
აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ,
სხვა რამე გინდა კიდევ სარწმუნო,
დიდი ზეიმი დასრულდა დრამად,

დასრულდა სიზმარიც და შენ გელვიძება,
შენ ხომ შენივე თავს ესიზმრებოდი,
სიზმარნი ავკინძე უკვე მძივებად
და შეგაბნიე თითქმის ყელამდე,

სიკვდილის წამიც თუ წამია სიცოცხლის,
პასუხი ერთია, ან ჰო, ან არა,
მე ახლა ვიცი და ყოველთვის ვიცოდი,
აქედან ყველანი ცოცხლები გავალთ.

23 ივლისი 2011

ფიქრი წვიმისას

წვიმას ვუყურებ და ვფიქრობ –
 უკეთესი არაფერია.
 შენ გვერდით ვწევარ და ვფიქრობ –
 უკეთესი არაფერია.

აღარ მღერიან დიდებულ სიმღერებს
 და არც უბრალოს აღარ მღერიან,
 ახლა სიჩუმე მხიბლავს და ვფიქრობ –
 უკეთესი არაფერია.

დილიდან ვმუშაობ ჩემ ახალ წიგნებზე
 და მერე ვფიქრობ – უკეთესი არაფერია.
 სიზმარში ვხედავ სხვანაირ ფერებს,
 გამოღვიძებულს ღიმილი მადევს

და უკეთესი არაფერია.

გადამდებია შენი სურვილი,
 შეყვარებულები არ ბერდებიან,
 უკეთესი არაფერია.
 როცა ვმოგზაურობ უცხო ქვეყნებში

და ჩემ სანატრელ ადგილებს
 ვპოულობ უკეთესი არაფერია.

სად დამრჩენია მე ჩემი სული,
 თავს ვეკითხები როცა მარტო ვარ,

უკეთესი არაფერია – როცა პასუხად
 ვისმენ – აქაა. აქაა შენი ყოველი აზრი,
 ყოველი სიტყვა და საქციელი,
 ერთი მარცვლიდან ან ხეს რა აზრდის,

რა განუგეშებს ყველაზე მეტად –
 უკეთესი არაფერია.
 როცა საიდუმლო შენ თვალწინ იშლება,
 შენთან წვიმს ისევ, აქ კი დარია,

უცხო ნიშნებად, ხელისგულებზე
 ხაზები გადევს და იცვლებიან,
 უკეთესისკენ,
 უკეთესი არაფერია,

როცა გიმართლებს, როცა სიმართლედ
 უცნაურ ზღაპარს აღარ გაგონებს,
 უკეთესი არაფერია
 და ყოველთვის გყავს შენი გამგონე

და აღარაფრის არ გეშინია
და როცა შენ გულს სხვა კაცს ათხოვებ
და ის გიბრუნებს თავისთან ერთად
უკეთესი არაფერია...

...მოიტანს წყალი წყალობას თითქოს,
უსასრულოზე სულ უფრო მრავალს,
წვიმას ვუყურებ და ახლა ვფიქრობ,
რალაცით ყველანი ამ წვეთებს ვგავართ.

24 ივლისი 2011

შუაგზა

შენკენ მოვისწრაფი და გული მიწევს,
საუკუნეების თითქოს წინსწრებით,
საუკუნეების მგზავრი ვარ იქნებ,
გესიჩუმები, ხან გესიტყვები,

ხოლო მათ შორის გზა მიდის სადმე,
შუაგზაზე ხომ ჯადოქრებს ვხვდებით,
ჰო შუაგზაა გზა შინისაკენ,
საუკუნეების თითქოს წინსწრებით,

მე მეუფლება უსიტყვო ფიქრი,
გაუფიქრებლად გონებას მნათობს,
იქნებ არცა ვარ მგზავრი, ან იქნებ,
სულაც არ მესმის როგორ ან რატომ

ჩნდება შუაგზა ყველა გზას შორის,
მასზე სიარულს ამწამსვე ვინცებ,
იქნებ სიზმარსაც უკვე დავშორდი,
გზად სიცხადენიც დამშორდნენ იქნებ.

26 ივლისი 2011

ვინ იფიქრებდა

ვინ იფიქრებდა შენ რომ ცა ყოფილხარ,
სანამ მე ზემოთ არ ავიხედავდი.

ვინ იფიქრებდა მინაც ყოფილხარ,
სანამ მე შენზე არ გავივლიდი.

წყალიც ყოფილხარ, ვინ იფიქრებდა,
სანამ მე ასე მომწყურდებოდი.

ვინ იფიქრებდა ცეცხლიც ყოფილხარ,
სანამ მე ჩემში არ დაგანთებდი.

ჩემში მომწყურდი, ჩემში დაგანთე,
ჩემში იშლები ცადაც და მინად,
შენ ზოგჯერ გავხარ ბავშვის ნახატებს,
ვინც შენ გიპოვნა ვარსკვლავსაც მიწვდა.

ვინ იფიქრებდა სიჩუმეც ყოფილხარ,
სანამ სიტყვებად ჩემში გიგრძნობდი.

ვინ იფიქრებდა როგორ მჭირდები,
სანამ სულ მარტო არ დავრჩებოდი.

ვინ იფიქრებდა ან რა მაჩუქე,
სანამ მივხვდები რა ბედნიერი ვარ.

სინამდვილეში ვინ იფიქრებდა,
ჩემივე თავი მე რომ მომანდე.

ჩვენთვის თან არის და თანაც აღარ არის
თუ გინდა დრო და თუ გინდაც სივრცე,
ზუსტად დანახული ბავშვის ნახატით
მე დღეს შემიძლია ჩემ ვარსკვლავს მივწვდე.

26 ივლისი 2011

მინად

რატომ ვიბადები ან რატომ ვკვდები.
 რატომ ვჯდები ან რატომ დავდივარ.
 გინდაც ცოცხლები და გინდაც მკვდრები,
 ყველანი ერთნი ვართ და ერთი კარიდან

ჩვენ ერთმანეთში სიზმრად შემოვდივართ.

რატომ არ მჯერა ან რატომ მჯერა.
 ან რატომ მიწევს სიჩქარე, ლოდინი,
 თუ სიხარულიც სულ ჯობნის ნყენას,
 ჩვენ ერთმანეთში სიზმრად შემოვდივართ.

რატომ ვივინყებ, რატომ მახსენდება.
 რატომ ვმშიდდები ან რატომ ვიბრძვი.
 ნიშნები ამწყდა ჩემი სამკერდედან,
 მე შორიდან მცემს სურნელი მინის,

აყვავებული ბევრი ნაყოფით,
 ის ასეთ კითხვებს არასდროს მისვამს,
 უსასრულობაც ნუთუ არ მყოფნის,
 რადგან სხეული იქცევა მინად,

რომელზეც ცეკვავენ ჩრდილები ხეთა,
შენ მაიგივებ ყველა სიტყვასთან,
ნუთუ ჩემ თავში საკუთარს ხედავ,
როცა კი ამბობ: – მე შენ მიყვარხარ.

ჰო, ჩვენ ერთმანეთს სიზმრად ვეახლებით,
ყოველი სიახლე რაღაცის ნიშანია,
ახალი სიტყვო ახალი სახლების,
მინას სიმწარე ისევ მინად მიაქვს.

დღე ღამე იცვლება, რა ემართებათ,
თითქოს ჩემ სიტყვებს ვილაც ხმარობდა,
ისევ ვიყოფით მტყუნ-მართლებად,
ზოგჯერ არ მესმის არც ეს გაყოფა.

ჩვენ ერთმანეთით ერთმანეთს ვაერთებთ,
წვეთი ზღვად იქცა სიჩუმე სიტყვად
და წრე იკვრება ყველასთვის საერთო –
მინა იყო და კვლავ მინად იქცა.

27 ივლისი 2011

ორი დღე

მშობლები რომ არ მყოლოდნენ
 მე გავჩნდებოდი ასეთი ვინც ვარ?
 შენს გვერდით ვდგავარ და ახლა
 ბოლოჯერ, ჩემი ტერფებით ნიადაგს
 ვსინჯავ.

გამიძლებს თუ არა? ვიდგები დიდხანს?
 თუ გადაფრენა სხვაგან მომიწევს?
 განმარტოებაც ხომ იცი მიყვარს,
 ლოდინი მიწევს კიდევ ორი დღე.

მე ამ ორ დღეში მინდა მოვასწრო
 რაც კი არასდროს არ მომისწრია,
 ისევ წავა და ისევ მოვა დრო
 ჩვენი შეხვედრის,
 დროს სულ წინ მიაქვს

ამქვეყნიური ყოველი განცდა.
 შუადღის ჩრდილები ჩემთან მოვიდნენ,
 მომიყვნენ სხივები გზად როგორ ასცდათ,
 და ჩემთან დარჩნენ კიდევ ორი დღე,

მათი სიმშვიდე ძალიან მომწონს
და ჩრდილებშორის სიჩუმეც მიყვარს,
მდინარეს მოჰყვება ქვიშაც და ოქროც,
სიტყვაც მოჰყვება მომდევნო სიტყვას,

შენი ანარეკლი – ჩემი მეტყველება,
არ ვიცი რა გითხრა, ან როგორ გითხრა,
შენი ანარეკლი თითქოს მეტყველება
შუადღის ჩრდილებით ხეების რიგთან,

ოჰ, ასე უცნაური ორად ორი დღე,
რა მოხდა ასეთი, ან რატომ მიყვარს,
თუ გადაფრენა სხვა მხარეს მომიწევს,
მე ეს ორი დღე გამყვება დიდხანს.

29 ივლისი 2011

უსიერ ტყეში

მინიერი ცხოვრების შუაგზა განვვლე.
 შენ იცი – აღმოვჩნდი უსიერ ტყეში.
 დიდი ნიგნები, ერთად, ცალ-ცალკე
 ახლა ჩემ წინ დევს და თითო გვერდს შლის

ყოველი სუნთქვა. ვეხები წარწერებს.
 ვეხები ყოველწამს – დღე და ან ღამე.
 სიზმარი ეწერა, მე ის გადმოვწერე,
 სიზმარი ეხატა, მე ის გადმოვხატე.

იქიდან გადმომყვა გალიმების ხმაც,
 შენი სიცილის გამჭვირვალე ხმა
 და სააქაოდ წამით მელირსა,
 შენი დანახვა წამით მელირსა.

უსიერ ტყეში, შუქები ყორნებს,
 რატომღაც მოჰგვანან შუქები ყორნებს,
 მიღმა ქვეყნებიდან მაცნენიც მოვლენ,
 ჩემთან შესახვედრად მაცნენი მოვლენ,

ამბებს მეტყვიან – რა არის რა დროს,
 ოდესმე გაგიმხელ ჩემ საიდუმლოს,
 პოეტი სიჩუმეს ხმით როგორ ამკობს,
 შუქთა სამსხვერპლოს თავს როგორ უთმობს

ვარსკვლავი ერთი, სანამ ინათებდეს,
სამყაროს ორად ის სწორედ დღეს ქრის,
აქ შუაგზაზე, მოჩანს ის ნათებაც,
რომელსაც შევყევი უსიერ ტყეში.

30 ივლისი 2011

რალაც უცანური

რალაც უცნაური დაგდევს სურნელება,
 ასეთი სუნი სიზმარში მცემს ხოლმე.
 სიზმრებს მოთბილული ნამით უსველდებათ
 სიჩუმე თითქოს, თითო ფერი ვთხოვე.

მომცა ყველაფერი. გარს შემომეხვია.
 რალაც უცნაურს მე ვხედავ ფერებს,
 სხივებგამჭვირვალე სინათლესახიანს
 ყველგან შენ გიყურებ, ახლაც და მერეც

რალაც უცნაური ჩიტიც აფრინდება,
 მართლაც ყოველთვის ყველგან გაკვირდები,
 სულ შენი მაცებს მე სრულყოფილება,
 შენი წინ მიდგას ხილვა საკვირველი,

...და ეს ფერები, ასეთი ფერები...
 ...რა ფერებია... რა ფერებია...
 ...რა ფერებია მართლაც ღმერთო ჩემო
 და რა ძალაა მათში ცოცხალი...

სიცოცხლის წყურვილი, სიკვდილის ნიშნებად
 ან იმ სუნს ვიგრძნობ, ან იმ ფერს,
 რალაც უცნაური გემოც მიჩნდება,
 უცებ ის ჩიტიც როცა აიფრენს,

ის ფერიც ქრება, ვიცი რატომაც,
ის უკან ითხოვს თავის ნაქარგავს
და წამით ვხვდები – მართლაც მართო ვარ,
როცა სიჩუმეც სიზმარს აღარ გავს.

3 აგვისტო 2011

დღეს სწორედ ის დღეა

შენ იცი, ყველაფერი გაივლის,
 მაგრამ, შეხედე შენ როგორ იცვლები,
 როგორ იცვლიან ჩრდილები ფერებს,
 კი, ყველაფერი გაივლის მერე,
 შენ მაინც იცვლები უკეთესისკენ
 და მერე და მერე, მერე და მერე

შეიცვლებიან შენი ახლობლებიც,
 შენი მეგობრები და ჩრდილები ფერებს
 მერე და მერე ისე შეიცვლიან
 გაგიკვირდება ყველა ეს ცვლილება
 და გაკვირდება შენივე სახეზეც
 სულ სხვა ფერებით დაიჩრდილება,

დღეს სწორედ ის დღეა როცა შენ იცვლები,
 სახებას იცვლის სამყარო, სახებას...
 და გული გიცემს ისეთი წინსწრებით,
 ახსნას ვერ უდებ, რა ხდება... რა ხდება,

დღეს სწორედ ის დღეა რომელსაც ნატრობდი
 და ახლა შენ თვალწინ შენვე შეიცვლები
 და სიყვარულიც სხვისთვისაც სამყოფი
 უკვე სულს გინათებს ახალი სხივებით,

შენ იცი ყველაფერი მაინც გაივლის,
ნახტომით ირმის, თითქოს იცვლები
და ის სხივები როგორ ქრებიან
და ხმებიც ქრება სადღაც სიმღერის,

ხედავ საოცარ შენ ირგვლივ ფერებს,
კვლავ შეიყვარებ მერე და მერე,

თითქოს შუქს ხედავ, შუქი იზრდება,
როცა იცვლები სწორედ ის დღეა.

11 აგვისტო 2011

ჩვენ ერთმანეთში

საიდან იცი რომ იქ რამეა?
და რომ აქედან ყველანი ცოცხლები
გავალთ? ბალახებს ლურჯი ნამი აქვთ
ჯერ თუ მოვკვდებით მერე ვცოცხლდებით?

როგორ, რა იცი, შენ უკვე გაცოცხლდი?
შენ უკვე ნახე ეს როგორ ხდება?
სხვადასხვა ფორმით იყოფა სიცოცხლე?
მდინარეც იყოფა სხვადასხვა არხებად?

რა იცი ასეთი ასე რომ მანუგეშებ?
ან როგორ გჯერა დაუჯერებელი?
და თავდაყირა მთვარე ჩანს გუბეში,
როცა ინვიმებენ საუნჯეები

ლამეთა სიზმარნი, მართლა შეგიყვარდი?
როგორ მანსხვავებ შენი თავისგან?
ნუთუ მსგავსება სულ ერთი ნამით
სიზმრად მოვიდა ცხადში წავიდა

და იმ შუალედზე ფიქრნი ტივტივებენ
სნორედ ფიქრებით ერთმანეთს ვიყვარებთ

და ერთმანეთის ნაღვინარ მტევენებს
 უკვე სხვებს ვუყოფთ, როგორც იმ წამებს

ყოველთვის ვჩუქნით წარსულს, მომავალს
 და ანმყო ჩვენი ჩვენშივე ცოცხლდება,
 მართლა რა იცი აქ როგორ მომნახა
 ჩემივე თავმა, ბავშვობის ოცნებად,

ნუთუ ყველაფერი თუ კი რამ ცალ-ცალკე
 თუ კი რამ ერთად გადაგვხდენია,
 ჩემში ოცნებანიც გამოაცალკევე,
 იცი როგორია და რამდენია,

ნუთუ იკეტება ყველა გასასვლელი
 და იმავე წამს ნუთუ იღება
 და შენ ეს იცი, მე კართან ვდგები
 სტუმრად მომინევს მათი მიღება

ვინც კი შემოვა ჩემთან და იტყვის: –
 ყველა კითხვას მე გავცემ პასუხს,
 მე მაქვს სიცოცხლე ყოველი სიბრძნის,
 რადგანაც სიკვდილი არავის არ სურს,

მაგრამ რა მესმის, რას გვრძნობ, რა ვიცი?
 თუ რამე ვიცი, ის მართლა ვიცი?

წყალზე სხივებიც იწყებენ ლიცლიცს
და გამჭვირვალე აზრების იქით

უკვე მოჩანან დრონი და სივრცენი,
სათავეს რომელნიც ჩვენში იდებენ
და ჩვენ ერთმანეთს რას არ მივცემდით
უსასრულობის თითქოს კიდემდე

გზანი რომ აგვევლო ფართეც და ვინროც,
გავალთ აქედან ყველანი ცოცხლები,
ჩვენ ერთმანეთში მსგავსებას ვიგრძნობთ,
ჩვენ ერთმანეთში კვლავ გავცოცხლდებით.

12 აგვისტო 2011

რა დრო გასულა

თაროზე წიგნები რაღაცას მანიშნებენ,
მე ახლა ვერ ვიგებ... ვერ ვიგებ...
ო წიგნები...

ქუჩაში მანქანები რაღაცას მანიშნებენ,
მე ახლა ვერ ვიგებ... ვერ ვიგებ...
ო მანქანები...

ამინდი იცვლება და ეს ცვლილება
რაღაცას მანიშნებს, მაგრამ რას...
ო ამინდი...

წიგნები მანქანები ამინდი...
ნუთუ დავიკარგე და აღარ ვიცი,
როგორ ვიპოვნო გზა, აღარც დავიციდი,
ან ვის ვუცადო სამყარო იწვის...

შენ ახლა იცმევ და სახლში ბრუნედები
და ეს დაბრუნებაც რაღაცას მანიშნებს,
ო ტანისამოსი...

მე ხმას არ ვიღებ, მე მხოლოდ გიყურებ
და ახლა ჩუმად ვარ შენი შემყურე...
ო სიჩუმეა...

სხეული ნაქარგი ქვედა საცვლებით
 ოთახში დადიხარ სიშიშვლის ამარა,
 უნაზეს მიმოხვრას ყოველთვის ვამჩნევდი,
 არასდროს მყოფნიდა და ჯერაც არ კმარა

ტკბობა ყოველი ახალი წამით,
 ო ეს წამები...
 ო ეს წამები...

დრო უცებ გადის და ხანაც წვალებით,
 ო ეს წამები...
 ო ეს წამები...

ხან სულ ქრებიან, მეც მათთან ვქრები,
 ო ეს გაქრობაც რალაცას მანიშნებს,
 ხმები მომესმის, რალაცა ხმები,
 რას უნდა ნიშნავდეს, სადღაც მათ ნიშნებს

თითქოს კი ვხედავდი, სადღაც ბავშვობაში,
 თუმცა ბავშვობა... ო ჩვენი ბავშვობა,
 ერთხელ მთელი დღით ტყეში რომ დავრჩით
 და წვიმის შემდეგ მიწის გაშრობას

იქვე ველოდით, მერე ჩვენ სახლებთან,
 ო მოლოდინი... დიდი მოლოდინი...

ქარიც იმ ხმებს შორის მიმოიფანტება,
თავიდან ჩუმდება, ბოლოს კი ყვირის,

ო ის სახლები წიგნები სიჩუმე,
ო მანქანები ტყეები გზები,
დიდი ხნის სიცოცხლე წასვლისას გისურვე,
რა დრო გასულა მე ახლა ვხვდები,

ო როგორ მინდა ჩემში გმაღავდე
არავის ვაჩვენო მიყვარხარ სანამ,
რა დრო გასულა იქიდან აქამდე
კიდევ რამდენი რამდენი გავა.

13 აგვისტო 2011

მე ვარ სამშობლო

ყოველთვის,
 ყველასგან გამოგარჩევდი.
 ყოველთვის,
 ვიცოდი, ისა ხარ ვინც ხარ.
 ერთად ყველანი და დანარჩენნიც,
 ითხოვდნენ, სამოთხის კარამდე მისვლას,

ილტვოდნენ,
 უშენოდ, თითქოს საითაც,
 უშენოდ,
 სამოთხე სამოთხე არ არის,
 ქვეყნის საიდუმლოც ხომ უკვე აიხსნა,
 პირველშობილი ბავშვების ნახატით.

პირველშობილია
 ჩემში სიცოცხლაც.
 შენ,
 ხომ ჩემში ხარ და ხარ სიცოცხლე,
 აღარ მსურს ვიცოდე სხვა არაფერი,
 ინვოდე ჩემში, სამშობლო მიწოდე.

შენ,
ჩემში ჩნდები, მე ვარ სამშობლო,
შენთვის,
ჰო შენთვის, ჰო, უსასრულოდ,
მსურს უსასრულოდ შეგესათნოო,
უსასრულობაც დავისასრულო.

შენ,
ხარ პასუხი ყველა ჩემ კითხვაზე,
შენ,
როცა გიგრძნობ კითხვები მიქრება,
როცა სიზმარიც, სულ სადღაც მიმაფრენს,
როცა სიჩუმეც, ხორცს ისხმას სიტყვებად.

12 ივნისი 2012

ყველგან გაშლილი თითქოს არაფერი

შენ ამბობ: – ყველაფერს
თავისი სახელი დაერქმევა, –
მე მოთმინება ჯერ კიდევ მყოფნის.
ნუთუ შენ ახლა სახელით არ მიცნობ?
ახლა ჩვენ დავრჩით, მე და შენ ორნი.

აქ რას ვაკეთებთ?... და ვისთვის ვაკეთებთ?
ერთმანეთისთვის? ან არავისთვის?
ღრუბლებს ავყურებთ, ზეცის ნაკეცებს,
ან იმ ერთ ღრუბელს სად გადაისვრის

ქარი, ან თუნდაც სულის შებერვა,
მე იმ ერთ ღრუბელს სულ შენ გამსგავსებ,
ცას თავდაყირა ედგა ფერებად
... ყველგან გაშლილი თითქოს არაფერი...
და იატაკიც ზოგჯერ გავდა სხვენს,

თითქოს წარსულიც გავდა მომავალს,
მაგრამ აწმყო კი, არაფერს გავდა,
სიზმარი შენი ძილში მოგნახავს,
მარტო დაგტოვებს, შენივე თავთან,

მაშინ რას იზამ? ან მე რას ვიზამ?
მეც შემოვალწევ საძინებელში?
და ისევ ყველაფერს დავინყებთ ახლიდან,
თითქოს სინათლეს ოთახის ფარდებს ჭრის,

ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა?
დაერქვას! ალბათ იმ დროისათვის
ჩვენ აქ არ ვიქნებით. მე არ ვიქნები,
დაერქვას, ჯანდაბას, ყველაფერს დაერქვას.

14 აგვისტო 2011

ვიდეი და ვუყურებდი

ცისარტყელას ვუყურებდი კაი ხანი.
 აი ასე, ვიდეი და ვუყურებდი.
 ჩემი ძველი ლექსები მახსენდებოდა.

მე სულ სახლში ვბრუნდები.
 რატომ მაქვს ასეთი განცდა,
 რომ მე, სულ სახლში ვბრუნდები.

ღრუბლები... ო ისევ ღრუბლები...

ცისარტყელას ვუყურებდი კაი ხანი...

ფერადოვანი გამჭვირვალება...

სააქაოდ იბრწყინე...

საიქიოდ გაიხარე...

მიტხრეს ფერებმა...

ცა იმალება... ო ისევ ცა...

თითქოს მათ უკან სხვა ფერი თრთოდა...

მე ქვა არა ვარ და არ გავტყდები...

ჩემში სულია...

სივრცეთა... დროთა...

მინას ემჩნევა ზეცის სარტყელი...

მინას ემჩნევა ჩვენი აქყოფნაც...

მაგრამ ემჩნევა სულ ერთი წამით...

მაგრამ ეს წამი სხვებსაც ეყოფა...

და ის სხვებიც ხომ წამივით წავლენ...

წასვლა ხომ მისვლას სადღაიც ნიშნავს...

არა თუ აქედან...

იქით... თუ არა...?

სუნთქვა გადასწვდა შვიდფერა ნიშანს...

და შვიდივე ფერს შემოუარა...

მე მართლაც ყოველთვის სახლში ვბრუნდები...
რატომ მაქვს ყველგან ასეთი განცდა...
გადაიფერნენ დრონიც და ღრუბლებიც...
ცისარტყელა კი ზეცასაც გასცდა...
სახლში დაბრუნებას როდისმე მოვასწრებ...
დრო ყოველთვის მაქვს ჯადოდ და ქარიზმად...
შენ შესახვედრად ფერების მომაქვს წრე...
წრე შეიკრა და სიმღერაც გაისმა...

14 აგვისტო 2011

რა?

- ამბობენ, თერთმეტი სექტემბრის, ერთ-ერთი თვითმფრინავი ჰოლოგრამა იყო.
- რა იყო?
- ჰოლოგრამა. ანუ ჩასმულია. ანუ ბლეფია ყველაფერი. ანუ სიგიჟეა რალაცა და საშინელებაში ვცხოვრობთ.
- გჯერა ამის?

გჯერა, არ გჯერა, ვერ გეტყვი, ეს სიტყვა მაუცნაურებს. ან ჩვენ ყველანი ვინა ვართ, ვინა ვართ ერთმანეთისთვის? გჯერა, არ გჯერა, სიტყვები, სიჩუმის გვანან საუნჯეს, ხოლო სიჩუმე სათქმელად, ყოველთვის სიტყვებთან იცდის.

იცდის სანამ მას იტყვიან, სანამ მას დაიჯერებენ, ჩვენც რასაც ვხედავთ ვიჯერებთ, და მერე... მერე ჩვენ რას ვხედავთ... მსჯელობას მრავალსიტყვიანს, გზა მოგავს დანაბიჯები, გზის ბოლოს რამეს გავიგებთ? რამე პასუხებს სხვა მხრიდან...

ვინმე დაგვიდებს ჩვენ წინ ან, ჩვენ გვერდით ვინმე დაჯდება... ან ის სხვა მხარე სადაა? ან იქ ვინ ცხოვრობს რა ხალხი... დაიჭრა უკვე სამყაროც, რამოდენიმე ნაჭრებად... და სუფრაც კი უკვე მზადაა, თუმცა ჯერ არ გაქვს ნანახი...

როცა მას ნახავ შენ გაცდები, არ დაიჯერებ ან კი ვინ იცის, გჯერა, არ გჯერა, სიტყვები, ჩვენ ყველას მაინც არ გვშველის, სინანულს, გულთან მიმალულს, ნუთუ ცეცხლი წვავს, სინდისის, ვარსკვლავიც უკვე მოწყდა და თან მიაქვს ზეცის ნაფშვენიც.

16 აგვისტო 2011

მოსე მივილა ქანაანს

ჩემ თავზე,
სახარებას კითხულობდნენ,
მე მაინც ტყეში გავრბოდი,

თითქოს სიზმრად ვარ,
ბოლოჯერ,
სხვა ეპოქანი,
სხვა დრონი,

ცვლიან ანმეოს
და უნინდელს,
სიზმარი ნივთს გავს,
სიცხადეც,

დიდი გზასავით
სულ წინ დევს,
ფეხს დავადგამ და
მიმათრევს,

სადღაც,
თავისკენ, თავისკენ სადღაც,
რა უცნაური გამოხედვა გაქვს,

როცა მიყურებ,
არაფინ არ გგავს,
თითქოს ჯადოსნურს
ახლა ვხედავ მთას,

მაგრამ თომას მანს
მე არ ვგულისხმობ,
დრო მას კლავს, ხან
აუკვდავებს,

ხან გზაზე ვხვდები
გულისსწორს,
ხანაც მითიურ
უკვდავებს,

ხანაც,
არაფინ არაა
და აზრზე არ ვარ
სადა ვარ,

მოსე მივიდა
ქანაანს,
აქლემს ამოსდო
სადავე,

აქლემი
ნემსის ყუნნს ხედავს,
ფიქრობს გაძვრეს თუ
არ გაძვრეს,

მე თავს დავაღწევ
მახედან,
ტიკი ახალიც
გავდა ძველს,

სიზმარი
წამს გავს, სიცხადეც,
ამნამინდელი
უნინდელს,

ის სულ
თავისთან მიმათრევს,
დიდი გზასავით
სულ წინ დევს.

18 აგვისტო 2011

სამოიყვანე

მე სიკვდილისთვის ჯერ მზად არა ვარ
და არც არასდროს მზად არ ვიქნები.
აღბათ.

– გესმის?! მე სიკვდილისთვის ჯერ მზად
არა ვარ!
ნუ დამიტირებ, ნურც სახეს დამბან.

შენ ჯერ არ იცი მკვდრები რას გრძნობენ,
მე ის არასდროს არ მინდა ვიგრძნო, ვიცი
ერთხელაც დადგება ის დრო, რომ უნდა
მოვკვდე, მაგრამ მზად არ ვარ.

შენ ჯერ წარმოდგენა არა გაქვს ამაზე,
სანამ გიყვარვარ მე არ მოვკვდები,

– გესმის?! სანამ გიყვარვარ ჯერ არ მოვკვდები!
და არაფერი არ გამაბრაზებს.

მე სიმშვიდეს ვგრძნობ შენ სიახლოვეს,
მაგრამ მზად არ ვარ შორს ვიყო შენგან,
– გესმის?! მზად არ ვარ შორს ვიყო შენგან!

...თუ ჩემი სხეული მიწას ვათხოვე, სული
სად წავიდა, სინათლედ მედგა,

განა სინათლედ იგი არ მედგა?!
– გესმის?! არ მინდა სიკვდილი არ მინდა,
არ მინდა წახვიდე, წახვიდე ჩემგან!

...თუმცა კი ვხედავ, ვხედავ წავიდა,

რაც მე ვიყავი, ვინც მე ვიყავი
და ვინც ახლა ვარ, ჩემგან წავიდა
და სასიკვდილოდ აგე იმ ყვავილს
შენ ჩემთვის მოწყვეტ? არა არ
მინდა,

– გესმის?! ჩემი ხმა?! მარტო შენ გესმის?!
სანამ გიყვარვარ კიდევ ვიცოცხლებ,
ყოველი სუნთქვა წყობაა ლექსის,
ხოლო ლექსი კი თვითონ სიცოცხლე

და მე მას ჯერ ვერ ვთმობ, შენ თავს მე
ვერ ვთმობ, ჩემი სხეული აქყოფნას
ნატრობს, ყოფნას აგრძელებს, სული კი
ზემოთ, ზემოთ გზას იკვლევს და ალბათ
სხვა დროს

მოვემზადები, მაგრამ დღეს არა,
 – გესმის?! დღეს არა, დღეს არ დამმარხო
 და თუ დამმარხავ შენც ჩემთან დარჩი,
 ამომიყვანე გულის სამხატვროდ,

ამომიყვანე საფლავიდან ან ჩემ სუნთქვებს
 უხმე სულ დაფერფლილებს, ამომიყვანე და
 ჩამიხუტე, სანამ სიბნელეს არ გავეჩრდილე.

20 აგვისტო 2011

გეტყოდი

დავინწყოთ დროა, გვიან არ იყოს,
 შემდეგ და შემდეგ გვიან არ იყოს,
 ჩვენ ერთად ყოფნა ძალიან გვინდა,
 შემდეგ და შემდეგ გვიან არ იყოს.

დავინწყოთ დროა, ხვალ ჩვენ არ ვიცით,
 რა უნდა მოხდეს ხვალ ჩვენ არ ვიცით,
 დღეს უნდა მოვასწროთ ჩვენ ერთად ყოფნა,
 რა უნდა მოხდეს ხვალ ჩვენ არ ვიცით,

დრო მხოლოდ დღესაა, დრო მხოლოდ ახლაა,
 უძვირფასესი დრო მხოლოდ ახლაა
 და სინამდვილე, სიცხადე მწარე
 წამებს სიზმრებით სადღაც გადააქვთ,

მე რომ ვიცოდე ის „სადღაც“ სადაა,
 მე რომ ვიცოდე ჩვენ თავს რა ხდება,
 გეტყოდი ჩვენ სხეულს სული სად დააქვს,
 გეტყოდი სამყაროც არის რამხელა,

როგორ მოვიქცეთ ამასაც გეტყვოდი,
 ერთმანეთს დღენი გადავუღამოთ,
 ის სანატრელი წამი ჩვენ დროში
 უძვირფასესი და სამუდამო,

ზოგჯერ რომ ქრება თვალსა და ხელ შუა,
 თვალსა და ხელ შუა ჩნდება და მოაქვს
 სიზმარი, ხილვა, ერთმანეთისთვის
 გვიან არ იყოს, დავიწყოთ, დროა.

21 აგვისტო 2011

ჩვენ სამს შორის

მე ვლაპარაკობ იდეაზე. შენ ლაპარაკობ ამბებზე. ის ლაპარაკობს ჩვენზე. და ჩვენ სამს შორის განსხვავებაა.

მე ეს მიგრძენია, მიგრძენია ბევრჯერ, რომ ჩვენ სამს შორის განსხვავებაა.

შენ ლაპარაკობ უკვე რა მოხდა. ალბათ არ იცი ახლა რა ხდება. მე ვლაპარაკობ რა მინდა მოხდეს და თან ისევ მსურს გულის გამხელა. მე უკვე ვნახე ჩემი სამოთხე.

და შენ ისევ გსურს დღესაც აქ დავრჩე? ის ისევ გვიყურებს და სხვებს უყვება... და ჩვენ ველარ ვცნობთ ჩვენივე ამბებს, ამბებს რომლითაც ცხოვრობს სულ ყველა.

ამბებს რომლითაც ცხოვრობს სულ ყველა. სულ ყველა თუ არა, ძალიან ბევრი.

და მათი რიცხვი არ დაითვლება. მე ახლა ყურში
 რალაცას გეტყვი. უკვე გრძნობები იქცნენ ფიქრებად.
 მონიე ყური რალაცას გეტყვი.

უკვე სუნთქვანიც იქცნენ ფიქრებად.

მე შენთან მინდა, მას ჩემთან უნდა, შენ მასთან გინდა.
 ასეთ დროს სამივემ კარგად ვიცით რა უნდა მოხდეს.
 ორნი რჩებიან, ერთი გადის, გადის სახლიდან,
 სწორედ ვინც გადის, ჩემნაირად ჰპოვებს სამოთხეს.

რადგან გაიღებს თავს სხვისათვის საბედნიეროდ
 და რადგან შეხვდება მისნაირი სხვა ვინმე ერთი.

22 აგვისტო 2011

მუნჯებს და ყრუებს ერთი ენა გვაქვს

მუნჯებს და ყრუებს ერთი ენა გვაქვს.
 ამ ენით გვესმის აქყოფნის არსი.
 ანბანს არ ვამბობთ უცხო ენათა.
 თითქოს სიჩუმეს წყალი დავასხი.

წყალი დავასხი თითქოს სიჩუმეს,
 წვეთებმა გათქვეს აქყოფნის არსი.

და იქიდან კი სიტყვები გაჩნდნენ.
 ამოიზარდნენ ყველასთვის ერთნი.
 ფიქრი წავავლე სიზმარის ნარჩენს.
 ვნება როგორ მწვავს ახლავე გეტყვი.

გეტყვი, როგორ მწვავს, ახლა რას ვუძლებ,
 რომ არ გავგიჟდე ამიტომ გეტყვი.

ნუთუ იმედი, მე შენ გაგიცრუე?
 განა დაგპირდი რალაცა ისეთს?
 ერთი ენა გვაქვს მუნჯებს და ყრუებს.
 სიზმარი სიცხადეს რა ნიშანს მისცემს?

სიზმარს და სიცხადეს როგორ განვასხვავებ
თუ მე ვერ ვიგრძნობ ვერაფერ ისეთს.

ზოგჯერ კი მხიბლავს სიკვდილი წამთა.
ვნებაც კი ტოვებს ზოგჯერ ცხოვრებას.
სიმარტოვესაც მოუწევს წასვლა,
როგორც მკვლელს სოფლად არ ეცხოვრება.

სიმარტოვესაც მოუწევს წასვლა,
როგორც მკვლელს სოფლად არ ეცხოვრება.

23 აგვისტო 2011

ასალგამოღვიძებულზე

სურვილი აღარ მაქვს გავიმეორო
უკვე ისედაც გამეორებული.
ნათქვამი უკვე.

ყველა ცხოველი შენი გახდება,
თუ კი მას სახელს დაარქმევ.

ნისლია, თითქოს საკმეველს უკმევს,
ვხედავ ნემსის ყუნწს, გზასა და აქლემს.

დღევანდელ სიზმარს, როგორც საყურეს
მე მაინც მოგცემ, თუ გსურს წამართვი,
ყველა დასასრულს, როცა გიყურებ,
რატომღაც ვხედავ როგორც დასაწყისს.

24 აგვისტო 2011

ჩვენ ვქრებით

ჩვენ ახლა ვქრებით.
და სწორედ ამ წუთში
გავქრებით სამუდამოდ,
ალარ ვიქნებით. ასეთი
ქრობა მხიბლავს და
მამწუხრებს და
მახსენდება, ისევ ის
ქვები,

როცა ჩვენ ვქრებით, შენ ისევ
მიდიხარ, მე ისევ ვრჩები და
ჩვენ უკვე ვქრებით. წილი
ნაყარია, შენ უკვე აირჩიე,
მიმოიფანტნენ ჩვენს ირგვლივ
ქვებიც,

არცერთმა ვიცით წინ რა
მოგველის, წინ ვინ
დაგვხვდება, წინ რა
დაგვხვდება, რამე
ზღაპრული ფრთოსანი?
მგელი? რად გადავიქცევით,
ღრუბლებად?
ქვებად?

არა, ჩვენ არაფრად
გადავიქცევით, რადგან
ჩვენ ვქრებით უერთმანეთოთ,
უერთმანეთოთ ჩვენ როგორც
კლდის ქვები კლდეებს
მოვწყდებით, უნდა
გაგენდო,

გაგენდო ბოლოჯერ, შენ
თითქმის ნახვედი, სულ
ერთი წამიც და მთლიანად
გავქრებით, ერთმანეთისგან,
ერთმანეთისთვის,
სხვა სინამდვილით,
სხვა გზით და
სხვა ქვებით

ჩვენ ველარ ვიცნობთ
ვერც თავს და ვერც ვერავის,
ვერც შევიყვარებთ, ვერც
სიზმრებს ვნახავთ, ღამე
შემოდის და მერე დღე
გადის, სიზმარი რომელიც
ცხადს მოგავს ახალს.

ჩვენ ახლა ვქრებით.
და სწორედ ამ ნუთში,
გავქრებით სამუდამოდ,
ალარ ვიქნებით. ჰაერი
თავისზე მსუბუქად ამწონის,
გამახსენდება, ისევ ის
ქვები.

25 აგვისტო 2011

მეუცხოება

გაუცხოება.

ჩვენ უცხონი ვართ

ერთმანეთისთვის. მერე რა.

რადგანაც ვიცი რომ უცხონი ვართ,

სწორედ ამიტომ ვეცდები მიყვარდე.

სულ ერთი წამით რალაცა ვცადოთ

ერთმანეთისთვის, კაცი მიყვა ღმერთს.

მიყვა მის ნებას თავისი ნებით,

მაგრამ იპოვნა გაუცხოება,

მე ღმერთის ნება ნუთუ მენება,

თუ გინდა დღეს და ან კიდევ როდის...

მიესვენება ჩვენი დასასრული,

დროც ჩვენნაირად მიესვენება,

ჩვენ ხომ ყოველწამს სისხლივით დრო გვდის,

და გვემართება გაუცხოება.

ჩვენ ხომ ერთი რამ ყოველთვის გვანუხებს

და ის ერთი რამ ათას რამეს გავს,

თითქოს ამ ნუთებს გაუცხოება

ექოდ მიაპნევს, ექოც დროის ხმას

დასასრულისკენ გადააძინებს,

მე დასასრულიც მეუცხოება,

რადგანაც ვცადე შემყვარებოდი,
ადამიანი შემყვარებოდი
და მერე რა რომ უცხო ვარ შენთვის
და მერე რა რომ შორსა ვარ შენგან
და მერე რა რომ ჩემი არ გესმის,
მე სამახსოვროდ ის წამი შემრჩა,
როცა შენი ხმა ხმას გავდა ღმერთის.

26 აგვისტო 2011

დილით საუზმეზე

ჩვენში ორივეში მთელი უნივერსი
წამში შემოვიდა. წამშივე გავიდა.

ჩვენში ორივეში ვარსკვლავთა მტვერია
სულ დასაბამიდან, სულ დასაბამიდან.

ჩვენი წამოიწყეს შესაქმეს ეპოქა,
სამყაროს ძალებმა ვინც იქ ბინადრობენ,

გვეყოფა სიცოცხლე, ორივეს გვეყოფა,
მაღე დამთავრდება დიდი სიმარტოვეც.

მაღე ჩამოვლენ ჩვენი მეგობრებიც,
მათი მოლოდინი ყოველთვის მახარებს,

ნუთუ ხვალდან ისევ გენდომები
თუ დღეს განახებ ჩემ ბნელ მხარეებს,

ჩვენში ორივეში ყველაფრის მიზეზია,
ნისლეული გავს მითიურ მხედარს,

ან ის ვარსკვლავებიც სხივებს ვის ესვრიან
თუ მათ ჩვენს გარდა ვერავინ ხედავს,

მალე მოელება ბოლო ყოველივეს?
 თუ მართლაც ადრეა იმ ბოლო დრომდე?

უცნაურია, რისი მოგერიდა?
 მე ხომ შენი თავი სამყაროს ვთხოვე,

ჩვენში ორივეში, როგორც ნათება,
 წამში გავიდა და წამშივე მოვიდა

სურვილი ყოფნის, გაგიხარდება,
 მე ყველგან გიცნობ, ახლოც და შორიდან,

შენც მიცნობ ცხადია, ცხადზე უცხადესი,
 ორივეს გვატყვია ასე ერთმანეთი,

ყველა ჩემ შემხვედრს შენ თავს ვუცხადებდი,
 მაგრამ დღეიდან სიტყვას აღარ ვეტყვი,

რადგან არ ვიცი როგორ გაუძლებენ,
 ისინი სულ სადღაც სხვაგან ბინადრობენ,

ჩვენ უცებ მივხვდით... დილით საუზმეზე,
 მალე დამთავრდება დიდი სიმარტოვე.

27 აგვისტო 2011

თავს ისევ დავუსვი იგივე კითხვა

ჩემი შვილები კაცები გახდნენ.
მალლები გახდნენ. გეგა. ანდრია.
რამდენს ავითვლი ვარსკვლავებს
რამდენს, ამრია სიზმარმა, ოდნავ
ამრია.

დილა ადრიან გაკრთა და მერე,
ყველა საიდუმლოს პასუხი მითხრა,
თითქოს ნასიზმრალს ვხედავდი
ბგერებს, თავს ისევ დავუსვი იგივე
კითხვა,

თუ საიდუმლოს პასუხი ვიცი, მე
სულ ვარსკვლავებს რად ვითვლი
ამდენს, რადგან მაოცებს სამყარო
სიტყვის, რადგან შვილებიც კაცები
გახდნენ.

28 აგვისტო 2011

გარკვეულ დრომდე

ფეხით დადიხარ?...

ა, ისევ მეტროთი?...

შენთან ყოფნა მე, ადრე მინდოდა.

გეტყოდი რამეს, ერთ რამეს გეტყოდი,
მინდოროთან ხე დგას, ხედავ იმ მინდოროთან?

ა, შენ იმ მინდორს ახლა ვერ ხედავ?

გასაგებია...

რა გემართება?

მე ჩიტებს ვხედავ აფრენილთ მერხიდან
ნახე რამდენია...

ა, მათაც ვერ ხედავ?...

მახსოვს შენ ადრე სხვა ვინმე იყავი,

უცებ შეიცვალე...

და ახლა ვინა ხარ?

ყვავია, ახლა ჩიტებთან, ყვავი,

ვერც იმას ხედავ და ვერც წინა კარს?

შენს თვალწინ გაიხსნა,

მაგრამ არ შედიხარ, არ იცი რატომ,

რატომ... რატომ...

შენი ხმა მახსოვდა, ადრე, ის შენი ხმა,

ახლაც სულ მაგონებს
 სხვა დროს, სხვა დროს...

ვერ ხედავ ვერც შევებას?
 და ვერც გამოსავალს?
 თავსაც არ ანებებ დაცარიელებას,
 სიცარიელემ წამში გამოგცალა,
 შენ ალბათ მიიღე თუ კი რამ გენება,

გაფრინდნენ ჩიტები, ყვავიცი გაფრინდა,
 მერხი დგას მინდორში იმ ხესთან, ცარიელი,
 კარი დაიხურა, ღამე ჩანს ფანჯრიდან,
 ღამეში, შიგნით კი კრთება წამიერად

თითქოს
 რალაცის იმედი მგონი...
 და ისევ ორნი ვართ, ორნი ვართ
 ორნი,
 ჩვენთან სიზმარნი ხელახლა მოვლენ,
 მათაც ვერ ხედავ?
 ...ვერ ხედავ მგონი...

მაშინ როგორღა ახერხებ სუნთქვას?
 მაშინ როგორ ან, რისი გჯერა?

სიზმრებს სიცოცხლე ჩვენს ტვინში უნდათ,
რატომ დაგჩემდა სიკვდილი ჩვევად...

გიჟდები...

ატყობ?

ნელ-ნელა გიჟდები...

მიდიხარ იმისკენ რასაც გაურბოდი,
საგნები ქრებიან დროსა და სივრცეში,
თავს გვამახსოვრებენ გარკვეულ დრომდე.

29 აგვისტო 2011

ანგელოზები ანგელოზები

ანგელოზები ყველა სტროფიდან,
ანგელოზები ფრენენ ჩემ ლექსში,
ყოფილან ისინი ჩვენ შორის ყოფილან,
მრავალჯერ ისმინე, მრავალჯერ მეც ვთქვი,

ანგელოზები ფრენენ ნახატებში,
ჩემ ნახატებში სულ ბავშვობიდან,
ნეტავ ჰორიზონტი ზეცას სადამდე ქრის,
ისინი ყოფილან ჩვენ შორის ყოფილან,

ანგელოზები – ძალიან მალეები,
ისინი გვხედავენ, ნეტავ თუ გვხედავენ,
ჩვენ წამიერად მათსავით ვმალდებით,
სხივებდაკრეფილ მნათობთა ვენახებს,

როცა ავხედავთ და ავიაზრებთ,
შენი სიზმარიც იქ ასვალას ითხოვს,
როცა ფრესკები ტოვებენ ბზარებს,
ლექსებშიც სიჩუმე მოგვხიბლავს თითქოს,

ანგელოზები ჩვენ ქალაქებში,
სურნელი მათი ჩვენ სამოსელზე,
ჩვენ ბედისწერას ვინ განაგებდა
ჩემი თავიდან ცა ამოვქერწე,

ცა ამოვისუნთქე – ანგელოზები,
 ცეცხლს ამოვყევი – ანგელოზები,
 წყალი მწყალობდა – ანგელოზები,
 მინა ვინამე – აქ გელოდები,

აქ, განა სხვაგან, აქ, მხოლოდ ჩვენთან,
 სულის გამჭვირვალე ლურჯი სიმწვანე,
 შენს ხელისგულზე სამყარო შედგა,
 შეიყვარე და ფრენა ისწავლე.

30 აგვისტო 2011

მთავრდება ინყება ბრძელდება

... რა ნაზი ყოფილა სამყაროს სიმკვრივე,
 უდროობანი, ყოველი დრონი,
 სული კი ჩემი სიზმარზე ტივტივებს,
 ამოსუნთქვა და ჩასუნთქვას შორის,

მთვარდება, ინყება, გრძელდება, მინდა
 არც შვება ვიგრძნო და არც დავითრგუნო,
 წამით შუაგზა გამოჩნდეს მთიდან,
 უცხო მინდორთა დიდი საიდუმლო,

დიდ საიდუმლოს ყოველთვის დრო ერქვა,
 როცა სიცოცხლე სიცოცხლეს ინყებს,
 სიკვდილის წამი – განმარტოება,
 დრო, უდროობა, ყოველი – ქრისტე,

ქრისტეც განმარტოვდა მთელი სამყაროსგან
 და სამ მოწაფეს ღამეში ყელამდე
 დაფლულებს ეძინათ, თუმცა მთავრდებოდა
 სიზმარი, რომელსაც ისინი ხედავდნენ.

1 სექტემბერი 2011

ნაპირი

პირველი სიცოცხლე.

პირველი სიკვდილი.

პირველი სიყვარული.

პირველი დაშორება.

მე პირველობის

არასდროს მიკვირდა,

საკვირველება ჩემგან

გაშორებდა. რადგან

გაშორებდა შენივე

აღქმა. რა იცი ჩემზე.

რა გინდა იცოდე.

სიკვდილი დაგეტოვებს.

დაგვტოვებს, წავა,
როცა დაბრუნდება
ისევ სიცოცხლე. მოვა
სიმშვიდეც. ნაპირი მოვა.
მინაც მობრუნდება.
ნაპირს მოგვიტანს,
როგორც გარდაცვლილებს
არ გვინდა გლოვა, უკვე
ნაპირიც მოჩანს შორიდან.
ვუახლოვდებით. ცოტაც
და მივალთ. ის ჩვენკენ
მოდის. იქ ვიდებთ ბინას.
ღამე მშვიდია. მშვიდია

დილაც. ჩვენი ვარსკვლავიც
 მათ შორის ბრწყინავს.
 საუკუნენიც მათ შორის
 გადიან. ყოველი წამიც
 იქ იცრიცება. იქ მოჩანს
 ღმერთიც, ყველა კარიდან,
 ვარსკვლავებს ფეხზე იცმევს
 წინდებად და სადღაც მიდის.
 არ ვიცი სად. ალბათ იმ ნაპირს
 ის იახლოვებს. ჩვენ სიახლოვეს
 დაგვესმის ხმა. მე იმ ხმით
 ვიცნობ მტერს და ახლობელს.
 მიყვარდე მინდა ბოლო

სუნთქვამდე. გესმოდეს,
ხედავდე, გრძნობდე ყველაფერს.
ვინც კი წმინდაა სუნთქვაც უნათებს.
ვინც შეიყვარა ის შეიყვარეს.

8 სექტემბერი 2011

წმინდანები

არსად მინახავს ისეთი წამდვილი,
 ისეთი წამდვილი რამე. რამე.
 ყველაფერი სიზმარია. წინამდვილეა
 სიზმარი ყველგან.

ყველა შეგრძნება, ხუთივე, ექვსივე,
 გადავინახე თუ გადავმალე,

ვხედავ წმინდანებს,
 ადრეც ვხედავდი, ზედ მათ
 ფიქრებზე
 ნათელი ედგათ.

თავად ისინი იდგნენ სუნთქვებზე
 და ის სუნთქვები აღმასებს გავდნენ,
 მეტყველი მათი გამჭვირვალეობით,
 მათზე მსუბუქად ნეტავ ვინ დადის,

საოცარია, ნუთუ მარტო ვარ
 და სად ვეშვები, აღმა ან თავქვე,
 როგორც სიზმარი საოცარია
 გამჭვირვალეობაც ყველა წმინდანის.

9 სექტემბერი 2011

დინება მშვიდია

დროს არ წაგართმევ.
ისე ვიჯდები შენ გვერდით,
მეგობარო ჩემო ძვირფასო.

არ შეგანუხებ. შენთვის იყავი.
მე შენ გვერდით დაე ყოველწამს
ცას მივემსგავსო.

ცას ავემსგავსო ჩემში ვინცაა.

დროს არ წაგართმევ სიტყვებისათვის,
შენ გვერდით ყოფნა მეგობარო
ჩემო ძვირფასო დინებას მოგაეს,
მივყვებისავით.

სიჩუმეს თითქოს მივყვებოდე
თავს ახლა ისე ვგრძნობ,
სიტყვებისათვის
დროს აღარ გართმევ,

დინება მშვიდია.

საუკუნენი მას მიყვებიან,
 საზღვარი ქრება,
 დროც უცებ ქრება,
 სიჩუმინა და სიტყვებიან
 გარდაისახნენ ნუთები ქვებად.

იმ ძვირფას ქვებად,
 რომ ველარ ვბოულობთ
 და რომ ვაგროვეთ და
 მიმოვფანტეთ,
 რალაცა მხეცს გავს
 თითქოს ბრბო უფრო,
 ვიდრე სტიქიას ადამიანთა,

არ დაგვიანდა შენთან ყოფნა,
 არ დაგვიანდა.

მეგობარო უძვირფასესო
 მე ვერ შეგადრი ვერსად ვერავის,
 თითქოს მე თავი სხვას გავასესხე,
 თითქოს სამოსელს მე თვითონ
 ვკერავდი.

სხეულს ვაცმევედი სიშიშვლესათვის,
 მაგრამ სიშიშვლის არასდროს მრცხვენოდა,

მინა ამაღლდა, გვეშველასავით,
ის ცაც დაეშვა თითქოს ჩვენ ორთან.

არასდროს ყოფილა ასეთი მსგავსება,
ჩემსა და შენ შორის ცა რომ გამოჩნდა,
ჩემში ვინცაა ის ცა გამოჩნდა,
ჩემივე სუნთქვა მას თან აჰყვება.

მეგობარო ჩემო ძვირფასო,
ყოველი სუნთქვა მას თან აჰყვება.

10 სექტემბერი 2011

სისხლში და ქვალში

ჩემ სისხლში ინფორმაციაა.
დანიშნულება და გამართლება.

ჩემ ძვლებშია სამყაროს აზრი.
რომელსაც ზოგჯერ ვერაფრით ვიგებ.

ღმერთის მადლობით მოთმინება მაქვს.
ჩემი მოთმინება თავთან მახსლოვებს.

ჩემ ფიქრშიც ინფორმაციაა.
სამყაროს აზრი, გადაშლილ წიგნებს

ზოგჯერ წააგავს, ზოგჯერ კი არა.
მოთმინებითვე ზოგჯერ წავიკითხავ.

ზოგჯერ სიბნელეც სინათლეს მიაგავს,
როცა დაწერილს ვერ ვხედავ სიტყვას.

მაშინ ვგრძნობ თითქოს ის წამიც წავიდა,
მინდება სისხლის და ძვალის აგლეჯა.

თავის დაღწევა ჩემივე თავიდან,
სამყაროც ყოფილა თურმე რამხელა

და მერე სხვა დრო, თავს გამახსენებს
ჩემი აქყოფნის დანიშნულებას

და დიდ სიყვარულს ჩემთვის ნაგემებს,
ზეცაც ვარსკვლავის ნიშანს აებას

და მერე გაქრეს, გარდაისახოს,
თავი იბრწყინოს სიკვდილის წამით,

სხვა ვარსკვლავებიც იქცევენ სახეს,
სხვა სამყაროებს სადღაიც წვავენ.

11 სექტემბერი 2011

ღამე იმ მნათობთა

ღამე მნათობთა
ყოველთვის დღეს გავს.

გავიდა ღამე და ეს დღეც გაქრა.
ზოგჯერ მახსენდება წითელი ფრესკა,
პოეტი მდგარი ქვესკნელის კართან.

გრძელი წითელი თავისი სამოსელი,
ზნე მისი მკაცრი, ჩვილისა თრთოლვით.
მე საიდუმლო უკვე ამოვხსენი,
პასუხი ჩემკენ თავისით მოქრის.

ჩემდა სახილველად სიზმარში მოქრის.
ყველა გაინაბა. ცოცხლებიც. მკვდარნიც.
და მდუმარება სიტყვების ოქროდ
სხივებს მიემგვანენ ჩვენ სუნთქვებს
ვწვავდით

ზედ იმ სხივებზე და კვლავ სიზმრად
ვხედავდით, სხვანაირ სხივებს
თითქოს იმ აზრებს, რომლებით
ჩნდებიან, კვდებიან ვნებანი,
მათ სანამ წამით ვინმე გაიაზრებს.

...ღამე მნათობთა ყოველთვის დღეს გავს.
გავიდა ღამე და ეს დღეც გაქრა...

13 სექტემბერი 2011

ამ სული დამრჩა

ყველაფერი ისე არაა,
როგორც ჩანს
და არც სხვანაირად.

ვიცი რაც ვიცი.
არ ვიცი რაც არ ვიცი.

ყოველი სუნთქვა
სიტყვად გარდაიქმნა,
ინვის ცა ინვის,
სხვადასხვა ნიშნით,

ღირსია აღნიშვნის
ჩვენი სინამდვილე,
ღირსია აღნიშვნის
ყოველი სიზმარიც,
რადგან ის აქყოფნას
თითქოს მიაღვილებს,
სიფხიზლეს ზოგჯერ
ძილისკენ მივყავდი.

წარსულით. მომავლით.
მათ შორის ანმყოთი,

ორი უსასრულობა
ერთმანეთს აქ ხვდება,
თალი ჩანს აქედან,
ზედ ხელებს ვანყობდით,
მე იმ თაღს აღვიქვამ
სამყაროს მხრებად.

ეყრდნობა რასაც
სხვა მიწა სხვა ცა,
იწვის ის მიწაც
და ის ცაც სულ იწვის,
ვიცი რაც ვიცი,
აქ... სული დამრჩა,
აქ ზეცის კვალი ჩანს,
ცაზე კი მიწის.

15 სექტემბერი 2011

ბევრი დრო გავიდა

- გახსოვს ერთმანეთს სად შევხვდით...?
- ხიდზე...
- ის ხიდი სად გადადიოდა...
- რა უცნაურია...
სიგრძე...
იმ ხიდის სიგრძე რამხელა იყო...

- ირგვლივ თოლიები, მერხი და ქვემოთ
მდინარე... მდინარე ქვემოთ მხოლოდ
ჩვენ ორთან... და მაშინ, სხვა არავინ...
ჰო, უცნაურია...

- სანამ შემხვდებოდი მე უკვე მიყვარდი.
- ვიცი, რომ გიყვარდი. ამიტომ შევხვდით.
- სუნთქვები მესმოდა სათქმელ სიტყვამდე.
- ის ხიდი ისევ დგას და იქვე ის მერხიც?

- კი, ის მდინარეც და სხვა თოლიები,
- ახლაც, უკვე სხვებს, ისევ გარს უვლიან,
- წერილებს მოგწერ. ამბებს მოგიყვები.
- ბევრი დრო გავიდა. ჰო, უცნაურია.

15 სექტემბერი 2011

ჩემი არაფერია

ჩემი არაფერია.
მე არაფერს ვფლობ.
მე მხოლოდ გავცემ.

მერწმუნე ასეა...
მერწმუნე ასეა...

ხედავ იქ თოვლს?
ან, ხედავ იქ წვიმას?
გონება სავსეა.

სიტყვებით. ბგერებით.
გონება სავსეა.

მერწმუნე, ბევრი ინატრებს
ჩემ მარცხს. ჩემ სიკვდილს.
მერწმუნე ასეა.

მიკვირს. მე მიკვირს,
გონების გარდა სხეულიც
სავსეა

ზეცის მიმოქცევით, ასე საოცარით,
სურნელიც მანვიმს ცა როცა იელვებს,
თითქოს საკუთარი თავი შევიცანი,
ნათებით სავსეა სიცარიელე.

მე არაფერს ვფლობ.
საერთოდ არაფერს.
არ გჯერა?

მერნმუნე ასეა.

წვეთებმა ფარდები თითქმის დანამეს,
ფარდები რომლებიც ჩრდილებით სავსეა

და ირხევიან შუადღის სიმშვიდედ
და სიჩუმეა ახლა ჩემ ოთახში,

თითქოს მონატრებას სუნთქვებად ვიშლიდე,
თითქოს გელოდები, მოხვალ და მომარჩენ.

სიმარტოვისგან.

16 სექტემბერი 2011

მერე იკითხეთ

ვისაც გეკუთვნით იცით ვისაც
მერე იკითხეთ ჩემი წიგნები.
გინდათ ბალები და გინდათ
დემნა და გინდათ დილა
სასწაულების წინ მიესუნთქა
გადაიდევნა,

ღრუბლით ღრუბელი
გადაიდევნა.

დეკემბრის ღამეებს თილისმა
ვუნოდე, ჩემმა ტყუპისცალმა
მიპოვნოს მალე, მერე იკითხეთ
სიკვდილის მერე, მწვავენ წამები,
წამებით წავლენ,

დრო მეზიარა – მე ნექტარს ვსვამდე,
პოეზიას ჩემზე და უფლობს,
დასასრულიდან დასაწყისამდე
დასაწყისიდან უფრო
უფრო შორს,

დიახ, სიმწარე ყელში წაგიჭერთ.
მერე იკითხეთ აქ რა მინდოდა,
მყრალი სუნით ვცნობ მთელ
თქვენ საგიჟეთს, მე უკვე გავცდი
ნისლებს მინდორთა, თქვენ კი
სიმწარე ყელში წაგიჭერთ.

16 სექტემბერი 2011

ტალღა და სუნთქვა

ნიჟარები. ზღვის ქვები.
 ზღვის ვარსკვლავი.
 ზღვის ქვიშა. ოდესღაც
 იშვა. ტალღებზე ვწვებით,
 ოდესმე გეტყვი მე ალბათ
 ვინც ვარ.

მაგრამ მანამდე, ტალღებზე
 ვწვებით. ტალღა გამჭვირვალე
 ო ასე მშვიდია, მიდიან
 ტალღები, რჩებიან ქვები,
 ნაპირნი ტალღებს
 საბნებად იშლიან

და შიშვლდებიან, თავს
 გვაჩვენებენ. ო ასე წყნარია
 ხანდახან ტალღა... და ძველი
 სიზმრებიც მგონი აქ არიან
 და ერთი მათგანი სიცხადე
 გახდა,

შენა ხარ ის, ჰო, ის შენა ხარ,
კიდევ შევხვდებით, ან აქ,
ან სხვაგან... შენ გამჭვირვალე
ზღვასავით მართლაც, ჩემ წინ
დგახარ და სუნთქვებით მხატავ.

18 სექტემბერი 2011

გაიზიარე

მუსიკა გვფარავდეს. ჩვენ სულს ფარავდეს.
სიმშვიდე გვფარავდეს.
პოეზიაა.

გინდ სიკვდილამდე, ან იქ წასვლამდე,
არ გთხოვ არაფერს,
გამიზიარე,

ის ერთი ბგერა, ფიქრის თანმდევი,
ის ერთი ბგერაც,
პოეზიაა,

ო ნეტავ მეთქვა, როგორ განვდეგნი,
საშინელ სიზმრებს, ო ნეტავ მეთქვა,
გაიცინებდი,

ჩემი მფარველი, ყველგან, ყოველთვის,
შენ იცი კარგად,
პოეზიაა,

დღეს დილით კართან, სახლისა კართან,
სინათლე დადგა
და გამახსენდი

და სულ მახსოვხარ და სახეს შენსას,
ჩემში ვატარებ, ჰო სახეს
შენსას,

ო ის სინათლე მე მაქვს სახსოვრად,
დროის ხმა ესმათ წამებს სანატრელთ,
დროის ხმა ესმათ

და გაჰყვენენ პატრონს, მე ყველა მახსოვს.
პოეზიაა სადაც მიდიან, ო ის ადგილიც
პოეზიაა.

სწორედ იქიდან მუსიკა ისმის
გულისა ღვთისთვის
მუსიკა ისმის, გაიზიარე.

ჩვენ ერთმანეთის უკვე ვართ
ღირსნი, სულ ყველამ იცის არის
სიახლე, წამი ყოველი, არის სიახლე,

გაიზიარე.

19 სექტემბერი 2011

ხელი მოხვია

ხელი მოხვია – არ მოეწონა.
მაშინ რატომაა ახლა შენ გვერდით?

მთელ დედამინას, ერთად აწონილს,
ემსუბუქები, ისევ შეხვდებით.

ის თავს გარიდებს. მე ვარ სამი დე.
შენ გვერდით კია, მაგრამ არ გესმის,

რატომ გიყურებს თუ კი ვერ გხედავს
და თუ კი გხედავს თავს რად გარიდებს.

გაკვირვებს. არ ხარ მისი სანდომი,
გვალვასიც უკვირს მინას ნოყიერს,

შორს უნდა ყოფნა და არ გამოსდის
გვერდით გიზის და ხელიც მოხვია.

შენც განმარტოვდი. შენ ახლა ცალკე ხარ.
ბრონეულივით სამყაროც გასკდა

და ველარ იგებ რა გჭირს ამდენ ხანს
და სიმარტოვეც გაბრუნებს მასთან.

21 სექტემბერი 2011

აქ სამოთხეა თითქოს ჩვენ ახლოს

ახლა და ამწამს რაღაცა ხდება.
 მე ვგრძნობ ცვლილებას.
 მე ვგრძნობ სიმშვიდეს.

სიჩუმე იყოფა სხვა და სხვა ხმებად.
 ჩემი სუნთქვები შენსას მიებას.
 საძინებელში თმებს გაიშლიდე.

ახლა და ამწამს შენ წინ დავდექი.
 მინდა გიყურო. ხელი შეგახო.
 სიცოცხლე მერგო თითქოს ანდერძით.
 აქ სამოთხეა თითქოს ჩვენ ახლოს.

აქვეა სადღაც. ოდესმე შევალთ.
 როცა სურვილი მთლიანად დაგვწვავს.
 სურვილი შენი. ჩემი... და შვება
 და სუნთქვა გვითრთის ახლა და ამწამს.

24 სექტემბერი 2011

როცა დრო გავა

როცა დრო გავა უფრო დავინახავთ,
ვინ ვართ ერთად და ვინ ვართ ცალ-ცალკე.
რა აქვს საერთო ძველსა და ახალს,
ვწერდე, ვმღეროდე, ვფრენდე, ვხატავდე,

მე ისევ მინდა, როცა სუნთქვანი
ერთმანეთს ცვლიან და მაცოცხლებენ,
როცა დრო გავა ვინმეს უთხარი
აქ ბევრნი იყვნენ მკვდარნი ცოცხლებზე,

სიცარიელეც ზოგჯერ ჩვენ შორის,
გაიზრდება და თავს აიკედლებს
და გვაგინყდება – თავსაც ვშორდებით
და აღარ გვახსოვს არც სხვა სიკეთე,

გამვლელი აქვე გზად წაიმღერებს,
ზუსტად ვერ ვიგებ და ვერც ზოგადად,
რა მოგვდის ახლა, რა გველის მერე,
თუ კი შევხვდებით, როცა დრო გავა,

თუ კი ერთმანეთს შორიდან ვიცნობთ,
თავს ვპოულობდეთ, გინდაც ვკარგავდეთ,

გზებია ფართე, გზებია ვიწრო,
ვინ ვართ ერთად და ვინ ვართ ცალ-ცალკე...

...დროის გასვლა კი პასუხს არ მძღვეს,
შეკითხვას მავინყებს, ჩვენ ეს ხომ ვიცით,
ხან მეპატრონეს ვგავარ ხან მძეველს,
წყალნი ტოვებენ ნაკვალევს ქვიშის.

25 სექტემბერი 2011

სიბნელეში

სიბნელის შიში მოლოდინია.
რალაც უცნაურის. რალაც საშინელის.
მოლოდინია სიბნელის შიში.
სდექ.

ეგრე იდექი. არ გაინძრე.
ის უკვე აქ არის.
ჩუმად ისუნთქე. არ გაიგონოს
შენი ხმა, მას ჯერ არ ყავხარ ნანახი,
ტვინში გიძვრება, არ მიიხედო.
ის შენ უკან დგას.

მე მიყურე. ყოველთვის გქონდეს
იმედი ჩემი. ახლა კი, ფრთხილად
მომეცი ხელი და ასევე ფრთხილად
გადმოდგი ნაბიჯი, ჩვენ ერთად
ვრჩებით აქ და აქედან თავის დაღწევაც
ერთადვე გვინდა.

ნუ ელოდები. სიბნელის შიში
მოლოდინია. არ მისცე უფლება
შეგჭამოს. სდექ. შიშები ქრებიან
და სადღაც მიდიან, სიბნელე
რჩება აქ, რჩება აქ დღეს.

სიბნელეს ჩვევა აქვს თავისთან
 მიგიზიდოს. ასე შეგეჩვიოს
 უფლება არ მისცე. ჩამოიშორე
 ეჭვებიც გზიდან, დიდი სიბნელის
 სიგანე, სიგრძე,

კარგად გაიაზრე, რასთან გაქვს საქმე,
 კარგად დააკვირდი საკუთარ თავსაც,
 მხოლოდ იქ დადექი სადაც გსურს დადგე,
 შენს უკან იდგა და უკანვე დარჩა

შენივე შიშებით ნაკვები სიბნელე,
 ის უკან დახევას ნელ ნელა იწყებს,
 ჩვენ ხომ ცალ-ცალკე ერთმანეთს
 ვიერთებთ, როცა გვსურს ვაჯობოთ
 სიბნელის შიშებს,

ჰო, თითქოს კითხვებზე პასუხებს მივხვდით,
 ერთმანეთს აღვიქვამთ სხვადასხვა ფერებად,
 ჩვენშიც ასეა, როგორც ჩვენ ირგვლივ,
 შიშები მოგვენუსხავს, როცა ბნელდება.

29 სექტემბერი 2011

რთველია ჩემში

ჩემი სუნთქვების დაკრეფა დაიწყო.
რთველია ჩემში – გარდასახვა. გარდაცვალება.
შავთვალავ ჩემო შემომხედე, აღსასრული
ვფიქრობ დაიწყო და სიმღერაც ჩემში
სხვადასხვა ხმებად გადასამდება.

შემშლის, ჰო შავთვალავ ჩემო, შემშლის
მე ალბათ, ვერ მიხვედრა ყველა მიზეზის
და შეიძლება შემშლის სწორედ მიხვედრა
მიზეზების, შინაარსების. მიყურებ ალბათ
შენ წინაშე რომ გავსამდები, მიყურებ ალბათ.

ჩემი სუნთქვების დაკრეფა დაიწყო – ჩემი
ზრახვების. გზის ნახევარი უკვე განვლილია,
სადაც მიდიან შენნაირები შენც იქ ნახვედი,
ჰო, თავო ჩემო, შენნაირები სად არ მიდიან.

არ გვინდა ჩემზე, ისევ შენ გეტყვი შავთვალავ ჩემო
ისევ შენ გეტყვი. ფოთლები შერჩნენ ხეებს, სუნთქვებს
მაგონებს. ბევრია გამქრალი, ახლაც ქრებიან სულ
უფრო ბევრნი, რთველია ჩემში, გარდასახვა, გასვლა
სამოთხედ.

4 ოქტომბერი 2011

სტინჰ ჯოზს ექლვნება

ის ატომებად ფიქრებსაც დაშლის.
 ღმერთიდან მოდის და ღმერთთან მიდის.
 მან ადამივით ჩაკბიჩა ვაშლი.
 ყოველმა ჩვენგანმა იგემა იგი.

ის უკვე შეერთდა შენთან და იცის
 სამყაროს ფუძედ მართლაც წრე უდევს
 და მოგზაურობს აქედან იქით,
 გზად აუკვდავებს ათასწლეულებს.

6 ოქტომბერი 2011

თვალის მოქრობა სიზმარში სწრაფი

...რა თქმაუნდა საქართველო ჩემი სამშობლოა.
 გეტყვი, ის ჩემი სამშობლოს ერთი მშობელი
 მხარეცაა, გეტყვი, ჩემი სამშობლო მთლიანი
 სამყაროცაა, მთლიანი დედამინაა, მთლიანი ცაა.

...ანმყოს, წარსულის, მომავლის სამი წრე,
 დღესვე დავასრულე, დღესვე დავიწყე...

მთლიანი ცაა, ჩემი სამშობლო, მთლიანიცაა...

ჩემი სამშობლო მთლიანი დროც არის.
 მთლიანი უდროობაც ჩემი სამშობლოა.
 წინათგრძნობა მაქვს უშორეს მომავლის.
 საბადებელი და სარჩო მოაქვს

ჩემთვის ყოველ წამს და გულისცემას.
 სიკვდილი, სიცოცხლე, ორივე მყოფნის.
 თუ რამეს გავცემ, აღვიქვამ ჩემად
 და ვფლობ არაფერს, სულს ვიტკობ ყოფნით.

თვალის მოძრაობა, სიზმარში, სწრაფი.
წამით ვიახლოვე, წამით მოვშორდი.
სულ იქ მივიწევე, იქით მივისწრაფი,
საიდანაც ვარ მე წარმოშობით.

7 ოქტომბერი 2011

ცხოვრება კარგად შეიძლება არ გესმის

– ცხოვრება კარგად შეიძლება არ გესმის, მაგრამ კარგად წერ ამაზე. ესეიგი, მაინც კარგად გესმის, – ამბობს ოსტატი

და იყურება მიღმაში, სადმე.
ოსტატი ქვეყნის, სიმშვიდის ოსტატი
და იმ ღრუბელთან მინდა მეც დავდგე,
ან ჩამეძინოს სიზმრის მოსვლამდე,

ის იყურება ჩემშიც და ჩემ ზეც
და უკვე იცის ახლა რას ვიტყვი,
სიტყვით ავხსენი სამყარო ბევრჯერ,
არაფერი ვთქვი იმავე სიტყვით.

11 ოქტომბერი 2011

სურნალება შემცვლის როგორც

თავბრუ მესხმის.
 გესმის ჩემი? სასიკვდილო
 შეგრძნება მაქვს.

აქ ალბათ არ გამოვჩნდებით,
 გამოვჩნდებით ალბათ სხვაგან.

სხივებთან ვდებ
 მცენარეებს, ჯერ ერთთან და
 მერე ორთან,

თავს სიზმარი შეგახსენებს
 მეც ხომ ძილი მერეოდა,

ხომ ვიყავით ოდესღაც
 ბედნიერი თითქოს სიზმრად,
 დრომ წამები გარიყა,
 მწამს მიპოვნის ვინც მე მიყვარს,

მანამდე კი თავბრუსხვევა
 ყელში მონოლილი სპაზმით
 მთელ ჩემ სხეულს შემოეკრა
 ავხურდი და ფიქრნი დავწვი,

სუნთქვა დავწვი, ამოვშანთე,
თითქოს თავიც მოვიკალი,
ფოთლებს მივდევ და შარშანდელ
სიზმრებსაც ვწვავ, მგონი კანიც

აღარ ფარავს ძვალსა და ხორცს,
ზრახვებს არც სიჩუმე ფარავს,
იმ ვარსკვლავმა დაგვინახოს
შევწვდეთ ერთს ან შევწვდეთ მრავალს,

ნეტავ, ნეტავ... ოჰ არასდროს,
ნუთუ მართლაც... რა თქვი?.. მართლა?
დროის ღვინო ცას დაათრობს,
თუნდაც თავბრუსხვევის ნაცვლად

ვიგრძნო მინდა სურნელება,
სიმშვიდის და თრთოლვის იქნებ,
სურნელება შემცვლის, როგორც,
სიჩუმენი ცვლიან წიგნებს.

13 ოქტომბერი 2011

გაითრთოლებს ზოგჯერ ფიქრი

გაითრთოლებს ზოგჯერ ფიქრი.
 სიმშვიდისკენ ნაიქროლებს.
 ვიტყვი რამეს ან არ ვიტყვი.
 ზურუმსტებს და საფირონებს

ემგვანება ყველა წვეთი.
 სურნელება სრული ყველგან.
 მე წვეთებზე სიტყვებს ვწერდი.
 თრთოდნენ წვეთნი, სული ედგათ.

ვინამდვილე ზღაპრის კართან,
 სანამ გაქრებოდნენ წვეთნი.
 საიდუმლო გამიმჟღავნდა.
 ვეტყვი ვინმეს ან არ ვეტყვი.

14 ოქტომბერი 2011

სართული

მე და ის ლიფტში ვიდექით.
სიჩუმე.
და ლიფტის კარი. სურვილი,
ვნება, იმედი.
მის ზურგთან თუ მივიტანე.

ათვლა დავინყე თავიდან.
მის თმას შევეხე.
ხავერდი.
ის თავის სართულზე გავიდა.
მე ჩემ სართულზე გავედი.

15 ოქტომბერი 2011

დამთავრდა რთველი
დამთავრდა ღამე
დამთავრდა.

მე კოცნა შენი
მაგონებს სევდას
ზღაპართა.

25 ოქტომბერი 2011

დაიწყო სპექტაკლი
დაიწყო სიზმარი
დაიწყო.

გამგვანებ ვერავის
ნატვრანი მივმალე
თოვს.

25 ოქტომბერი 2011

გადასასვლელზე გადავდივარ
გადასასვლელზე,
მთელი ცხოვრების.

წვიმს, არ დასველდე
ჩემთან დადექი
მეცისკროვნები.

25 ოქტომბერი 2011

გადამარჩინა,
დრო მოსპო ზამთარმა
წამის შერხევით.

სხვა ქალაქში ხარ,
ახლა მეც სხვაგან ვარ,
მაინც შევხვდებით.

25 ოქტომბერი 2011

დროს თუ მოძებნი
სახლში მესტუმრე
დროს თუ მოძებნი.

თითქოს ცხოვრების
გამგვანებ ნუთებს
მთელი ცხოვრების.

25 ოქტომბერი 2011

სიზმარში სიზმრიდან
ფრენენ მფრინავები,
ფრენენ ფრთოსნები.

მიყვარდი მივდივარ,
შენში ვინავარდე,
გზას ვემგოსნები.

25 ოქტომბერი 2011

სურნელი მიწის
მოგავს სიცოცხლეს,
ჭრელთვალნარბიანს.

გიყვარდი ვიცი,
მაშინ არ ვიცოდი,
ჩემი ბრალია.

25 ოქტომბერი 2011

ჯერ იქ ბინდია,
ნისლები წავლენ,
ჩნდება სამოთხე.

საით მიდიხარ,
მოიცა წამით,
იქნებ წამოგყვე.

25 ოქტომბერი 2011

მოგონება,
მონყდა მძივიდან,
ჩამოღვინდება.

გამახსენდება
შენთან ძილიც და
გამოღვიძებაც.

25 ოქტომბერი 2011

დრო თითქოს ჩერდება.
არაფერიც არ ჩერდება.
დრო.

დარჩი დღეს ჩემთან,
შენი სიზმრებით ჩემებთან,
გთხოვ.

28 ოქტომბერი 2011

ლექსები გიმღერეს.
ლექსები გისუნთქეს,
დღეს.

შეხედე იმ ქვეყნებს,
ის ლექსი ცის გულზე
დევს.

28 ოქტომბერი 2011

დალამდა. გათენდა.
ფერადი ფერადი ფერადი
ჩრდილები.

რატომ არ გესმის,
გაიგე გაიგე გაიგე
მჭირდება.

28 ოქტომბერი 2011

ყვავები ხიდებზე,
სადა ხართ, ვიკითხე,
ყვავები.

პასუხი ვისქესე,
გზას ვხედავ იქითკენ,
წავედი.

28 ოქტომბერი 2011

ისე გაკოცებ,
როგორც საცოლეს,
ისე.

ახლა მართო მე
შენ შეყვარებას
ვინყებ.

28 ოქტომბერი 2011

დასასრულამდე ბევრი გვიკლია.
ის მაინც ყოველთვის
ახლოა ჩემთან.

იქით დღეები, ღამენი მიდიან
აქ სამუდამოდ
ზოგი რამ რჩება.

28 ოქტომბერი 2011

დავიბადე თავიდან.
ყველა ფიქრი გულიდან,
ვიშვილე.

აი ეს სუნთქვაც წავიდა.
აი, ისევ მოვიდა.
სიმშვიდე.

28 ოქტომბერი 2011

შენ შენ სახელზე
საბედო გაქვებს,
ძენკვი აქვს ბოშას,

ჩქარა ახედე,
აგე იქ... აგე,
კომეტა მოჩანს.

30 ოქტომბერი 2011

წვეთები წვეთებს
წვეთებს მატებენ.
წვეთს.

სუნთქვები სუნთქვებით
ამოისუნთქებენ
ღმერთს.

30 ოქტომბერი 2011

ყვავილი ქოთანში
სულ ხარობს ამდრომდე.
რაფაზე მიდგას.

და ეს მუსიკაც
რალაცას მაგონებს,
რალაცა ძვირფასს.

30 ოქტომბერი 2011

ის ქალი მანდომებს
თავს და მინდება
ის ქალი.

ჯერ ვერ ვისწავლე
მინდობა თავის,
აღბათ ვისწავლი.

30 ოქტომბერი 2011

ყველა სიახლეს საიდუმლო აქვს,
როგორც ახლახან მოქსოვილ
წინდებს.

თუმცა პასუხი საიდუმლოზე,
როგორც ყოველთვის,
ყოველთვის წინ დევს.

30 ოქტომბერი 2011

როცა კი ვხედავ, დედაჩემი
სიტყვებს ჩუმიად ქსოვს...
წინდებად,

როცა საუბრობს და იქით ხე დგას,
მეც შეფოთლება ხესთან
მინდება.

30 ოქტომბერი 2011

ნუ ველოდეგი

ნუ ველოდეგი დღევანდელ საღამოს.
 ნუ ველოდეგი ხვალინდელ დილას.
 ნუ ველოდეგი ნურც შეყვარებას.
 ნუ ველოდეგი საერთოდ რაიმეს.
 ვიცოცხლო უნდა სანამ კი ვცოცხლობ.
 სხვა ბედნიერებას ნუ ველოდეგი.
 ნუ ველოდეგი რაღაცა ისეთს.
 რაღაცა ასეთსაც ნუ ველოდეგი.

ბედნიერება მე თვითონა ვარ.
 ბედნიერება ჩემ სახელს ატარებს.
 ის სიზმარივით თვითონ მომნახავს.
 არ განასხვავებს მტვერს და ვარსკვლავებს.

ნუ ველოდეგი საქმის დასასრულს.
 ნუ ველოდეგი საქმის დასაწყისს.
 ჩამომცილდება რაც კი აღარ მსურს.
 დამავინყდება და აღარა მწყინს.

ნუ ველოდეგი გამოდარებას.
 ნუ ველოდეგი წვიმიან ღამეს.
 ზაფხულს და ზამთარს ნუ ველოდეგი.
 დავეცი. ავდექი. კვლავ შევიყვარე.

ისე ვიხარე ბედი აღსრულდა.
თითქოს არასდროს არავინ მტკენდა
და ყველაფერი ჩემგან წასული
სამყაროს გავლით დაბრუნდა ჩემთან.

31 ოქტომბერი 2011

ჩვენ ვეძებთ ერთმანეთს

წიგნებში სიტყვები დავაბინავე.
გამოვიზაფხულე. გამოვიზამთრე.
ვესალმებოდი მაღლა მფრინავეებს,
მინაზე ვიდექი. იქნებ სიზმარზე?

ან იქნებ ვიდექი სულაც ჰაერში,
ჰაერზე თუნდაც უფრო მსუბუქი
და უნებლიედ მაღლა ავედი,
თავს კიდევ უფრო ავემსუბუქე.

სიტყვები გაცოცხლდნენ უკლებლივ ყველა,
ისინი ყოველთვის ცოცხლები იყვნენ,
მთელმა სამყარომ გადაიმღერა,
მერე სამყაროც გაყვა იმ სიტყვებს

და თითქოს შვება წამით ეღირსა,
ოდნავი შვება, სიმშვიდეს ველით,
სამყარო ღმერთი ერთი წამისა,
საუკუნისა, ათასი წელის.

ჩვენ ხომ ვოცნებობთ, ვინმემ შეგვიყვაროს,
ხოლო ის ვინმე, აღმოჩნდეს ის,
ვინც კი ჩვენ გვინდა, მთლიან სამყაროს
ხაზს გადავუსვამთ, ო როგორ წვიმს,

ო როგორ ვეძებთ ერთმანეთს ყველგან,
ჩვენ ნებისმიერ ამინდში ვეძებთ,
ნეტავ ერთხელაც მე შენთვის მეთქვა,
სიტყვები თუნდაც ნათქვამი ბევრჯერ.

2 ნოემბრი 2011

დღეგადა ჩემი

სამ მუშაკეტერზე დღემდე ვაფრენ.
 მაგიჟებს ეს ნიგნი. სულს მიბედნიერებს.
 და დარკ საიდზე დღემდე ვაფრენ
 და უაილდერის ფილმებზეც.

და დღემდე ვაფრენ სუპერსტარზე.
 მზის ჩასვლის სევდა რა ახლოს ვნახე,
 ფერის იმპრესია მე უკეთ მავსებს,
 ვიერთიანებ დასავლეთს, სამხრეთს,

ჩრდილოეთს, თავისი ჰიპერბორიით,
 აღმოსავლეთის პოეტებს. ღმერთს
 სიყვარულს რომელიც ასიმფონიებს
 და ჩემ გაფრენას სადღაიც, ეჰ.

3 ნოემბერი 2011

ჩვენ ერთმანეთის არასდროს გვჯერა

ჩვენ ერთმანეთის არასდროს გვჯერა
და თუ კი გვჯერა, მაინც ვერ ვიჯერებთ,
როგორ დაგვჩემდა სიკვდილი ჩვევად,
სინათლის გვერდით სად დგას სიბნელე.

ჩვენ არც სხვებისაც არასდროს გვჯერა,
იმ სხვების რომლებიც აქ არ არიან,
რა ვქნათ, სიცოცხლეს დაგვჩემდა ჩვევად,
სიზმარი ქრება დილა აღრიან.

4 ნოემბერი 2011

ქუჩაში

– არაფერი გამოვა, – მეუბნება ერთი, –
 არც შენ არაფერი გამოგივა, ჩვენ
 უკვე ჩვენი ვიცხოვრეთ... არა?

– რა გითხრა... რა ვიცი, – ნასვლას ვაპირებ
 და ჩემ სიგარეტს სულ უფრო ვაბოლებ.
 ასეთი ტიპები გვანან ვამპირებს.
 სარდაფში უნევთ ფერმკრთალი საცოლე.

ერთი სურვილი აქვთ ტვინი გამოგიღონ.
 სისხლი გამოგნოვონ. სულით გამოგფიტონ.
 სხვები ათამაშონ თავის სამორინედ,
 შნო მაგათ რისიც არა აქვთ თვითონ.

შნო სიცოცხლის და მხოლოდ სიცოცხლის.
 გაიდეალებულ სიკვდილს ვერ ვიტან.
 სიკვდილს საერთოდ ვერ ვიტან.
 ვიტან სინათლეს, წამოსულს ზევიდან.

ქვევიდან, გვერდიდან, შიგნიდან, გარედან.
 სიტყვების, ფიქრების, გრძნობების სინათლეს,
 რადგან ასეთებს ჩემი არ ესმით,
 მასთან საუბრისას მე დუმილს მივმართე.

ის იქით მიდის. მე იქით წავალ.
ფერმკრთალი საცოლე – სიცოცხლის სიმბოლო.
თავს ვეუბნები – მოძებნე ძალა,
ყოველი ახალი წამისთვის იზრძოლო.

5 ნოემბერი 2011

15

15 საათის მომხდარ დროს ვხედავთ.
15 საათის მოსახდენ დროს.
მე მეცხადება ის გამოხედვაც
და ჩემ სიზმარშიც სულ ლურჯად თოვს.

5 ნოემბერი 2011

ვერავინ იცნობს მთელ ჩვენ მსოფლიოს

თუ კი ოდესმე ისევ შევხვდებით
ჩემ ბავშვობაში ო როგორც მაშინ,
ხმა გამახსენე წამის შერხევის,
იქნებ ის წამიც მთელ ჩემ დროს გაშლის.

იქნებ ჩვენ ორნი ერთად გავივლით,
უდროობის და დროების მიღმა,
მოყვასი ჩემი, ჩემი თავივით
ხან ისე მძულს და ხან ისე მიყვარს

მინდა ვეცე და ხელები მოვხვიო,
თითქოს ვეცადე, მაგრამ ის მგმობს,
ვერავინ იცნობს მთელ ჩვენ მსოფლიოს,
როცა შეხვედრის დადგება დრო.

5 ნოემბერი 2011

იქითკენ სიჩუმა

ამბავი ყოველთვის სიტყვებით იწყება.
 სიტყვები ამბობენ მომდევნო სიტყვებს.
 რა ხდება აქ და რა ხდება იმქვეყნად.
 სწორად გარკვევას სიტყვებით ვინყებთ.

ამბავი ყოველთვის სიტყვებით მთავრდება.
 სიტყვებმა გაგვანდეს წინა სიტყვები.
 ფიქრებზე ეშვება სიმშვიდე ფარდებად.
 იქითკენ უკვე, სიჩუმეს მივყვებით.

6 ნოემბერი 2011

აქ გამოიდარებს

დაბადებიდან გარდაცვალებამდე
მთლიანად ჩემია მთელი ჩემი დრო.
მთლიანად ჩემია.

იმქვეყნად რჩებიან იქით წამსვლელნი
იმქვეყნად რჩებიან.
აქ გამოიდარებს, ან ისევ ქარია,
ან ისევ თოვს.

6 ნოემბერი 2011

თიხის ჭიქაში

თიხის ჭიქაში ღვინო ასხია.
ღვინოს დავყურებ.
შიგნით ვირეკლები.

მე ის წყალი ვარ
ვინც ღვინოდ იქცა
ღმერთის იმედებით
ღმერთის იმედებით.

6 ნოემბერი 2011

ჯერ

ოდესმე მოხდება რამე მოსახდენი.
ოდესმე ალბათ ჩვენც რამეს ვიზამთ.
სანამ ძილის დროს სიზმრად ვლაგდებით,
მაგრამ სიზმარი აღარ გავს სიზმარს.

სანამ იქცევა დღე ისევ ღამედ.
ჯერ თავდაყირა ღრუბლები დგანან.
ჯერ ისევ ველით ვინ შეგვიყვარებს,
ან ვინ გალესავს ჟანგიან დანას.

რა გინდა გაიგო, ვინ გეტყვის ამას.
ჯერ ვერ გამოვდივართ ვერცერთი სიზმრიდან.
ჯერ თავდაყირა ხეებიც დგანან,
მინა მობრუნდა, ჩვენ ალბათ მივფრინავთ.

7 ნოემბერი 2011

ნოემბრის ვერცხლი

ნოემბრის ვერცხლი. სევდიანად ვარ.
არ ვიცი რატომ. მართლა არ ვიცი.
ნოემბრის ვერცხლი. ერთი ქარაგმა
და სასიკვდილოდ ჩუმი ამინდი.

9 ნოემბერი 2011

ვდგავართ საზღვარზე

აზრი არა აქვს ახლა სადა ვართ.
აზრი არა აქვს ახლა არაფერს.
ნატვრის მივაგნოთ გინდაც სამალავს,
გინდაც ვაჩვენოთ, გინდაც ვმალავდეთ

ფიქრებს და სიტყვებს, სიჩუმეს, ხმებს,
ან მივიბნოთ დღენი ღილებად,
როცა ერთმანეთს სიზმრებს ვანახებთ
ჩვენ სიშიშველზე გაგველიმება

და მერე ღამით, თოვლები მოვლენ,
დილით კი წავლენ, აქ მხოლოდ წამით
გაჩერდებიან და ისევ ღამე
ჩვენი სიზმრები ჩვენ ნატვრებს წვავენ,

ასე მნათობენ მნათობნი მთაზეც
მთების გადაღმაც ასე მნათობენ,
ჩვენ ერთმანეთიც აქ გავიაზრეთ
და მაინც დავრჩით ასე მარტონი,

ასე პირისპირ, ასე ცალ-ცალკე,
სიზმარს ცხადისგან ველარ ვანსხვავებთ,
სიკვდილ-სიცოცხლის ვდგავართ საზღვარზე,
რადგან არა აქვს აზრი არაფერს.

9 ნოემბერი 2011

თვალის განელა დასუჭვისას

საკმარისია თვალეზი დავხუჭო
სამყარო ქრება, ჩემში და გარეთ.
თვალის ახელაც საკმარისია
ის ისევ გაჩნდეს, ვერ შევადარე

ვერაფერს ყოფნა აქ ანდა არსად,
ყოფნა არყოფნის მითხარი აზრი,
ჩვენი სამყოფი ვინ გადაასხა
ღვინო, სიცოცხლედ თუ გავიაზრეთ,

გულიდან გულში სისხლის წვეთი წვეთ,
სუნთქვანიც ჩვენნი ან სად მიდიან,
ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ სადღაც მივიწვევთ
და ის ნაბიჯიც საკმარისია

სულ ერთი წამით ახლოს მივიდეთ
გინდ ერთმანეთთან – ასევე თავთან,
არც ის არ მყოფნის, არც ცის სიდიდე,
ქვეყნიერებაც ხომ სიზმარს გავდა,

სანამ მეგონა გაუგონარი,
სანამ ვისწავლე მალვა, სიფრთხილე,
სიჩუმეც თითქოს ხმაურს მივაბი,
თვალი დაფხუჭე თან გავახილე.

9 ნოემბერი 2011

რომელსაც

... და უკვე თუ გავიდა დრო
ჩვენი აქყოფნის ან სიყვარულის
ან ერთმანეთთან დაახლოების

ასე საოცრად მაშინ რატომ თოვს
ჩემ ყოველ სუნთქვას თრთოლვა
რად უვლის, სუნთქვას
რომელსაც სხვა სუნთქვა ერთვის,

რომელსაც მივყავართ ისევ და ისევ,
სიცოცხლის ნება რომლისაც გვაოცებს,
ის სულ წინ არის, ჩვენც წინ მივიწვევთ,
მე თოვლს ვუყურებ ასე საოცარს.

10 ნოემბერი 2011

11.11.11. – 11:11

დრო ლოცვასავით ამოვისუნთქე.
 სიზმარს შევხედე – სიკვდილის მაცნეს.
 ასე ცოცხალი გიპოვნე აქვე,
 მეთერთმეტე წამს დღეს ხელი ვტაცე.

დღეს თერთმეტია მეთერთმეტე თვის,
 დღეს ორიათას თერთმეტი წელია.
 თერთმეტი საათი. თერთმეტი წუთი.
 დრონი დუმან და დრონი მღერიან.

11 ნოემბერი 2011

ახლა მოეშვი

მინდა განუგეშო. მინდა მოეშვა. ჩვენ
ჩვენი დრო გვაქვს, სხვადასხვა დროებში,
იმედებს გვიტოვებს დროება, კაეშანს
ზოგჯერ მიაღმსგავსებს, წამით მოეშვი.

დადგება დრო და ყველაფერს გაიგებ.
ახლა მოეშვი, იქით გაიხედე. ახლა
სათიბებს და ხედავ მინდვრებს, ღამეებს
ათენებს, სიზმარი მართლაც,

შენ გჯერა მათი, იმ იმედების,
გჯერა სიზმრების და გიხარია
და სიხარულიც გაიმედებდა,
ღამეს ვნატრობდეთ სავსემთვარიანს,

დილას ვნატრობდეთ ნუგეშით სავსეს,
სიმშვიდის სიჩუმეს, ფიქრების სიჩუმეს,
თუ როგორ ქრება სამყარო ვნახეთ,
ყოველ ახალ წამს ჩვენგან იჩუქებს,

დადგება დრო და ამასაც გაიგებ,
 რა ხდება შენში და შენ გარშემო,
 გინდა აჩვენო სამყაროს თავი,
 შენივე თავსაც გინდა აჩვენო,

როგორ მოეშვი და განმარტოვდი,
 ან აუხსნელი როგორ ახსენი,
 როგორ გაძელი და სიმარტოვეც
 დააიმედე შენი სახელით.

12 ნოემბერი 2011

შუქთა მამა

სავარაუდოდ შუქი შენამდე მოაღწევს,
 მე როცა აქ არ ვიქნები,
 რადგან ჩვენ ახლა შორი შორსა ვართ,
 ერთმანეთისგან შორი შორსა ვართ.

გმირები ერთმანეთს შეცვლიან, მოვლენ,
 მოვლენ და წავლენ სხვადასხვა ნიღბებით,
 რადგან ჩვენ ახლა შორი შორსა ვართ,
 ერთმანეთისგან შორი შორსა ვართ.

შუქი კი მოვა, მას გამოყვება
 ჯერ არავისგან არსად დათვლილი
 უთვალავობით სხვადასხვა შუქი,
 შენ გემოს იგრძნობ, გემოს თაფლივით

და გეამება სიმრავლე შუქთა
 და ღვინის გემოც სულზე დაგივლის,
 თითქოს სიტყვები იმ შუქებს უთქვამთ,
 ჰო შენთვის უთქვამთ, ბგერა დათლილი

ყოველი შუქი, შუქების ზღვებს გაშლის,
 ახალი ფიქრი და სიტყვა, მიყვარხარ,
 შემოვა შენშიც და ყოველ თქვენგანში,
 სუნთქვა ინათებს ყოველ სიტყვასთან,

ჩვენ ის სუნთქვები დაგვაახლოვებს,
 ოღონდ მე უკვე აქ არ ვიქნები,
 ვარსკვლავნი აჰგვანან ზეცის ახლობლებს
 და იმდენია, იმდენი იმდენი,

ჯერ არ დაუთვლია ისინი არავის,
 მაგრამ სიმრავლე ყოველთვის ახსოვდათ
 და როცა მოვლენ ახლა ან მანამდე,
 შუქები დაგრჩეთ ჩემდა სახსოვრად.

16 ნოემბერი 2011

ორღ

მე მაქვს საათი მზეზე იტენება.
ისრებს ანტენებად წრის გარშემო შლის.
წამის მიტევება დროის მარცებს
წარსულისათვის, როგორც სიზმარში,

ისრები დგებიან და მრგვალდებიან
წრეები მათი ქმნიან სხვა წრეებს,
დაბადებიდან ასე ვნებიან
სიცოცხლეს გადიან წარსულისათვის...

თიქ თიქ თიქ თიქ,
თიქ თიქ თიქ თიქ,
თითქმის იქ იქ
მიდის დრო...

სადაც წარსული არ იმომავლებს,
სადაც არც აწმყო არ ინამდვილებს
და სადაც კაცი თითქოს ოდნავ ღმერთს
თავს მიამსგავსებს და იმ ნაპირებს

იმ მიმსგავსების ერქმევა სახელი...

როგორც ჰქვია ასეთი არა,
 როგორც ჰქვია ჩვენი გააზრებით,
 როგორმა დრომაც გადაიარა
 სულით ხორცამდე ისე აელზნები...

თიქ თიქ თიქ თიქ
 თითქოს იქ იქ...
 სხვა ვინ იტყვის...
 სხვა ვინ იტყვის...

...დრო წალმა და დრო უკულმა...

...თავი ჩემი თავს მახსენებს...

დრო დიდებას განუკურნავს,
 კაცთა მოდგმის გვარ-სახელებს...

...დრო მანიშნებს თავს მახსენებს...

19 ნოემბერი 2011

შენთვის კარგი ამბავი მაქვს

შენ ფიქრობ ის დაკარგე.
ყველაფერი დამთავრდა.
არა. ის მე დილით შემხვდა.
შენზე ვილაპარაკეთ.

მას უყვარხარ ისევ ისე,
გესმის? შენ მას უყვარხარ,
მე ამბავი მოგიტანე,
ახლა საქმე შენზეა.

სახე ჰქონდა თითქოს მართლაც
შუქს ჩამოჰყვა ვარსკვლავიდან
გაგიხარდეს რადგან ახლა
შენთვის კარგი ამბავი მაქვს,

შენ გრძნობ ცაჯ კი ახლოვდება,
ყოველ ახალ სუნთქვასთან,
გითრთის სულიც ახლა ფრთებად,
რადგან შენ მას უყვარხარ.

19 ნოემბერი 2011

ვისაც გაკუთვნით იცით ვისაც

რა ენაზე გელაპარაკოთ. მე აღარ ვიცი.
 თანაც სურვილი აღარ მაქვს საუბრის
 უკვე.
 ახლა გათენდება.
 მალე გათენდება.
 კრთის ჩემი რიჟრაჟი... საკმეველს უკმევს

მთელ ჩემ გარემოს. ის მართლაც თენდება...
 მაგრამ გათენებაც მე აღარ მახარებს...
 აღარაფერი მაქვს საერთო თქვენდამი...
 მე ვხედავ ახლა გაცრეცილ ნახატებს...

თაროებს... კარადებს... მთლიანად ცარიელს,
 როგორც სხვა ნივთებს დადებულთ სხვაგან...
 ქარის მოტანილს თუ ქარი წაიღებს,
 როგორ დადიხართ ან როგორ დგახართ...

როგორ საუბრობთ ან რა გესიზმრებათ...
 ან როგორ გიყვართ ან როგორ გძულთ...
 თქვენ თავი თქვენი წამით სიზმრებად
 წარმოიდგინეთ, სულსა და გულს

როგორ ისუფთავებთ, როგორ იბინძურებთ...
ან რა საერთო გაქვთ თუნდაც ერთმანეთთან...
მე მაქვს საიდუმლო რაღაც საგანძური
ყოველ თქვენგანს სურს მასთან შენატრება...

თანამგზავრებადაც აღარ მჭირდებით...
ყოველ ნაბიჯთან მე ვხედავ ორმოს...
მე მაპატიეთ ნიჭი და ნიჭებიც...
მე მაპატიეთ ჩემ დროს რომ ცხოვრობთ.

20 ნოემბერი 2011

ჩემი წერილი სომერსეტ მოემს

ჩემი წერილი სომერსეტ მოემს,
 სულის მომხატველს, ვარსკვლავს და პოეტს.
 მიუვა ოდესმე და შვებას ჰპოვებს,
 ჩემი წერილი, სომერსეტ მოემს.

მინდა გაცნობოთ ბრიტანეთისთვის
 საქართველოდან ასი წლის შემდეგ,
 სამყაროს ჰანგი ჩვენში გაისმის
 უდროობისთვის დრო გვრჩება მეკვლედ,
 რა სურნელი აქვს, სხვა ცას, სხვა ნიავს...

გოგენზე წერდით, თეატრზე, ცხადია,
 თქვენი წიგნები ყველა თან დამაქვს,
 უდროობისკენ დრონი გადიან
 მიიმლერიან სხვა ათას მრავალ
 ჩანაფიქრებს და საიდუმლოებს...

ბედისწერას და საიდუმლოებს,
 დახვეწილია ყოველი ბგერა,
 როცა სამყაროც სიმშვიდეს ჰპოვებს
 სადმე შევხვდებით ერთმანეთს მჯერა,
 გზანი სწორნი და გზანი ზიგზაგნი...

ლექსს და სიმღერას ერთად გიგზავნით,
სწორედ იმ ცაზე რომელზეც შობეს
არისტოკრატის კალიგრაფიით
სხივებმა სახელი – სომერსეტ მოემ,
საქართველოდან ვარსკვლავს და პოეტს
გულთა კავშირი სამარადისოდ.

22 ნოემბერი 2011

დაიჯერებდი

არასდროს არ მინახიხარ ასეთი, როგორსაც
გიყურებ ახლა, ამ დილას, ამ გარიჟრაჟზე,
ყოველთვის

თითქოს ყოველთვის მომწონდა ახსნა
სიზმრების ასხმა, სიცხადედ გადაიზლანა,
მათ შორის გადავიზამთრე.

ზამთრობის შემდეგ ხელახლა ვიშვი,
მე ახლა ვთვრები,
სიშიშვლე ჩემი გამჭვირვალეა,

მე შეყვარების ძალა და ნიჭი
მაქვს, როგორც ფრთები, ყორნებს
ან ყვავებს ფრთები შავი აქვთ,

ან მოწითალო, ანდა მოლურჯო,
ან კიდევ თეთრი, ამ დილის შემდეგ
ყოველდღე დარჩი, ჩემ სახლში დარჩი,

მე ახალ ლექსებს ყოველდღე გეტყვი,
სიზმრებსაც გეტყვი, ჩემ ვინაობას მთლიანად
გაგანდობ და არა ნარჩენს,

ვინც შენ გიყვარდა მან შეგიყვარა, ხელისგულზე გაქვს მთელი სამყარო. გაგანდობ შევებას და თავშესაფარს და რასაც გინდა იმას გაგნდობ...

დაიჯერებდი?

ვინც შენ გინდოდა მან შეგიყვარა. სამყარო ჩვენშია, მთელი სამყარო,

არა, არასდროს მინახიხარ ასეთი, როგორიც ახლა ხარ ამნამს ახლა ამ დილას, ჩვენ სიზმარში ვართ და სიცხადესაც ასე ვავსებდით.

იქ ყვავიც იჯდა, სადღაც იჯდა და სადღაც გაფრინდა, სიცარიელეც თითქოს შეკრთა მთელი არსებით,

მენახე ადრე, ასეთ დილამდე მენახე ადრე, ახლაც არ ვიცი რას ვიზამდი, შენ რას იზამდი, დავიჯერებდით, უხილველადაც დავიჯერებდით, ჩვენ განვისიზმრეთ თავი ჩვენი ისევ სიზმარში.

26 ნოემბერი 2011

ხმა სიხარულის

საიდან იცი ჩემი სახელი,
თქვი კიდევ ერთხელ, რა საოცრად
ჟღერს, როცა შენ ამბობ.

გამოღვიძებული მე თვალს
ვახელდი, ვხედავდი ღმერთებს,
გასაოცარი მგონი დგება დრო,

როცა ღმერთები სიზმრებში მოდიან,
როცა ჩვენ მათი იერი გვხიბლავს
და აღარ გვახსოვს ალბათ როდიდან
ერთ ერთი ღმერთი სულით გავს სიტყვას,

ეგ სიტყვა არის ჩვენშიც და ირგვლივ,
ეგ სიტყვა გულის–ხმობს ჩვენივე სახელს,
სიზმრის საჩუქრებს თითებზე ვითვლი,
გამოღვიძებული თვალს როცა ვახელ,

მერე მელიმება და მემღერება
დავდინჯდი მგონი, არა, არ ვიცი,
ხმაც კი ჩამესმის მოტკბო ბგერებად,
ხმა სიხარულის, ფერით ნარინჯი.

28 ნოემბერი 2011

ჩვენ მოვესწარით

ჩვენ მოვესწარით სამყაროს შექმნას.
სამყაროს აღსასრულს ჩვენ მოვესწარით.

გადარჩენილებში შენ სახელს ვეძებ.
ოჰ მეგობარო შენ სახელს ვეძებ.

საიდან ჩნდებიან ახალი სულები?
ბედნიერია ღმერთი? შენ ფიქრობ?

ჩვენ მოვესწარით სამყაროს შექმნას.
სამყაროს აღსასრულს ჩვენ მოვესწარით.

სულ ერთი წამით, რომ მოგისმინო,
რამეს ვინამებ? რამეს მივხვდები?

სიზმარში მითხარი მოვალ დილითო,
მერე? სადა ხარ? დილაა ხიდებით

გადანათევი თავზე ღამისკენ,
ასეთ ხიდებზე თავი გადავდე,

ოჰ, მეგობარო შენ სახელს ვეძებ,
აქ, ამ ქუჩიდან, სახლის კარამდე,

ყველგან სადაც კი აღსასრულია,
ყველგან სადაც კი რამე იწყება,

სიტყვები სუნთქვების ასხმად სულს მიაქვს,
როცა ივანებს სულიც ფიქრებად,

ყველა სხვა ხალხთა შესამოსელში
და არა ჩემში, მაგრამ ჩემგანვე

თუ სიცხადედან გადიან დრონი,
ვფიქრობ სიზმრიდან მაინც ვერ გავლენ,

არ ყოფნის მერე მე ყოფნა მომნონს,
თუ დროც შეჩერდა სულ ერთი წამით,

ერთმანეთისთვის სიტყვა გვაქვს როგორც
ხიდი ჩვენ შორის. ჩვენ მოვესწარიით.

4 დეკემბერი 2011

მსიზღავს შეცნობა თავის

მე ზღვასთან ვდაგავრ. ვფიქრობ
 არ ვფიქრობ. ვუყურებ ყურით,
 ყურითვე ვუმზერ.

ვენდობი ვინმე, ჩემსავით
 მიმნდობს. ოქროს ნათება
 მაცეცებს ლურჯზე.

ზღვაა... და ვდარდობ
 აღარაფერზე. საერთოდ
 საერთოდ აღარაფერზე.

ტვინიდან ფიქრები წამით
 განვდევენე. ვნებაც უფიქროდ
 თუ წავაქეზე.

ვნება, ჰო ვნება. ნვა
 და წყურვილი. სიშმაგე შიმშილის
 ზოგჯერ ასე მწვავს.

და თუ არ დამწვა, წყალზე
 გავივლი? და მთელ სამყაროს
 თუნდაც ნახევარს,

მე დავარწმუნებ, რომ არ
მოვკვდებით? მე მაინც
მომკლავს ყოფნა ამქვეყნად,

აზრი თუ ვიცი, აზრი
ცხოვრების, აქ რა დამრჩება,
იქ რა გამყვება?

ო, ოქროსფერის სილურჯე
ყვავის, მე თავი ჩემი
სიზმარში შემხვდა,

შეცნობა მხიბლავს
შეცნობა თავის, ასე მეცნობა
სამყაროს შექმნაც.

6 დეკემბერი 2011

შუქმა განსაზღვრა

– შემდეგი! – გაისმის ბრძანება.
 ...შემდეგი მე ვარ. ღმერთო მიშველე.
 ესეც გაივლის. და რა დამრჩება,
 თოვლივით გამქრალი მიწის სისველე.

– შემდეგი–მეთქი! – ისევ გაისმის.
 ...შემდეგი მე ვარ. რა ვქნა რომ მე ვარ.
 ამატივტივებს სული მთად ნისლის,
 ჩემ სულს ვეჩვევი – სამყაროდ ფრენას.

– შემდეგი! დროზე! – უკვე ყვირიან
 და მეც სამყაროს კიდეზე შევდექი.
 სიტყვად ვიშლები ღმერთის პირიდან
 და უსასრულო ვხდები, შემდეგი,

ვინც მოვა ოდესმე, მერე, ჩემს მერე,
 ისიც შედგება ასეთ კიდეზე,
 სიტყვები უთქმელად წამსაც ვერ ძლებენ,
 წინათგრძნობა მაქვს, ესეც ვისქესე,

ახლა ყველანი ერთმანეთზე ვართ,
 ჩვენივე სუნთქვებით ერთად აბმულნი,
 გადავიქეცით თითქოს თევზებად
 და ფრინველებად, ნახე გარს უვლის

ის ერთი ფრინველი მთელ ჩვენ სამყაროს,
თანავარსკვლავედად გადავიქეციტ,
მე ოქროს მტვერი გზად რომ დავყარო
შენ მე მომაგნებ გზებით სიკეთის?

სიკეთეებით ვიცნობთ ერთმანეთს?
ან სიყვარულით ვიცნობთ ერთმანეთს?
ან იქნებ რაიმე სხვა გზას შევარჩევთ,
გარდაცვალებამდე მოდი შევთანხმდეთ,

რომ შენც იქნები როდისმე შემდეგი
და მერე... შენს მერე, ისევ შენ მოხვალ,
ვიცი რას იგრძნობ, ახლა ვერ გეტყვი,
როცა მოგიწევს ზღვარზე შედგომა

მაშინ მიხვდები და გამიხსენებ,
მეც ასე მითხრეს ჩემ წინ ვინც იყვნენ,
შუქმა განსაზღვრა მთელი სიბნელე
და ვიმეორებ ისევ იმ სიტყვებს –

გიყვარდეს გიყვარდეს სადამდეც
შეძლებ...

8 დეკემბერი 2011

მე გიშვებ წადი მშვიდობით

ჩემგან თავისუფალი ხარ.
 წადი სადაც გინდა.
 რაც გინდა ქენი.
 მე გიშვებ. წადი მშვიდობით.
 გფარავდეს სამყაროს ყველა საიდუმლო
 და ყველა კარი გაგეხსნას. წადი.
 წელიწადნი და თვეები, დღენი,
 მე ნიშნებს მაძლევენ, გადიან წყალნიც.
 ცვლიან მინებს და სიმშვიდე იწყებს,
 შენს შთაგონებას, წადი, მე გიშვებ,
 გიშვებ სიკეთით და სიყვარულით,
 მიყვარხარ, იცი, თავთან გართული

მესაჩუქრები მე ალბათ ცისგან
 თუ მიჩუქნია თავისუფლებაც,
 უფლება შენთვის დარჩე ის ვინც ხარ,
 ღამეც დილისგან განიკურნება,

გადანათდება სხვადასხვა გზებად,
 ეს ბოლო წამიც ახლა მიწამებს,
 სიზმრიდან გავდივარ თითქოს და ქრება
 გამოღვიძების მთელი სიმწარეც.

9 დეკემბერი 2011

სიცილი მესმის

სიცილი მესმის.
 რა უნდა გითხრა. განუსაზღვრელი
 სიხარული ხარ.
 არ განისაზღვრება ამბავი წიგნად,
 ვნება შემირდა შენში,
 გულისთქმად.

წიგნებს კი გადავშლით,
 ციფრულს, ელექტროს, მაგრამ
 ჩემ ვნებას იგი არ ყოფნის,
 შენც რომ გეამოს, შენც
 რომ შეგერგოს, სუნთქვებს
 ვიმეტებ. ცად ვარ ნამყოფი.

შენ კი მინაზე, წყალზე
 ტივტივებ. თავს გაიშიშვლებ
 ჩემ წინ და კედები, მერე ცოცხლები
 ტოვებ სიმძიმეს, თავს
 იმსუბუქებ სიცილის ხმებით,

ხმები კი იწყებენ ცეკვას
და ცეკვავს, ხმების გარშემო
ის ჩემი ვნებაც, ვნება კი იწვის
და იწვევს სიზმარს და ის სიზმარიც
სიცხადედ ქრება.

11 დეკემბერი 2011

შენ არ ხარ ღვთის მონა

შენ არ ხარ ღვთის მონა.
 მონაი ღვთისა და მხევალი ღვთისა.
 ღმერთი არ არის მონათმფლობელი.
 გასიყვარულებს და ფრთებსაც ისხმას
 შენი შთაგონება მისით და მისკენ.

შენში რათქმაუნდა მხოლოდ და მხოლოდ,
 გაისიცოცხლებს. მე სიტყვებს ვისმენ.
 თავს გაისიზმრებს სიცხადეც, ჰჰოვოს
 ადგილი შენში თავისუფალი,
 თქვენი შეხვედრის ერთი ადგილი.

შეხვედრა შენი ღმერთთან თუ არის
 ნათელი რამე ჩრდილებათლილი,
 მაშინ ასეთი ადგილი შენ ხარ,
 შენ თვითონა ხარ თავისუფალი,
 თავისუფალი პირველი სუნთქვიდან.

თავისუფალი ბოლო სუნთქვამდე
 და მერეც სადღაიც და კიდევ მერე
 და ვისაც გინდა იმას უყვარდე
 და შენ ვინც გინდა ის დაიბედე,
 ღმერთის სავანე შენ თვითონა ხარ.

სხვას რას გავალებს, სხვა აღარაფერს
სიტყვა ცოცხალი, თავისუფალი,
არავის მონა და მითუმეტეს
ღმერთის რომელიც შენ სულს უქადის
სიყვარულს ბევრჯერ და სამუდამოდ.

13 დეკემბერი 2011

რამდენი სიტყვაა უთქმელი

რამდენი სიტყვაა უთქმელი.
 დაუნერელი. მოუსმენელი.
 სუნთქვანი, სიცოცხლის გასაღებები,
 რამდენჯერ მომირგია სიკვდილის კარზე.
 რამდენი სიზმარია ჯერ უხილველი,
 ქრება ცხოვრება სანამ ვბერდებით
 და ისევ სუნთქვებით, სუნთქვებით სავსე,
 ის ისევ ჩნდება, ისევ და ისევ.

ყოველთვის ახალი. ყოველთვის თავიდან.
 წავიდა... სიცოცხლეს ჩვენ ისევ ვინყებთ.
 წამით გამოჩნდა და ისევ წავიდა,
 ის ისევ ჩნდება, ისევ და ისევ...

მართლაც საოცნებო თითქოს სიმშვიდე.
 ასეთ ხმაურში ჩემი საუკუნის.
 მნებავს ხმაური ფიქრს არ მიშლიდეს,
 ყოველი სიტყვის სუნთქვას დავუკვირდი...

და... გააზრება მეუცნაურა.
 თითქოს ვიცოდი და არ მახსოვდა,
 ჩემი საუკუნის მთელ ამ ხმაურთან
 პირისპირ დავდექი და თავს სახსოვრად

ვარუქე წამი უკვდავებიდან...
ღმერთი აწმყო. აწმყო ღმერთი.
ჰო... ალბათ ხვდები რატომ მომინდა
ვისუნთქო კიდევ. ნურავის ეტყვი.

20 დეკემბერი 2011

ჩემა გონებამ ღამე გაათენა

თავს ახლა როგორ გრძნობ..?
 ისევ მარტო ხარ?.. დალიე...
 მეც ასე ვიყავი გუშინ.
 დავლიე ღვინო, დავწყნარდი.
 სიზმარს ვხედავდი სამღლიანს.
 მერე სიცხადედ ავრიე
 და გამიარა ყველა ტკივილმა.
 სიზმარი შევკარი, სამივე.

ერთ აზრად გადმოვიტანე,
 მივხვდი ყველანი რად ვკვდებით,
 ჩვენ მაინც ერთად ვიცოცხლებთ,
 აქ აღარ, სადმე სხვა მხარეს.

იქ სხვაგვარია სინყნარეც,
 სითბოა თითქოს სამხრეთის,
 მტკერი მოვნმინდე სიცოცხლეს
 და გასასვლელთან დავყარე.

ჩემი არსიდან გარეთ გასასვლელთან,
 გადის საითაც ყოველი გამმა,
 ჩემმა გონებამ ღამე გაათენა,
 ერთს გაკოცებ და სიზმარში ნავალ,

მაგრამ არ ვიცი როდის დავბრუნდები.
ღამენათევი სადმე შევხვდებით,
სულის თავთავით თუ თავბრუსხვევით
ვგრძნობ სიახლოვეს შენი შეხების.

ოჰ საოცარია.
ჰო საოცარია.

25 დეკემბერი 2011

შავი

შავი სიჩუმე ჩვენში ორივეში სასიკვდილოა
 და მე ის მომნონს. მისი ბუნება გეცოდინება,
 თუ კი ოდესმე მარტო ყოფილხარ...
 როგორ თბილოდა... თუ კი რამეა იქ იმ მხარეში,
 ეს სიშავა შეტყობინებაც,

თავდაპირველი და დახვეწილი, ქმნილება ერთი...
 ჩვენში და ჩვენ შორის შავი პოეზია...
 და დაბრუნება ისევ სიშავეში, შავს შევეერთე,
 ხმანი მოისმიან...
 შავი სიჩუმე...

გადაბრუნდება მთლიანი სამყარო
 და ის სიჩუმეც გაფერადდება, შავი კი შემოდის
 ჩვენში ორივეში და ჯერ არ ითხოვს გაფერადებას,

ის აღარ ითხოვს უკვე აღარაფერს,
 მან ჩვენ მიგვიღო, ჩვენ რა დავაშავეთ
 და თუ სიჩუმეც დაილაპარაკებს
 და თუ მიგვანიშნებს რამე დანაშაულს

შავი სიმშვიდე გადაგვეფარება,
ზღაპრის ლამესავით შიშებს გაგვიქრობს,
ეშვება სიშავე ზემოდან ფარდებად
და ისევ იხსნება მაგიურ სამისნოდ,

შავი უსასრულო, შავი სასრული,
ჯვარივით შედის ერთი მეორეში,
სიზმარიც გაშავდა და ჯერ არ დასრულდა,
ერთი სიმშვიდე თითქოს ბევრ ომს ერჩის,

ლამით ყველა ჩრდილი შავად ნავშალე,
ლამით შავ სიჩუმეს ნყალივით სვამენ
მუქები, როგორც ვარსკვლავთ-თავშალი,
სამყაროს ადევს და არის შავი.

27 დეკემბერი 2011

მე ვერ ვადმოვცე

ვერაფერს გასწავლი. მხოლოდ დაგაფიქრებ.
და ეს დაფიქრებაც უკვე საქმეა. სად მიაქვთ
სიზმრებს ჩვენი ლამეები და ის სიზმრებიც
ჩვენ დღეებს სად მიაქვთ.

სად მონაცვლეობენ. რა მითოლოგიით. რა
სარწმუნოება ამიხსნის ყველაფერს. და იქნებ
ახსნაც, აღარ ღირს მგონი იქ, იმ სამოთხეებში
ანგელოზს შეაფრენს

ჩემი შენდამი ნდობა და მხოლოდ. არც ასახსნელი
და არც აუხსნელი, შენ გვერდით ყოფნა მე, ძალიან
მომწონს, მეყოფა სიმშვიდე, ვის გავუმხელდი

თუ არა სიჩუმეს და შენ დაფიქრებას. ჰო მეგობარო,
ასეთი საქმეა. სიმღერის შემდეგ სიჩუმე იწყება, ან
ნეტავ სიჩუმეს ჰანგები სად მიაქვს,

ან ის ჰანგებიც იქ რას აკეთებენ, ადრე თუ გვიან დრო დამიმთავრდება. მალე გასრულდება აქყოფნის დრო. არ მყოფნის გასაღები და კარის საკეტიც, ვიღაცა ყოველთვის იქ შესვლას მთხოვს,

იმ სამოთხეებში, ჰო, სადღაც აგე იქ, სადმე სულ ახლოს, სულ უფრო შორს. ხან იმ კარს ვკეტავდი და ხანაც ვაღებდი და ვერ გადმოგცემ იქ როგორ თოვს.

8 იანვარი 2012

ცხრამეტი იანვარი

როგორი დღე არის იანვრის ცხრამეტი.
რა უცნაურია. როგორი შუქი დგას.
თითქოს სიზმარში შევხვდით და წავედით.
ხმაც ფერით გავიგეთ. ასეთი ლურჯი ხმა.

გავყევით თოვლებს და იმ შუქს ავყევით.
მიყვარხარ, – ამბობდნენ, ეს სიტყვა გვესმოდა.
შეიკრა სამყაროც შუქების სარტყელით.
და ჩვენი სიზმრებიც გამოჩნდნენ ზემოდან.

ჩვენ გადავიფრინეთ მათზე და მათ მიღმა
და თითქოს აგე იქ, სულ მაღლა ავედით.
ჩვენი ის ლურჯი ხმაც სხვა ხმებთან ავიდა.
მღეროდა თითქოს, იანვრის ცხრამეტი.

19 იანვარი 2012

დღეს ხელისგულზე

ის ჩემგან წავიდა.
 მე ვერ გავიგე. სიტყვა არ უთქვამს.
 ადგა და წავიდა.

რა ჩაიფიქრა,
 ბედის გამრიგემ. მთელი დრო
 განსხვავდა ერთი წამისგან.

ამ განსხვავებამ,
 რალაც მიმანიშნა. ხელი მან თავისი
 ჩემ ხელზე დადო.

დრო მოვიხელთე,
 წამი ამიცდა, მართლა არ ვიცი,
 არ ვიცი რატომ.

გამისხლტა ხელიდან
 მისი გალიმეზაც, შევხვდებით ალბათ,
 როდისმე, ოღონდ,

ის წამიც მოვა და
ასეთი იქნება? მართლა არ მესმის,
არ მესმის როგორ,
დღეს ხელისგულზე
ფოთოლი დავიდე. ვუყურე დიდხანს,
როგორც ჩემ სატრფოს,

დრომ თითქოს
დაიწყო ათვლა თავიდან. მე კი არ ვიცი,
არ ვიცი რატომ.

2 თებერვალი 2012

საათს ვუყურებ.
დროს ვუხმობ ჩემთან.
ყოველთვის მომსვლელს
და სულ წარმავალს.
ჩვენ ერთმანეთში
ერთმანეთს ვხედავთ.
უერთმანეთოდ
საერთოდ არა ვართ.

4 თებერვალი 2012

სიტყვაზე ვცოცხლობთ სიტყვაზე ვკვდებით

მე შენზე ადრე მოვკვდები
და მაინც დიდხანს ვიცოცხლებ.
იცი?

მე სიბერემდეც მივალწევ
და უფრო, უფრო ვიცოცხლებ.
იცი..

შენ იცი ისედაც, რა არის
სიკვდილი. მე რომ არ გითხრა
შენ უკვე იცი.

შენ თავს სარკეშიც ყოველდღე უყურებ,
როგორ ინათებს და როგორ იწვის,

დღის ანარეკლი, შენ უკვე ხედავ,
შენ ალბათ გესმის ცხოვრების აზრიც
და შენზე ადრე მე ვკვდები რადგან,
ღვინო აიღე და პურს დაასხი,

ყველა ჩემ სიტყვას ღვინო დაასხი,
ისინი ისედაც ღვინისგან არიან,
ისინი ისედაც სისხლისგან არიან.
უსიტყვო სამყარო იცი შენ,
მკვდარია.

ვცოცხლობთ მარტო დღეს და
ვართ მარტონი. სიტყვა კი ჩვენ
შორის ინათებს, იწვის. მე ჩემ
სიცოცხლეს დავეპატრონე
და მიმოვფანტე შენს ირგვლივ,
იცი.

11 თებერვალი 2012

როცა ცხოვრების სხვა მხარეს

ვიქნებით, ჰო მეგობარო.
შევხვდებით მერეც. სისხლივით
დამდის სულში ჩემი ხმა,
დღესაც ჩამესმა და ნავიმღერე

და ამოვყავი თავი სხვა მხარეს
და იქ ვინ ვნახე იცი? მიხვდები...
ხილვა ასეთი მე სულ მახარებს
ნატვრით, ფიქრით და ალბათ
სიზმრებით,

ჰო მეგობარო, ხმა საკუთარი
გზად აიჟღერებს სამყაროს
ხმასაც, ვინც იქ შეგხვდება ყველას
უთხარი, ჩემთან ვარსკვლავებს
შუქები დარჩათ,

მე მათ ვუვლი და ჩრდილს
არ ვაკარებ. მოვიდნენ ნაილონ,
მათაც სჭირდებათ, სამყაროს
ვარგებ მე ჩემ გასაღებს, ნატვრად
და ფიქრად, სხვათა სიზმრებად.

12 თებერვალი 2012

თუ კი ვერ შეხვდით,
მერე რა მოხდა. რა იცი რა გელის.
ვინ გეტყვის წინასწარ. ადროვე
სამყაროს, ადროვე ცოტაც,
რადგან სიცოცხლე სუნთქვებს
მიაგავს.

ჰო ის
მიაგავს შენსა და სხვის სუნთქვებს,
ვინ შეძლებს სუნთქვების მალვას ან
შენახვას. ვინც გიყვარს გაუშვი,
განთავისუფლე. თუ კი დაბრუნდება,
მის გულში შენა ხარ.

13 თებერვალი 2012

ამჟამინათ

წითელს დავარქვი წითელი.
მისი ვნება წითელია.

ცეცხლს ცეცხლი დავარქვი.
რადგან ის ცეცხლია.

ლურჯს დავარქვი ლურჯი.
მისი გამჭვირვალება ლურჯია.

წყალს წყალი დავარქვი.
რადგან ის წყალია.

მწვანეს დავარქვი მწვანე.
მისი ღვთაებრიობა მწვანეა.

მიწას მიწა დავარქვი.
რადგან ის მიწაა.

ცისფერს ცისფერი დავარქვი.
რადგან გამჭვირვალება ცისფერიცაა.

ჰაერს ჰაერი დავარქვი.
რადგან ის ჰაერია.

შენ გქვია სახელი. შენი შინაარსი.
 შენი გზაა და შენი სიცოცხლე.
 გინდა იცოდე. მხოლოდ იცოდე.
 ვიც ეყვარები ყველაზე დიდხანს.

გიგრძენი. გიგრძენი. მე შენ გიგრძენი.

ჩემთან ახლოს ხარ ყოველწამს
 რადგან, ჩემში ყველაზე ადრე
 გიგრძენი. ჩემ წინათგრძნობებს
 სიზმრები გავდათ, ახლოს ლურჯი
 ვარ შორს ვარ წითელი.

თვალებს მე შენით ყოველთვის ვახელდი.
 შენი არსობა ჩემი სულია. როცა გაქრება
 ჩემი სახელიც, ქვეყნებს ჩრდილები
 გადაუვლიან.

წითელი ლურჯი ცისფერი ჩრდილები.
 სამყაროც წამში სადღაც გაქრება. მე იმ
 ღვთაებრივ მწვანეს მივყვები და მაინც
 მრჩება რაღაც ამქვეყნად.

19 თებერვალი 2012

მესტუმრე. ჩაი დავლიოთ. ახალ ლექსებს
წაგიკითხავ. დრო მალე გადის, თუ ახლა
გცალია მესტუმრე.

მე წუხელ, სიზმარი ვნახე, სამოთხე თითქოს
წინიდან, მოჩანდა, თითქოს შენ გგავდა. სიზმარი
ვნახე, მე წუხელ.

მესტუმრე. დღესვე მესტუმრე, მთლიანად
ღია დაგხვდები. დღეს მენატრები ყველაზე
მეტად. გაგიშვას შენ თავს უთხარი.

ზოდიაქოს და სიზმრების და წვრილვარსკვლავთა
სახლების, მიღმა გზას მიიმღერიან
სამოთხეებთან სუნთქვანი.

22 თებერვალი 2012

ღამეა.
შორიდან ყოველწამს გიყვარებ.
სიშორეს სადღაც იქ, რიყრაყი
უკრთის.

ასეთი კრთომა აქვს ჩემ სულშიც
სინათლეს. ის თავს მახსენებს
ყოველი სუნთქვით.

25 თებერვალი 2012

გაგაბი იქით

როგორ აგისნა
 ახლა რას განვიცდი?
 ან რომც აგისნა,
 მომისმენ? გამიგებ?
 როგორ აგისნა რა გზას ვადგავარ?
 ნუთუ აქამდე ვერაფერს მიხვდი?

გავიდა დრო და უცებ გაქრა.
 გავიდნენ გემები,
 სიზმარნიც გავიდნენ,
 იმ ერთ ერთ გემზე მე ვარ და ახლა,
 ზღვაში გასვლასაც ვინყებ თავიდან.

რა იცი იქნებ
 ამჯერად ნახო.
 ჰო, დაინახო და გაგინარდეს
 და გაგინათდეს შენც იქნებ სახე,
 ზღვაც გამორიყავს ახალ ნიჟარებს.

სულის სამყოფი
ნატვრა არ მყოფნის,
გემები გავიდნენ ჰორიზონტს იქით,
მეც იქით მინდა განვაგრძო ყოფნა,
აქ ამ ნაპირზე ყველაფერს მივხვდი.

27 თებერვალი 2012

გაკუჩინარდი

ყოველი სუნთქვა ჩემი სახლია.
 ზოგჯერ კი მინდა სახლიდან წასვლა.
 სამყარო დღითი-დღე უარესდება.
 მე შენ ვერ გიცავ,
 მე შენ ვერ გშველი,
 ვერ გაიმედებ და ყურადღება

შენი გადამაქვს ახალ ამბებზე,
 ცხრა საათიან ახალ ამბებზე,
 ანდა რამდენჯერ, მართლაც
 რამდენჯერ ნატვრანი შენი, მე
 წავაქეზე.

დაგპირდი, გარწმუნე, თითქოს
 ყველანი, ერთად ჩვენივე სულებს
 ჩავკიდებთ, მაგრამ მე სადღაც
 გავუჩუნარდი, კვალს არსად ვტოვებ
 და არც სამხილებს.

უჩინარი ვარ, მე არ ვარსებობ, მე
 აღარავინ უკვე აღარ ვარ, პლანეტის
 ორბიტას ზეცის გარშემო, რა დაამჩნია
 დროის ნახატმა,

თუ არა ჩვენი შთაბეჭდილება,
გარდასახვანი ნაბეჭდი შუქით,
უჩინარი ვარ არ გემხილები,
მაგრამ ჩემ სუნთქვებს,
ყოველდღე გჩუქნი.

ესაა კვალიც, ყველა სამხილიც,
ჩემი აქყოფნის ესაა მიზეზი,
ამომიცანი და განმიხილე
და ის სუნთქვები
სხვებსაც მიეცი.

27 თებერვალი 2012

აქედან გაგიყვან

წარმოდგენა გაქვს ახლა რა ხდება?
 ახლა და ამნამს რა ხდება შენში?
 სიცარიელე ჭკუიდან შეგშლის.
 ჭკუიდან შეგშლის.
 ჭკუიდან შეგშლის.

წარმოდგენა გაქვს ახლა რა ხდება?
 ახალი სიკვდილის დაბადების დღეს.
 ფიტული ყოფის გაგაფრენინებს.
 გაგაფრენინებს.
 გაგაფრენინებს.

გამოშიგნული ხმა არაარსის,
 გამოფხრენილი უსულო რამე.
 ნაცარი, ნაცარი, გადაიყარე.
 გადაიყარე.
 გადაიყარე.

ჩვენში შეერთდნენ გზაჯვარედინი
 და განიდევნენ ჩვენგანვე გზანიც
 და იმ იმედით ჩემი თუ გესმის,
 შენკენ ყოველთვის მე ლექსებს ვგზავნი.
 მე ლექსებს ვგზავნი.
 მე ლექსებს ვგზავნი.

გახსოვდეს დაო, ძმაო გახსოვდეს,
აქედან გაგიყვან, აქედან გახვალ.
აღარასოდეს, აღარასოდეს,
აღარ მობრუნდე
აღარასოდეს.

შენ ერთი გზა გაქვს.
თქვენ ერთი გზა გაქვთ.
მკვდრეთით ხომ აღდგა
მკვდარი სამი დღის.

ჩვენ ერთი გზა გვაქვს,
ჯერ ერთი გზა გვაქვს.
სხვა გზა არსაით
უკვე არ მიდის.

28 თებერვალი 2012

იმედნი გადიან

როგორ მაკლია მამაჩემი.
 ვერ წარმოიდგენ როგორ მაკლია.
 მე სინამდვილედ ზღაპარს ვერჩივნე,
 სხივები კრთიან ღია სარკმლიდან.

ჩემში იღვრებიან. მამახსოვრდებიან.
 მამას სხივები ხსოვნად სინათლის.
 იმედნი გადიან წამის ცხოვრებიდან.
 სიცარიელეს თავი მივართვი.

ის ერთი წამი რჩება გამკრთალი.
 ასეთ დროს ვერ ვიტან ვერავის სიცილს.
 ასეთი წამებიც ბევრჯერ ავთვალე.
 კიდეც შევხვდებით? არავინ იცის.

თუმცა მოიცა, როგორ არავინ,
 ვილაცამ იცის და ის ვილაცა
 ჩვენს ბედისწერას კალთით ფარავდა,
 ჩვენი სულელებიც მან აიტაცა,

იმ თვალაუდგამ სიმაღლეებში,
იმ სიშორეზე, ძალიან მაღლა,

სადაც ვინ იცის მერამდენეჯერ
მთელი სამყარო ხესავით დარგა

და ის ხე ხარობს ჩვენ შორის, ჩვენში,
ყოველთვის გვიკვირს, როცა ავხედავთ,
სიშორე ჩვენი ჩვენ სიტყვებს ვერ შლის,
თურმე ყოფილა მართლაც რამხელა,

უსასრულობა.

29 თებერვალი 2012

ჩვენი წარმოდგენით

ჩვენი წარმოდგენით არ განისაზღვრება არც სინამდვილე და არც სიზმარი. სიზმარი. ხილვა. ნიშანი ყოფნის. ჰო მოტივტივე ჩვენში სიზმარი.

ჩვენი წარმოდგენით არ განისაზღვრება ჩვენი აზრების მშვენიერებაც, საშინელებაც ან საოცრება, აზრები ზნენი, თვლა აერევა

სხვა ნებისმიერს თუკი გადაწყვეტს რაიმეს ათვლას და ის რაიმე სუნთქვაა მისი, დრო არის მისი და დროის ნაწყვეტს იქ თუ წაიღებს

იქ იმ უდროო სხვა ადგილებში, სად სამოთხე ჩანს სიზმრის საზღვრებთან, ო ის ადგილი სადაც ვიქნებით, წარმოდგენებით არ ისაზღვრება.

1 მარტი 2012

ეგრევე გიცანი.
ერთი დანახვით.
ეგრევე მივხვდი.
ერთი დანახვით.
ვგავართ კიდევაც
თითქოს რალაციტ,
მე ამ მგვანებას
ისევ ავნატრი.

როცა ცა ზეცას
მიემგვანება,
მინა კი მინად
ინამებს ვისაც,
შემოსავს ცეცხლი
ცეცხლის ნათებას,
წყალი სულივით
გემჭვირვალება.

მიყვარხარ.

2 მარტი 2012

მგვანება

თურმე რა ახლოს ხარ და მე არ ვიცოდი.
 განვდილი ხელის მანძილზე დგახარ.
 განა დავიტევ ერთ ბნკარს ღვთის ცოდნის?
 ან შენ მიხვდები რასა ვგრძნობ ახლა?

განა დიდია ჩვენ შორის სხვაობა?
 იქნებ იმ ბნკარით ერთმანეთს ვგავართ?
 ხან მუნჯდებოდა ხანაც გალობდა
 სამყარო მანამდე შენ გგავდი სანამ.

მგვანება იქცა თითქოს ნისლეულად.
 მართლაც სიმშვიდეა სამოთხის კართან,
 მაგრამ სამყარო რატომ დასნეულდა,
 ყველგან ნისლეული როცა გაიფანტა.

გამოჩნდა თითქოს რალაც უსასრულო,
 ჩვენში განედინა მისი შინაარსი,
 რა ახლოს ყოფილხარ, რამე მისახსოვრე,
 შორეთის მნათობს დილა სხივს აათლის.

დილა სიზმრებისგან ისევ გამოგვარჩევს,
ჩვენი გამორჩევა რჩეულთა ხვედრით
მოხდება წამით, ყველა დანარჩენს
გამოლვიძებისას ჩვენს ირგვლივ ვხვდებით

და ვეგებებით და გვიხარია და სულებს
გვივსებს რაღაც გალობა. რა ნაცნობია ასეთი
ბგერა, საესემთფარიან ღამეს აღლობდა

ის შორეული ის ახლობელი, ის ნისლეული
ოდესღაც, ახლა, მოდიხარ ვიცი, აი მოხვედი,
განვდილი ხელის მანძილზე დგახარ.

8 მარტი 2012

ყოველი წამით

ყოველი წამით ნიშანი მეძლევა.
 ნიშანი სიცოცხლის. ნიშანი სიკვდილის.
 სახლში დაბრუნება ზოგჯერ რა ძნელია.
 იქ სიმშვიდეა. ყველა გზა იქ მიდის.

ყოველი წამი თავთან მახლოებს. იმ კაცს
 გავიცნობდი ჩემზე წინ ვინც მიდის.
 გზაზე მტრებს ვხედავ და სხვა ახლობლებს.
 ნიშანით სიცოცხლის. ნიშანით სიკვდილის.

ყოველი წამით ვილაცას უყვარხარ.
 არ მინდა არავის თავი დავუშალო.
 სიცოცხლე. სიკვდილი. მათშორის ვსუნთქავ და
 ის წამიც ჩერდება ჩემთვის სამუდამოდ,

როცა გავიაზრებ ჩემივე ყოფას
 და სიბნელებს შუქები წვავენ,
 ორივეს მაგათ ნიშნები ჰქონდათ
 სიცოცხლე. სიკვდილი. ყოველი წამით.

ის შუქები კი აფრინდნენ ღვთისკენ.
ყოველი წამით დროს სული ედგა.
ჩვენ ზოგჯერ გავდივართ დროდან და ის კი
თითქოს არასდროს არ გადის ჩვენგან.

8 მარტი 2012

Like Share

დამალაიქე.
 დამაშეარე.
 რა გლობალური
 ნარცისიზმია.
 წვიმა მასველებს.
 განა შენ არა.
 წვიმა მოსული
 სახლში ვის მიაქვს.

გაეცით გაეცით
 რაც შეგიძლიათ.
 რაც გაბადიათ.
 რაც თქვენთვის
 გინდათ. ღმერთმა
 სიცოცხლედ
 დაგაშეარათ.
 აღარ დაგტოვათ
 სამყაროს მიღმა.

ჰო facebook – ი
 სიცოცხლის წიგნი.
 შიგ თუ წერიხარ
 მაშინ არსებობ.

მთელი სამყარო
ამ წიგნით იწვის,
დიდი ცეცხლებით
და დიდ სამჭედლოდ.

აქ იჭედები.
აქ ყალიბდები.
თავის შეცნობას
ბევრი დრო უნდა.
აღარც დისკები,
აღარც წიგნები,
არც აგვიანებ
და არც
დროულად

ტვინი არსაით
აღარ მიგინვეს.
პირისპირ ზიხარ
მთელ სამყაროსთან,
სიცარიელეს იტევ
მინის ფერს,
იქ კი ოდესღაც
ბალი ხარობდა.

სადაა ახლა?
მართლა სადაა?
ვეძებ სამყაროს
არსით შვიდ დღიანს,
სუნთქვებს სუნთქვები
სხვებთან გადააქვთ,
წვიმა მოსული
სახლში ვის მიაქვს.

8 მარტი 2012

ქრისტიანები ჩემში სატანას ხედავენ.
სატანისტები ქრისტეს.
რა ვქნა?

ვიცი რასაც მეტყვი. მეტყვი – დაიკიდე.
ვერა მეგობარო. ვერ დავიკიდებ.
ვიცი რასაც მეტყვი. მეტყვი – კაი რა.
ვერა მეგობარო. ვერანაირად.

10 მარტი 2012

სიგნალი SOS

ტელეფონზე ხუთი ლარი ჩამერიცხა.
 არ ვიცი ვინ ჩამირიცხა.
 უცნაურია. ცალმხრივად გათიშული
 მქონდა და ვილაცა მიხვდა.
 ვილაცამ იგრძნო. ვილაცამ მიიღო
 სიგნალი SOS.

ჰო ალბათ წვიმაც ასეა ციდან,
 როცა ცა მინას გვალვისას გრძნობს.

როცა სიჩუმე ახალი ლექსებით
 ისე იმოსება როგორც არასდროს,

როცა ჩემივე თავსაც ვეყრები
 და მერე ისევ, სიგნალი SOS

ყველგან იგზავნება. ჰო ყველა მხარეს.
 წინ და წინ მიიწევს. ჩემი ხმა წინ დააქვს.

ახლიდან მე ვინმე ისევ გამახარებს
 და ის ვინმე კი არც ვიცი ვინაა.

არც ვიცი სადაა. ან როგორია.
ან რატომ უნდა მე დამეხმაროს.

ის სიხარულიც სადღაიც დროს მიაქვს.
თვითონ კი არასდროს მიგზავნის SOS.

ჩემი კოორდინატებია 1968 ოცდაერთი ნულ–ექვსი.
ჯერ უცნობია სხვა რიცხვი დღეს ჩემთვის.

სიკვდილის რიცხვებს ვგულისხმობ თუ გესმის.
„შენ მშვენიერი ხარ. ნამი ხარ. შეჩერდი.“

10 მარტი 2012

გეიმეღეზი

გეიმეღეზი.
რათა რომელნი, ესე შენ გესავთ,
ცოცხლები ვიყოთ.

შორს ნავედი და ახლოს
მოვედი. გაქრნენ მანძილნი,
მართლაც და თითქოს.

მე მაქვს მიზეზი ვიმედოვნებდე.

იმედი რატომღაც შემრჩა,
ისევ მაქვს. არადა სიზმარი
მართლაც დამთავრდა.

შედეგი მოძებნა ყველა
მიზეზმა და წუთისოფლის
ყველა მთავართან,

მიაფრენინა ჩემი სახელი.

აი ესააო. ეს კაციაო.
თქვენ ვისაც ეძებთ,
რათა განგმიროთ.

სული სურს მაღლა
ააფრიალოს, საქმეს თუ
ექებთ რამე საგმიროს,

მიდით მასთან და ნება თქვენია.

მიზეზი. შედეგი. ბედი და სხვა.
სიტყვებს სიჩუმე განუმარტიათ.
მიზეზი შედეგს აჩენს და კლავს
და ისევ აჩენს და უკვდავია.

იმედი მართლაც რატომღაც შემრჩა.
ვფიქრობ მეც შევრჩი მიზეზს იმედის.

12 მარტი 2012

დრო აღუღდა

მთელი სიმნარით და სიმხურვალით

დრო აღუღდა. წამები და წუთები
 აუორთქლდა. დღეები და კვირეები
 აუორთქლდა. თვეები და წლები.
 აორთქლდა საუკუნე და საუკუნეებიც
 აორთქლდნენ და ყველაფერი აორთქლდა
 მერე.

გარდაისახა დრო უდროობად, მაგრამ
 ვარსკვლავნი, კვლავ შუქებს ფენენ

და მოლოდინიც წავიდა გაქრა
 და ღმერთის სახლთან, დაბრუნდა მერე

და გადაიქცა ახალ მონატრებად. ო მონატრება.
 რისი ან ვისი. მიჯნური შუქის იქ ცოლად რჩება,
 როგორც კი ზეცა ერთ ვარსკვლავს ისვრის.

ბავშვის გაჩენას ის შუქი აჰგავს და შენც მოასწრებ
სურვილის ჩათქმას და მერე სიცოცხლეს ახლიდან
აქეთ, სიტყვა მოიტანს მე სიტყვით ვაქებ,

ყველაფერ ცოცხალს, ყველაფერ ნამდვილს, ჩემი
სიტყვები ის შუქებია. არცერთი მათგანი შენ არ
გადაგღლის. შენთვის ღმერთს თავი უჩუქებია.

13 მარტი 2012

სიჩუმი მიჰყვას

ისევ მუსიკა ზედა სართულიდან.
 ფორტეპიანო.
 ო ჩემი სული სიმშვიდეს ითხოვს,
 იქ, იმ სართულებს ხომ სული ედგათ.
 მიყვარდი მართლაც,
 მიყვარდი თითქოს,
 ანგელოზებზე მეტად.

ისევ მუსიკა ქვედა სართულიდან.
 ფორტეპიანო ისევ.
 ო მოგონებაც წამში გასრულდა,
 ო როგორ მინდა მივწვდე

შენ ხმოვანებას, სხეულს და სიცილს,
 სართულებს შორის,
 სამყაროთ შორის,
 ჩემი სულია, ის ისევ იწვის,
 ის ისევ ადის, ჩადის და ვხედავ,
 როგორ ვშორდები შენივე სიცილს.

ისევ მუსიკა. სიჩუმის მიღმა.
ო ის სიჩუმე ჩემში დაბრუნდა.
ნეტავ სიჩუმე თავის თავს მიჰყვეს
სხვა რომელიმე, ახალ სართულთან.

14 მარტი 2012

არსად არასდროს

მე შენი მესმის. შენ? ჩემი არა.
 სწორედ ამიტომ მე შენი მესმის.
 მე მესმის მათი ვისაც კი ჩემი
 არათუ არ ესმით, არც უნდათ
 გაიგონ.

„ალარსადაა ის ძველი კაი დრო.“
 მისტირი იმ დროს? ჩვენ შორის ზღვარია.
 კაია, ცუდია, სისულელეა,
 შენ ხარ მასში და ისაა შენში,
 თუ დროში სიცოცხლე გისურვებია.

ნება ერთია, მაგრამ სურვილი?
 სურვილი ყოფნის და უკვდავების?
 სურვილი დიდი მოგზაურობის?
 უცხო მხარეში როცა სულ ივლი,
 სხეულგახდილი თითქოს სულივით.

ვილაცებები... ვილაცებები...
 ვილაცებები დროს მისტირიან.
 წამი მოფრინდა ნუთი სოფლიდან.
 სიცოცხლის გარდა სხვა მისტიერია,
 არსად არასდროს ჯერ არ ყოფილა.

15 მარტი 2012

თავზე ლაპარაკს დიდ დროს არ ვუთმობ.
თუ ერთხელ ვიტყვი, მერე არასდროს.
სიტყვა გაჩუქე და უსასრულოდ
დაუსაბამო სივრცემ განავრცოს
ჩემი საჩუქარი სამყაროსათვის.

16 მარტი 2012

გმირები გზებზე

მოდი ცოტა ხნით აქ გავჩერდეთ.
 გზას გადავხედოთ და გავაგრძელოთ.
 აქ არავინაა, ხედავ სადა ვართ?
 ჩვენ ვართ ისე შორს ერთმანეთისგან
 და ყველაფრისგან ისე, ისე შორს,
 რომ ვერ გავიგეთ ნუთუ ისევ თოვს?
 იქ იმ მხარეში, ნუთუ ისევ თოვს?

სხვა და სხვა ბგერებად ათოვს სიჩუმეს.
 ერთმანეთისკენ ჩვენივე ლტოლვას.
 მე მდუმარების ხმა ვიგულისხმე,
 გულისხმას ყოველთვის სიჩუმე მოსავს,

როცა უსიტყვოდ ყველაფერს იგებ
 და გელიმება. ჰო, გელიმება.
 იგებ და შენში იგროვებ იმდენს,
 რამდენიც იგროვებს გზებზე გმირებმა,

იმ გზებსაც ათოვთ ახლა სადაც ვართ.
 ნახე ფოთლები ჩვენ ზემოთ ფრენენ.
 გავხდით გმირები ქვეყნის გადაღმა
 და განვესიტყვეთ სიჩუმეს მერე.

16 მარტი 2012

დავითის გახლავართ ტყუპი ძმა დეფი

„შენ აქ რა გინდა?“
მეკითხებიან...
„შენი ადგილი იქაა...“
წამები ახალი შეკითხვებია,
სინათლის კვალი სხივს დააქვს.

გახსივოსნების ყოველწამს ვეტრფი.
მწამს მე ისინი შემშლიან. დავითის
გახლავართ ტყუპი ძმა დეფი, მთელი
სამყაროც ჩემშია. მწამს მე ავალწევ და

ავინათებ. წამსვლელ წამს ვგავარ,
სულ წინ მიმავალს, ან უკვე წასულს,
ან შეყოვნებულს, რა მოუთვლელად
იმრავლა, წამებმა, შორი შორ და ყველას

ირგვლივ. წამი არ ნიშნავს დროის
განმარტებას. შენს ყურადღებას
შორიდან მივწვდი და ასეთ წამებს
ვინც ატარებდა, ის მე გამიგებს და

გამამხნევეებს. მთელი სამყაროს პირისპირ
 ვდგავარ. ხორცის ნაფლეთებს, სულის ნახევებს
 და სისხლის წვეთებს, მრავალს და მრავალს,

მე შენ წინ გიდებ ყველა სიტყვაში. ნუთუ
 ისევ გსურს იგივე მკითხო? ფრთებივით
 სუნთქვებს ნეტავ ვინ აშლის, ხმაურის
 ყინვად, სიჩუმის სითბოდ. სხვა ვინ

აგიყვანს შუქების კრთომად, იმ სიმაღლეზე
 თუ არა ის, ვისაც უყვარხარ და შენთან მოვა,
 ის მოლოდინიც შენ თვალწინ კრთის.

16 მარტი 2012

სულთან
სულს
დააქვს
სული
იცოდე,
აღსრულდა.
ითქვა.

ბედნიერება
ვისაც
უგრძენია
გეტყვის:

სიტყვა
სუნთქვაა
სუნთქვა
სიცოცხლე
სიცოცხლე
სიტყვა

და
ეს
სამება
სიყვარულია
ღმერთი.

17 მარტი 2012

253

შენ ისეთი ხარ როგორიც ხარ

შენ ისეთი ხარ, როგორიც ხარ.
 რადგან ისეთი იყავი, როგორიც იყავი.
 რადგან ისეთი იქნები, როგორიც იქნები.
 ყოველთვის შემოსავს სიჩუმეს ხმა
 და ის ფიქრები, შენივე ფიქრები
 ასე შემოსავს სიცარიელეს.

მომკიდე ხელი, ფიქრი შემახე.
 წარმოსახვანის სიცხადე მოგგავს.
 გეშიშვლებოდი აქედან შენამდე,
 განვიზრახავდი თუ შენთან ყოფნას.

სიზმარნი ჩემთან მოდიან თვითონვე.
 მასმევენ წყალს. ხშირად კი ღვინოს.
 მე ვცდილობ გავცე თუ კი რამ ვისურვე,
 მე ყოველ ჯერზე თავიდან ვცდილობ.

შენ ისეთი ხარ როგორიც ხარ.
 შენი ყოფნა მე მასულიერებს.
 მიმოგეფანტე სიჩუმედ, ხმად,
 წამით შევმოსე სიცარიელეც

და იმნამითვე ყველაფერს მივხვდი.
ის ყველაფერიც იქვე დამავიწყდა.
თითქოს დაეხურე კარი თუ წიგნი
და გამოვედი რაღაც ზღაპარიდან

და გავუდექი ისევ ჩემ გზას.
მომკიდე ხელი, ფიქრები შემახე.
სიცარიელე მყინავს და მწვავს.
სიზმარნი ემგვანენ დაისის ვენახებს

და იწურებიან სიცხადის ხმად.
ნეტავ სიცხადეც ხანდახან გვათრობდეს.
შენ ისეთი ხარ, როგორიც ხარ.
ყოფნა კი შენი, ააგავს სამოთხეს.

17 მარტი 2012

წარმოსახვათა არქიტექტურა.
 ის უსასრულო რამე სიმდიდრე.
 ღვთის კალთასავით გადამეხურა
 და ყველაფერი წარმოვიდგინე
 და ყველაფერი დამიდგა თვალწინ,

როგორ მოხდება თუ რამ მოხდება.
 ვინ სად წავალთ და ვინ სად დავრჩებით.
 მტრები იცვლიან სახეს მოყვრებად.
 წამი გაქრობის წამს გავს გაჩენის.
 ქრობაც სინათლის სინათლეს აჩენს.

წარმოვიდგინე ის წამი მე ვარ.
 ის წამი შენ ხარ. ჩვენ ვართ ის წამი.
 მდუმარებაშიც სხვადასხვა ხმებად,
 სამყაროს ჰანგის სმენას ვისწავლით.
 ჩვენ თვალწინაა შუქთა სიმწვანეც.

სამყარო იშლება, როგორც ერთდება.
 შეერთება კი ხდება ყოველთან.
 იმ ერთი ღმერთის ან სხვა ღმერთებთა
 ის ჩანაფიქრი სულზე მოგვეპნა.
 წამით ვერ გვიცნო წუთისოფელმა.

ვარსკვლავთა მტვერით. სიზმართა
მტვერით. ზე. ზეახალი გამონათებით.
თითქოს იმ მტვერის მიზეზებს ვამტვრევთ,
როცა ერთმანეთს განვეახლებით.
მე შენში ვეძებ რამეს სახლივით.

სადაც ყოველთვის დავბრუნდებოდი.
ერთი სული აქვს მთელსა და ნაწილს.
ფიქრებით, დანული თავბრუსხვევებით,
წარმოვიდგინე შუქებით გვანვიმს.
წამით ის წვიმაც დამიდგა თვალწინ.

23 მარტი 2012

მე ჩემ მტერს ვიცნობ. მაღლობა მას.
თავი შემაყვარა. სხვებმა კი ვერ ქნეს.
ზოგჯერ სიჩუმეც გალობას გავს
და როგორც მაღლი გადმოდის ჩემზე.

სამოგზაუროდ ყოველთვის მიხმობს.
დინების აღმა. იქ. სათავესკენ.
წამებსაც ვითვლი. ხან თითო თითოს
ხელი მსურს ვტაცო და არ გამექცეს.

მოგზაური ვარ. ღმერთმა ინება.
სხვა მოგზაურნიც დგანან გემებზე.
თუ კი მივაგნებ ჭეშმარიტებას,
ის, ის იქნება რასაც მე ვეძებ?

29 მარტი 2012

მარგალიტაჰი ერთმანეთს

რამდენჯერ მიპნევია მე გზა და გზა მარგალიტი.
 დრონი მოვლენ მერე ნავლენ, არა, მეტს აღარ ვიზამ.
 მარგალიტნი, ღმერთო ჩემო, ის მოტკბილო მარგალიტნი,
 მინდვრების და დროის გავლით, მომიბრუნდნენ ყველა
 მხრიდან.

მომიბრუნდნენ. იცინიან. უხარიათ. გალობენ.
 ჩემს ხელებზე დაგორავენ და მთლიანად მთელ სხეულზე.
 ჰო, ის ხმები სიცილია, სხვა დროიდან ამდრომდე,
 მე სიტყვებთან ერთად სუნთქვას, თავს და სულსაც ზედ
 ვუდებ.

სუნთქვა მარგალიტია. მე მათ ვეღარ მიმოვფანტავ.
 უსასრულო შინაარსად და უჩინარ სინათლედ.
 ვუსახსოვროთ მარგალიტი გზად სამოთხის დავდოთ
 კართან, ნუთუ ისევ შევაგროვებთ და ერთმანეთს
 მივართმევთ?

ნუთუ უკვე გავიგეთ, ქვეყნის ყველა საიდუმლოც?
 ნუთუ დროც სულ გავიდა... ერთი წამიც აღარაა?
 და ჩვენც უნდა გავიდეთ და გზად კარიც გავიხუროთ?
 ან იმ კარში შესვლის შემდეგ, ნაბიჯს კვალი სად გადააქვს?

მოდით მაშინ ახლა დავთქვათ მარგალიტის ნატვრად რამე,
 სანატრელი ორივესთვის, იქაც ვიცნობთ ერთმანეთს.
 ნებისმიერ დავდგეთ კართან, დღეს სიზმრებით დავილამებთ
 და სიზმარიც გავუშვათ, როცა წასვლას ინატრებს.

31 მარტი 2012

უდაბნო სიზმრად

ვინც ცოცხალია გაუშვი იარსებოს, იაროს, იყოს. სიცარიელე რადგან ბევრ ჩვენგანს, ნატყვიარივით თითქოს ატყვია. ზოგჯერ უდაბნოც სიცხისაგან სიზმარს გავს თითქოს, აქლემებს ვხედავ, ნემსის ყუნწში როგორ გადიან.

ვინც ცოცხალია, გაუშვი შეიყვაროს და ღმერთი გახდეს. მათ შიგნით ცაა, ასე ნაცნობი, ასე ნამდვილი და უსასრულო. უდაბნოს მტვერით გამოვძერწე სამყაროს სახე და ახლა სიზმრებს, სამუდამოდ მსურს ვუსახსოვრო.

დარჩნენ სიზმრებში ვინც სააქაოს არ გადმოდიან. იქ ნამყოფი ვარ, მაგრამ ვერ გეტყვი ის როგორია და რა დაგვხვდება. რა სიმშვიდეა, რა მუსიკაა, რა ჰარმონია, როგორი სულით წარმოდგება და რა სახეობად.

იყავი ვინც ხარ და ღვთაებრივი გახდები წამში. წამში მოისმენ საუკუნეს, როგორ გალობდა... და ის უდაბნო იმ სამუდამო სიზმრებსაც გაშლის, ყოველ შენ სიტყვად და გაფიქრებად, შენთვის ნყალობად.

1 აპრილი 2012

261

ზოგჯერ გაიფიქრებ, „ჩემი ადგილი არსად არ არის.“
 მე შენი მესმის. ხშირად მიფიქრია შენსავით, თუმცა,
 არასდროს მტოვებდა რაღაც ისეთი განცდა მარადის,
 რომ ვერ აგიხსნი და მაინც ხდება რაღაცა უცბად.

რაღაცა იცვლება. მე ეს არ ვიცი, ჰო ამ რაღაცას რა
 სახელი აქვს... და ცვლილებანი საბედისწერო
 თითქოს გზებზე გადაგვიყვანენ.
 ათასი წელი უკვდავებისთვის განა ბევრია.
 ერთი წამიც კი დაგანახებს ქვეყნის სიმყარეს.

ასეთ დროს ხვდები, ტყუილ–უბრალოდ
 მართლაც არსად არაფერია... უბრალოება,
 სინამდვილე, ჩვენი ყოფნა, ჩვენი სახეობა...
 შენივე სულში გაიგონებ ანგელოზებს, როგორ მღერიან
 და მერე თავიდან, ისევ ისე, ყველაფერი შეგიყვარდება.

2 აპრილი 2012

უკან მავრუნებს სიჩუმეში

სიჩუმე უსასრულოა.
უსასრულობაში, დიდ სიჩუმეში,
სამყარო ტივტივებს, უკან თუ მოაქვს
სევდა, ო სევდას სულ ვიყუჩებდი.

უკან აბრუნებს, თუ რამეს ვგზავნი.
ვერაფერს ვიზამ. ხმას ვერ გავიჩუმებ.
მე მახსენდება ბავშვობის სახლი,
როცა მეტყველებს თვითონ სიჩუმეც,

როცა ყოველ ღამე თითქოს ჩემ თავს ვხვდები,
რალაც უჩინარი ჩრდილები წვანან,
ზოგჯერ სიბნელიდან ყეფენ კომმარებიც,
ვისაც თვალები აქვთ შავი ან მწვანე,

როცა უთვალავი თითქოს სამყაროა,
ყოველი მათგანი სიჩუმეშია
აფლული ზემოთ, მათ ხომ სულ სხვა დრო აქვთ,
ფართოვდებიან, ნისლებს აშლიან,

სიჩუმეს მივხვდი. ჩემში ვიგრძენი,
 შევახე ხელიც დროთა ხატებას,
 თითქოს ავნიე სამყაროს სხვენიც,
 ჩვენი სიზმრებით მოიხატება

მისი სიჩუმე, ის უსასრულო,
 ძილისპირულთან სულს ვიყუჩებდი,
 ყოველთვის როცა მისით ვსულდგმულობ,
 როცა ვბრუნდები კვლავ სიჩუმეში.

3 აპრილი 2012

ერთად

სუნთქვებით შევეხოთ მოდი ერთმანეთს.
სხეულებით შევესუნთქოთ და გავხდეთ ერთნი.
სიტყვებით შევეჩუმოთ. გვიყვარდეს. გვიყვარდეს.
ჩვენივე ზრახვებს ჩვენ თვითონ ვეტრფით.

დრო ჯერ საკმაოდ გვაქვს, შემდეგ სიცოცხლემდე.
შემდეგ სიკვდილამდე და მერეც და მერეც.
ნეტავ სამუდამოდ ერთად ვიცოცხლებდეთ.
ჩვენივე ფიქრები ჩვენ ზრახვებს ფენენ.

გამოფენასავით. ჩვენში და ჩვენ თვალწინ.
მუსიკასავით. ჩვენს ირგვლივ, ყველგან.
ჩვენ გვათენდება და ისევ ჩვენ გვანვიმს.
სხვენი ავხსენით სამყაროს ერთად.

ჩვენ ავეშიშველეთ ერთად ერთმანეთს.
ჩვენ შევიმოსეთ ისევ ერთმანეთით.
ვინც ჩვენ დაგვინახავს დაე ხედავდეს.
სიზმრად მძინარენი თვალს ვერ ვახელდით,

მაგრამ მერე ისევ, მერე ისევ ისე,
როცა ავეხილეთ ერთად ერთმანეთს,

დაიწყო თოვა, ო ისევ დაიწყებს,
გვიყვარდეს ვინც კი, იტყვის გვიყვარდეს,

მაგრამ გათოვდება ბევრი ნათებებით,
ო ის ნათებანი ფიფქებს ემგვანება,
მაშინ ჩვენ სიზმრებსაც ერთად ვათენებდით,
ახლაც ეს იქნება სიზმრად შეხამება.

ჩვენ სუნთქვებს შევეხოთ ერთმანეთის ხმებად.
სიტყვებს შევეჩუმოთ, რადგან ერთნი ვართ,
რადგან ყველაფერი იწყება, მთავრდება
და მერე ისევ, იწყება ღმერთიდან.

5 აპრილი 2012

სიმალეები სინონიმები

ვიყო, ვსუნთქავდე, არ განვიცდიდე,
 ეს იგივეა აღარც კი ვიყო.
 სუნთქვა და განცდა თვითონ სინმინდე,
 სამოსელივით მოვიცვი თითქოს.

სხეული ჩემი უსასრულოა.
 მთელი სამყაროა სხეული ჩემი.
 მე შევიმოსე უსასრულობით,
 ტანზე მომერგო, მომწონს და მშვენიის

და მსიამოვნებს, მეცვას, მომიხდეს,
 ყოველი არსის სახება ხატი,
 მე ტყუპებიდან მიყვარს ორივე,
 უსასრულობა სულ სადღაც ადის,

სიმალეებში, სინმინდეებში,
 სიმშვიდეებში, მართლა ან თითქოს,
 უსასრულობას მსურს განვიცდიდე,
 უსასრულობა მე თვითონ ვიყო,

ერთხელ ვინატრე და ასეც მოხდა
 და რაც არ მოხდა ისიც ვინატრე,
 რას ნიშნავს ერთად რწმენა და ცოდნა,
 ყოველდღე ვდგავარ ღმერთის წინაშე,

რას ნიშნავს თვითონ უსასრულობაც,
ჩანაფიქრების შესამოსელი,
თუ არა მე ცა როცა უფრო მგავს,
მგვანება ჩვენი აღთქმას მოელის,

აღთქმას კი ყოველთვის ერთმანეთს ვუდებთ,
ვიყოთ, ვსუნთქავდეთ და განვიცდიდეთ,
რა საოცარი ყოფილა თურმე,
ყოველი სუნთქვა იყოს სინმინდე.

6 აპრილი 2012

წიგნით მომავლეს

„მიმზიდველი ჩურჩულით
მესმის ჯადოსნური სიტყვები
შენი წიაღიდან“

ჰერმან ჰესე „ჯადოქრის ბავშვობა“

ჯადოქარს ვიცნობდი. ერთ უცნაურ კაცს.
მან თქვა: „მიყურე. ჩემგან ისწავლე.“

ხე მეჩრდილებს. ის სულ ცალკე დგას.
შებინდებისას მინდვრის სიმწვანეს,

ის ეფოთლება. მე კი არ ვიცი,
უკვე ჩრდილი ვარ თუ მინდორი ვარ,

კაცი ვიყავი სამი წამის წინ,
სამამდე დავთვალე და იმ დროიდან

სურნელებებად ავორთქლდი თითქოს,
მიმოვეფანტე მინდვრის სიმწვანეს,

განცდები შენი სიმშვიდეს ითხოვს,
შემომხედე და ჩემგან ისწავლე.

არ გისწავლია სხვისგან არაფერი,
მხოლოდ მომისმინე და დამაკვირდი

და როცა სადმე კვლავ წამანყდები
წიგნი ვიქნები ისევ წასაკითხი,

ისევ იმ ადგილას გადასაშლელი,
სადაც ოდესღაც კითხვა შეწყვიტე,

მე თითქოს მოვკვდი, მაგრამ თავს ვშველი,
რადგან ვიჩუქე კიდევ ერთი დღე,

ის დღე შენ უნდა გამოიყენო,
რამე სასიკეთო უნდა მოიფიქრო,

გამოაცხადო რამე საქვეყნოდ,
ნუ მკითხავ, რატომ? გეტყვი იმიტომ.

წარსულის ქვრეტა მე არ მსიამოვნებს
და არც მომავლის მიზიდავს რამე,

აწმყო, ო აწმყო, მასთან მაქვს საქმე,
მას ვერიჟრაჟე მას მიველამე,

ბედნიერი ვარ ისევ ბავშვი ვარ,
ის ჯადოქარიც ბავშვობას შერჩა,

მომენატრები ისე საშინლად,
ტკივილი ნატვრის, ნამდვილს გავს დღესაც,

სხვენზე იმტვერება მთელი წარსული,
ანმყოში მომძებნე, აქ კარი არის,

განაგრძე კითხვა, გზას დაასრულე
და წიგნის ბოლოს მომაგნე მაინც.

7 აპრილი 2012

ასე მოხდება

სამზადისი მაქვს გამგზავრებამდე. სახლში ვბრუნდები.
 ბარგი არა მაქვს. მხოლოდ სხეული და ის სიზმრები...
 რომელთა შორის მოჩანს სამოთხე, ზემო უბნები
 და სართულები. მე მინდა გითხრა, სულ მესიზმრები...

შენ ჩემო სახლო, მსურს ხელი გახლო, კარით შეგალო.
 შენში შემოვიდე, სხვა სიზმრებიც მაქვს...
 აქ ახლო მახლო, მათ აქვე ვტოვებ, წამით მრჩება დრო,
 გითხრა მოვდივარ, გითხრა მიყვარხარ, გესმის ჩემი ხმა,

მაგრამ ეს წამი მთელი ცხოვრებაა, ვიდრე ამოვალ.
 სწორედ ეს წამი აქ, სააქაოდ ვიცოცხლო უნდა,
 ერთი სიცოცხლე წამში გახდება უთვალავობა
 და სული ჩემი, შეირხევა, ყოველის გულთან.

8 აპრილი 2012

პოეზია შესაქმე

ჩვენ, სიჩუმე შეგვემოსა და სიმშვიდე მისი გვაქრობს,
პოეზია სისხლით მგოსანს ებრწყინება სულთან ერთად,
ახლოს ხმანი მოისმიან, ირგვლივ თრთიან, ასე ახლოს,
შესამოსელს, ჩვენ სიჩუმეს, სიტყვა „იყოს“ წარმოეთქვა.

სიჩუმემ კი, ო ის სიტყვა, ვეღარაფრით დაიტია,
ყველაფერი ერთმანეთს გავს, ყველაფერი განსხვავდება.
შეზანზარდა და იფეთქა სიჩუმემ და ოქროსმტვრიან,
მზეებად გადაიშალა, უსასრულო ვარსკვლავებად...

და ზეახალ ვარსკვლავებში, გაჩნდა ნატვრა ჩვენი ყოფნის
და გარშემო დროების გზა, სამუდამოდ იმ წამს უვლის,
როცა მტვერი სასიცოცხლე, ჩვენგან მიდის, ჩვენთან მოდის,
ჩანაფიქრით საიდუმლოდ, ღმერთად ერთი სიყვარულით.

9 აპრილი 2012

ნათავ კი გამყვანს

როგორ შეიძლება,
 ღმერთი იყოს არაფერი,
 მაგრამ ყველაფერი.

არაფერი, რომელსაც
 ვერაფერი მოიცავს
 და ყველაფერი, რომელიც

მოიცავს ყველაფერს და
 არაფერს, ერთდროულად
 და დროის გარეშეც.

ყველაფერს და არაფერს,
 თავისი არსებობის ან
 არარსებობის მიზეზით.

თვალის ახელას, როცა
 ვინცებდი, მიზეზი ვიყავი
 თვალის ახელის.

ბავშვობას ვგავდი, ჩემივე
 სიზმრებში. იქვე ჩამესმა
 ჩემი სახელიც.

რას ნიშნავს სიზმარი? ან
იქ რა ითქვა? რა გამოხატავს
სინძინდეს? ცოდვებს?

თუ კი არსებობს ახალი
კითხვა, ახალი პასუხიც
უნდა არსებობდეს,

როგორ გავქრებით, როცა
გავა დრო. ნეტავ ვიცოდე
სად რა დაგვხვდება.

სუნთქვა თავისი როგორ
გამანდო, ჩემივე თავმა
თვალის ახელად

და საიდუმლოდ სად რა
დანერა, დაბადების წინ
მან ღმერთს რა უთხრა,

ნეტავ კი გამყვეს იქ, ჩემი
რწმენა, როცა დავიწყებ
თვალის დახუჭვას.

11 აპრილი 2012

ახლა მთავარია ჭკუიდან არ გადადგე,
 რადგან ახლა გეტყვი მართლა რა ხდება,
 არა თუ ესიზმრები შენივე თავს, არამედ
 ისიც შენივე სიზმრებად, მიმოიფანტება

მთელ სამყაროში და ვისაც ხედავ შენი
 სიზმარია. შენ ჩემ სიზმარში დღესაც
 გამოჩნდი და როგორც ადრე, ისევე
 მიხარია, ასე უსასრულო დანახვა ჩვენი.

უდროონი კი სხვა დროს ვიქნებით, დასაწყისს
 მივაგნებთ სულ, სულ ბოლოდან, თუ დავინახავთ
 ისევე ერთმანეთს, გამოღვიძების, როცა დრო მოვა.

12 აპრილი 2012

გახდი ვინც იყავი დაბადებისას. შენი ბავშვობისას,
როგორიც იყავი, როცა უკვდავი იყავი, ისეთი გახდი.
ქრება სინამდვილე და ქრება სიზმარი. ქრება.

დრო არ არსებობს და არც სიბერე. სიკვდილი,
რალაციით მაინც გავს სიზმარს. დღეს დილას
შენ სიზმარს წერილი მივწერე. მან იცის ვინც ვარ.

ყოველთვის იცოდა. შენგან, რომ წავედი იცოდა ესეც.
იცოდა ისიც რა უნდა მეთქვა. მოსვლა და წასვლა
მაოცებს წამების და ის სიზმარიც მაბრუნებს შენთან.

12 აპრილი 2012

ერთმანეთისკენ და სამოთხისკენ

მოვიდა დრო, გავიგოთ სიმართლე. ჰო.
 რა მოხდა მაშინ და რა ხდება ახლა. მართლა.
 და თუ სიმართლით, მომავალს მივაღწევთ, გთხოვ,
 მკაცრად ნუ განმსჯი, საერთოდ ნუ განმსჯი, გვნათლავს,

წყალით და ცეცხლით, მიწით და ჰაერით, ღმერთი.
 ნათლობა მისი სინამდვილეა და სიმართლეა. ჰო.
 თუ კი ავმალდით, მის სიმაღლემდე ავედით, გეტყვი,
 ის თურმე აქვია, სხვა მას სიმაღლე არა ჰქონია, დროს,

ყოველთვის ერთი რამ ახასიათებს. ყველგან.
 ის მიისწრაფის ამოწურვამდე, რატომღაც ასეა. დღემდე.
 მომავლის სული, სათითაოდ, ყველა წინადღეს ედგა,
 ყველა ცუდ სიზმარს, ცუდი ლექსივით, ერთი ფასი აქვს,
 ვხევდე,

მინდა მათ ვხევდე, ვაცამტვერებდე, მტვერიდან ცამდე,
 ასეც ვაკეთებ, მაგრამ ახლა, მოვიდა დრო გავიგოთ, რა ვქნათ.
 ასე ცალ-ცალკე, ზოგჯერ ერთი პეშვით, ორივე ვსვამდეთ,
 ერთმანეთისკენ და სამოთხისკენ, ჩვენი ასვლა დაიწყოს
 მართლაც.

13 აპრილი 2012

ჩემთვის საქულველი

ბევრი ილუზიონისტი, არასდროს გატყუებთ,
თუ ის ნამდვილი ილუზიონისტია,
ის გეუბნებათ: „ეს ის არაა რასაც
თქვენ ხედავთ.“

ბევრი მღვდელი კი გატყუებთ
და ერთნაირი ტყუილით მოგმართავთ,
ყველას ერთნაირად, მონებს და
მხევალებს.

სუნი სიმყრალის ყველგან ააღწევს,
ყველგან ჩააღწევს, ნეტავ სად გარბიან
ყროლას აყოლილნი...

ღმერთო შენ იცი და ალბათ მეც,
ამ ყველაფერში რა სიყალბეა,
თავბრუსხვევასავით უცებ
წამომივლის,

ზოგჯერ სიმარტოვე და ბედნიერი ვარ,
როცა აღმოვაჩენ, ისევ თავიდან და ისევ
ჩემში.

რა სიმშვიდეა, ქკუიდან შემშლის,
რამე ხმაური.

14 აპრილი 2012

უკვე სამუდამოდ

აღდგომა.
 ჩვენ ისევ შევხვდით.
 ჩვენმა შეხვედრამ სიმშვიდე მოგვცა.
 რიჟრაჟი შორეთს ისევ ალღობდა.
 ჯერ ისევ ბნელოდა დასალიერზე,
 ყველგან და არსად,
 მაგრამ აღდგომა, ჩემკენ მოდიოდა...
 მან დააარსა,
 სინათლე ჩემი.
 იქ ბაღი იყო, იქვე ახლოს,
 სადაც ეს მოხდა... კრძალვა... აღდგომა...
 და ის ბაღი კი, ახლა ჩემშია.
 სიკვდილს მინათებს და საიდუმლოს
 და სულ მაცოცხლებს უკვე
 სამუდამოდ...
 სინათლენი კვლავ სინათლეებს
 სულში ერთვინან.

15 აპრილი 2012

შემოინერა

გარიჟრაჟისას სიჩუმის წიაღში,
ჩემს ირგვლივ წრე შემოინერა.
წრე შემოინახა შუქებგამჭვირვალე.
სისხლში შემივიდა ზეცა სხივფერთა.
ხელები მომხვიე, სული გამიხარე.
დადგა აღდგომა.

15 აპრილი 2012

იფანტებთან

სიმართლეს ვერავინ გეტყვის.
რადგან პასუხი ყველა კითხვაზე,
მთელ სამყაროში,
იცი მხოლოდ შენ
და ყოველთვის იცოდი
და ყოველთვის გეცოდინება
და ხმამაღლა ვერ ამბობ,
რადგან ჯერ კიდევ არ გჯერა ამის.
იფანტებთან სიტყვები წიგნებად
და მათი კითხვით დროც სადღაც
გადის.

15 აპრილი 2012

შუენი დადგნენ ჩემ გარშემო.
 მიიღე.
 გადასხივდნენ ყველა მხარეს.
 მიიღე.
 სული ჩემი შენც გაჩვენო.
 მიიღე.
 დაგამშვიდებს. გაგახარებს.
 მიიღე.
 უსასრულოდ გამჭვირვალე.
 მიიღე.
 უსასრულოდ სიტყვიერი.
 მიიღე.
 უსასრულოდ არსებითი.
 მიიღე.
 და არსებით უსასრულო.
 მიიღე.
 და მდიდარი სინათლეთი.
 მიიღე.
 განემდიდრა სხივთა ფერს.
 მიიღე.

სულ თავისთან მიმაფრენდა.
მიიღე.
და ამწამსაც მიმაფრენს.
მიიღე.
შუქნი, შუქნი ჩვენ გარშემო.
მიიღე.
მე შენ გჩუქნი მათ იდეას.
მიიღე.
უსასრულოდ წრფელი შუქნი.
მიიღე.
გჩუქნი, გჩუქნი, დღესვე გჩუქნი.
სიმშვიდე.

16 აპრილი 2012

მშვიდობით რუბი თიუსდეი

...როგორც გნატრობდი, ისევ მოგინატრებ...

... მერე შენ წახვალ და ასე იტყვი:
 „მშვიდობით, მშვიდობით რუბი თიუსდეი...“
 რა იცი იქნებ ჩვენ ისევ შევხვდეთ?
 სამყაროს ზღვარზე ახლა თუ დგები,
 შენამდე ვინც იდგა, გახსოვდეს მერეც...

ახალი დღეები... ახალი წლები...
 ბევრი რამე ვთქვით, ბევრსაც ვიტყოდით,
 განსაკუთრებული თითქოს სიტბოთი,
 ჩვენ მუდამ ვცოცხლობთ, ხანდახან ვკვდებით,
 სწორედ ასეთ დროს, ვამბობთ მშვიდობით...

სწორედ ასეთ დროს რაღაცა ხდება,
 სწორედ ასეთ დროს ჩვენ აღმოვაჩენთ,
 როგორ იკვრება სიჩუმე ხმებად,
 თუ ისევ გნახავ გეტყვი დანარჩენს,
 რამე განაჩენს ჩვენ თითქოს ველით...

შენ ახსნი თვალებს და გაშლი ხელებს,
რა მალე გადის დრო მეგობარო,
რუბი თიუსდეი კვლავ წაიმღერე,
კვლავ შევისხვედროთ იქნებ ერთმანეთი,
ჩვენ ხომ არ ვიცით რა გველის მერე...

19 აპრილი 2012

წიგნების თაროს

მნამს შინაარსი ჩვენი სახელების.
 თანამიმდევრობით ზევით ავდივართ.
 შენ მარტო აღარ ხარ.

თუნდაც უთქმელი ან თუნდაც ნახსენები,
 სიკვდილს, სახელდებით, სულით სიცოცხლეთა,
 სულით სიტყვათა

შევსიზმარცხადეთ ერთმანეთს ისე,
 როგორც ეცხადება სამყარო ვარსკვლავს.
 ო ის ნათება სულს ნათლით ივსებს.
 შინაარსს თავისს არასდროს კარგავს,

საიდანაც კი სიტყვები თრთიან.
 მათი შინაარსით ჩვენ სული გვიდგას.
 ერთი გენი აქვს ნაწილს და მთლიანს.
 ერთი გენი აქვს სიცხადეს, სიზმარს.

ერთი გენი აქვს მშვენიერებას.
 მშვენიერება შენს იერს ერქვას.

ოჰ უტკბილესო ჩემო მეგობარო.

23 აპრილი 2012

სიცოცხლის ნიშანი

სიცოცხლის ნიშანი მაშინ გეტყობა,
როცა გიხარია თვითონ სიცოცხლე.
მინდა ვიცოდე თუ მართლა ცოცხლობ,
მთელი სიმართლე მინდა ვიცოდე.
მესმის რას ნიშნავს მთელი სიმართლე.

არა ნახევარი. არა მეასედი.
არც უმცირესი ნაწილი მისი.
დაგვიანებას ყოველთვის ვასწრებდი,
ვიცოდი ვინ ვარ და ახლაც ვიცი
და ალბათ მეტიც მეცოდინება.

რადგან დრო გადის, ბევრი ჩვენგანიც,
კვალს ან დავამჩნევთ, ანდა მივაშლით.
ახლაც კი ვხედავ, ყოველთვის ვხედავდი,
ვინ ვართ ყველანი ჩვენივე ნიშანით,
ვკარგავთ ან ვპოულობთ ისევ ერთმანეთს,

რა საიდუმლო აქვს თვითონ სიცოცხლეს,
სიკვდილის მერე გავიგებ ვიცი,
მაგრამ მანამდეც მინდა ვიცოდე,
რა საიდუმლო აქვს თვითონ სიცოცხლეს,
მე მას ვატარებ ჩემივე ნიშნით.

28 აპრილი 2012

ღია კარი ვარ ღია გულთათვის

ჩემზე ფიქრობდი და მეც მოვედი.
 ღია კარი ვარ ღია გულთათვის.
 თუ ვიკეტები, მხოლოდ დროებით.
 რადგან მიყვარხარ გიჟად ნუ ჩამთვლი.
 ნურც ნაადრევად მემშვიდობები.

ხანდახან სიზმარი მიაგავს აისს.
 რადგან დრო ისევ, ისევ ბევრი გვაქვს
 და ისევ ის დრო, ცოტაა მაინც,
 დრო არც არსებობს, მითხრა ვილაცამ,
 ნახვილდე გინდა, არ იცი საით.

ხანდახან სიცხადეც მიაგავს ნახატს.
 რადგან წრე არის თითქოს შენს ირგვლივ.
 წრის შუაგულში შენ თვითონ დგახარ,
 სიტყვები ჩემი გიხმობენ იქით
 და ერთი სიტყვა ძველსა და ახალს

სივრცეებს გიშლის სიმშვიდის ნიჭით,
 დროებას ჯობნის და გაძლევს იმედს,
 იცი რომელიც, შენ კარგად იცი,
 იმედნი მიდიან? მითია, მიღვეს
 მე აქვე თოფი, გაისვრის ისიც.

29 აპრილი 2012

იცი

შენ სულში ივანებს სიჩუმის ხმა.
ჩემო უტკბილესო. ჩემო მეგობარო.
შენკენ მოვისწრაფი, ვჩქარობ,
სულ ვჩქარობ, ჩემო მეგობარო,
ჩემო მეგობარო.

შენ სულში ივანებს ხმების
სიჩუმეც. ჩემო მშვენიერო
და უძვირფასესო. მსურს დავანესო
მე შენი ქება. მსურს დავანესო,
მსურს დავანესო.

ქებას ექნება ნება შექების.
ძღვენი გეძღვენება ვნების გარეშე.
მე ჩემი ვნებით რა არ შევქმენი
და აღტაცებაც მქონია ბევრჯერ.
გადიდებ იცი.

30 აპრილი 2012

ქველ ნივთიებათან

თუ ერთმანეთისგან გავიხიზნებით,
 შევებას ვიპოვნით ერთმანეთისგან?
 თუ ერთმანეთისკენ შემოვბრუნდებით,
 რას დავინახავთ? ერთმანეთს?
 არა.

ჩვენ დავინახავთ ჩვენივე თავს,
 სიტყვებს სიჩუმე ჯერ არ ეღირსათ,
 სულ ვლაპარაკობთ, სიჩუმე ჩანს,
 სადღაც მოშორებით ჩვენგან ჯერ
 კიდევ.

მე თავქვე ვეკიდე, შენთვის, მე ვიცი.
 ასე თავდაყირა ზარივით ვეკიდე,
 გავიხიზნებით ცხადით, სიზმრებით,
 ერთმანეთისგან შორს ვართ ჯერ კიდევ.

მე კი მსურს გაქრეს, ჩვენი სიშორე,
 ემგვანოს აისებს ოქროს სიყვითლე,
 თუ გეახლოვე ან განგეშორე
 და ღრუბელივით თუ ვიტვიტვივე,

ზუსტად შუაგზაზე, ზუსტად შუაში,
თუ კი გავქრებით ვიქნებით ყველგან,
აქ ყველა საგანი იყო სულიერი,
შენი აქყოფნით მათ სული ედგათ.

მორწმუნებებმაც დატოვეს ადგილი,
შენი აქყოფნით იყვნენ სულიერნი.

1 მაისი 2012

სული გაღნარად

იასამნების სუნი დგას,
როცა ვერ გხედავ მეიასამნები.
ყოველი, ყოველი სუნთქვიდან,
ყოველთვის იასამნებით,
მენუგეშება რაღაც ძვირფასი.

მოელტვის ჩემ სულს შენი ხმაც.
დაბნეული ვარ. უაზროდ.
თითქოს დღეს მინა შეინძრა,
თითქოს ცაღ გატყდა შუაზე
და მე სადა ვარ არ ვიცი.

თითქოს აქ იასამნების,
სურნელიც თვით სიმბოლოა,
რაღაც უთქმელის სიმბოლო,
ნუთუ ყველაფერს ბოლო აქვს
და სურნელობენ სიზმარნიც.

და ყველაფერი მთავრდება
და სურნელებაც გაქრება,
დავდებ სიცოცხლეს თავდებად,
იასამანთა საქებად
და საკოცნელად ყოველი სუნთქვის.

ოღონდ ეს წამი არ გაქრეს.
ამწამის ნელსურნელება.
ჩემ სულში დარჩეს სადამდეც
დავიტევე, ჩემ სულს ენება
იასამნების ემგვანოს ბაღნარს.

1 მაისი 2012

ლილეო, ლაილა, ლილე.
 მომაჯადოვა ყოველმა ბგერამ.
 მომაჯადოვა შენმა სიტყვებმა.
 ლილეო, ლაილა, ლილე.
 სიჩუმე ამბავს მიყვება.
 სიჩუმეს მინდა მიყვებე
 და სულ გიყურო
 და შეგეხორცო
 და შეგისუნთქო
 და გავხდე შენ.
 ლილეო, ლაილა, ლილე.
 სამყარო, სიზმრებს ფენს.
 დილიდან გვიანლამემდე.
 ყოველთვის, ყოველთვის შენ,
 მსურს გესხივოსნო, გაქებდე.
 ლილეო, ლაილა, ლილე.
 მოქარგული ხარ ლურჯი ჩრდილებით.
 ასე ღრმა არის, შავი მენამული მზერა.
 მე მის სიღრმეში სიჩუმეს ვისმენ.
 სიჩუმის, იცი, ღმერთივით მჯერა.
 ის მეტყველია.

3 მაისი 2012

Venus Project

მხიბლავს იდეა ვენუს პროექტის.
იცი რაზეა აქ ლაპარაკი?
სამყარო ფულის და ომის გარეშე.
სამყარო ყველაფრით თავისუფალი.
თუ დავიჯერეთ და ავაშენეთ.

თუ ასე მოხდა, ჩვენ მოვესწრებით?
აღთქმულ მიწაზე შევადგამთ ნაბიჯს?
სამყარო ტყუილის, ტკივილის გარეშე.
არ ვიცი სად ვარ. არ ვიცი რა მჭირს.
ტვინში სიზმრების მომკლავს თარეში.

მინდა გაგვიმართლოს, თუ გამართლებას
ახლა და ამწამს ერთად ვიმსახურებთ,
როცა შენთან ვარ მალე თენდება,
მთვარის ყელსაბამს და მზის საყურეს,
პლანეტებს, ორბიტებს, ღმერთის ბეჭდებად

ხანდახან ვხედავ და სხივებს ვამგვანებ
და მერე ღამე, ისევ ლურჯდება,
მთელი სამყარო ვარსკვლავთნამნამებს,
როცა კი დახრის და მტვერს ხურჯნებად
მიწაზე ჩამოდგამს, ჩამოაცამტვერებს,

ჩვენ ალბათ გავექრებით, ამის დროც მოვა,
არ ვითვლი, მაგრამ კიდევ რამდენი
კოცნა დაგვრჩება, ვნების მგოსნობად,
ან საჭირო წამს ჩვენ სად დავდგებით,
მთელი სამყაროც, როცა გონს მოვა...

ო მეგობარო, ჩვენ უკვე ვქრებით...

4 მაისი 2012

იასამნისფერ ანგელოზს
ჩემი სრულყოფის ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
სამართლიანობა სისასტიკეა დეფ.“

ლურჯ ანგელოზს
ჩემი თავისუფლების ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
გონება ეშმაკობაა დეფ.“

ცისფერ ანგელოზს
ჩემი სიზმრების ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
ძალაუფლება ძალადობაა დეფ.“

მწვანე ანგელოზს
ჩემი სიმშვიდის ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
ღირსება ამპარტავნებაა დეფ.“

ყვითელ ანგელოზს
ჩემი რწმენის ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
სიმდიდრე ანგარებაა დეფ.“

ნარინჯისფერ ანგელოზს
ჩემი ბავშვობის ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
აღრზდა თვალთმაქცობაა დეფ.“

წითელ ანგელოზს
ჩემი სიცოცხლის ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
რწმენა ილუზიაა დეფ.“

თეთრ ანგელოზს
ჩემი მეტყველების ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
სიმართლე განქიქებაა დეფ.“

რუხ ანგელოზს
ჩემი სიკვდილის ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
ქება სიყალბეა დეფ.“

შავ ანგელოზს
ჩემი საიდუმლოს ნიშანი დააქვს.
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,
შენ არ გაჩნდებოდი დეფ.“

უფერო ანგელოზს
ჩემი სულის ნიშანი დააქვს.
ის გამჭვირვალეა და მან მითხრა:
„სიყავრულია ერთადერთი,
ვინც გარდაგსახავს,
ფერისცვალებას განგაცდევინებს,
დღეს

და შენ ეს იცი ჩვენზე კარგად
და შენ აქამდე მოხვედი.
დრომ სათვალავი დაკარგა.
ჩვენ ვართ შენს ირგვლივ თორმეტნი.“

16 მაისი 2012

“David Dephy presided over by the iconic Laurie Anderson... Sublime alchemy... David Dephy's voice rises clear and distinct through... “This poem “21 Ritual Kisses” is beyond gorgeous... His work reflects westernized influences in play with the Georgian language and includes performance art, music, poetry, and novels. Dephy's love of language and rhyme is contagious...”

Joy Stoke. Wild River Review's Editor in Chief. New York

“That's great. That's beautiful.”

Laurie Anderson

“The Second Skin, the new worlds poets... Majestic live show... Stunning... One of our periods's most significant and individual voices... Dazzling.”

New York Times Book Review

“Before The End. Best European Fiction 2012 edited by Aleksander Hemon - Dephy intersperses death's comments with short, sharp paragraphs describing the approaching bullets. These sentences are terse and virtually devoid of metaphor or simile, juxtaposing neatly with the more grandiose statements of death. The grandness of death-as-a-figure abuts neatly with the mechanical, purely expository descriptions of encroaching violence.

Refuses to romanticise the death of this one nameless soldier, nor does it fall into literary abstraction in the manner of Borges (admittedly a remarkably different story in tone and content, though it's hard not to keep it in mind as one reads Dephy's work – and, pleasantly, Dephy's story holds up well in comparison). Instead it functions as a castigation of the ravenous machinery of violence and death, promising solace to those who have died while simultaneously wishing that this could be, perhaps, an end to it all.”

Damian Kelleher. Literary reviews and essays

“Dephy - the very remarkable poet and a great performer.”

Laszlo Jakab Orsos. Director of the PEN World Voices New York

“Dephy adeptly builds up the perception. Dephy's “The Chair” examines the horror and fascination a creator feels toward his talent. It is easy, I suppose, to hold an artist of genius high and declare their weaknesses small and their successes large. Please, if you happen to see this story in a magazine or short collection somewhere, snap it up.”

Damian Kelleher. Literary reviews and essays

“His artistic world is very rich. David Dephy is known as a master of the word. I personally find his works to be extremely unique and attractive. He is often called a glam writer, a new worlds poet because of his exquisite, delicate manner of writing visionary and philosophical connotations of his novels and poems. At the same time he is an extraordinary intellectual poet and novelist who has a commercial, public and literary success as well.”

Gaga Lomidze. Head of Dept. of Literary Studies and Comparative Literature Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“David Dephy from Georgia gives us "Before the End," a slowed-down account of a man before a firing squad. As the bullets near him, he is told by death that in wartime, no one is responsible. War justifies everybody's death.”

Anna Clark. The USA Video Book Review

“The open space and microcosmos and all of this is much better illustrated in the lines of David Dephy's poem, “21 Ritual Kisses”: “I kissed the rain right in the rainbow/I kissed the fire right in the ashes/ I also kissed you, right inside of me and the poetry, in the silence, with my word and my spirit...”

New York Yoga City Review

“I'd like to thank David Dephy in the name of all presented there students for the unforgettable evening at Conservatoire Chamber Hall. These were the unique minutes filled with magical, magnetic poetry indeed and also with the subtle poetic philosophy”.

Kato Verkhviashvili. Tbilisi State Conservatoire Review

“Thank you, for your works, your voice, your music...”

Yusef Komunyakaa

“Before The End. Best European Fiction 2012 edited by Aleksander Hemon... So Dephy slow-runs the final moments from when the firing squad

shoots to sometime shortly after the bullets impact through the chest and head of our unnamed first person protagonist. What will we each learn ‘Before The End’? And will we all learn the same essential truth? Is it a new truth, a revelation? or is it something we already know, or should have known but have perhaps refused or denied? Or do we each learn an individually needed truth?”

Threesixfivestory Word Press Review New York

“David Dephy is a cult poet and innovator novelist of the new Georgian generation and author of the ‘STOP RUSSIA’ the famous slogan.”

Scott Morris. Oh Shillings Review

“His writing has been praised by critics as being full of innovative ideas and new sounds.”

Dalkey Archive Press

“David Dephy’s novel “The Gardens And The Pandemonium” issued in 2010 was assessed as a novel manifest, drama, full of emotions and mystery. The author pictures the events of the August war with documentary preciseness, shows Russia’s felonious actions narrates about bravery of the

Georgian army and about the fatal love of the captain of the military unit consisting of 100 soldiers – George Sardlishvili.

A strange light, dream in the novel produces encoded images in the unconscious of the personages. The main characters seek the explanation of the symbols of these images in the conscious. According to the novel the gardens (most often associated with peace, happiness) is an inner world of each Georgian. The August war intruded into this world bringing fear, shock and reflections. The really amazing work.”

**Prof. Ekaterine Navrozashvili Ph.D The Romualdo Del Bianco
Foundation European Security and Caucasus**

“I look up my friend David Dephy, whom I met at a writers’ residency this past spring at Ledig House in Ghent, New York. Dephy took part in this year’s PEN World Voices Festival of International Literature, where Laurie Anderson accompanied him on violin as he read from his work. Dephy’s short story Before the End was included in the 2012 edition of Best European Fiction (Dalkey Archive Press, ed. by Aleksander Hemon). Dephy’s work—a stark and surreal story.”

**Andrea Scrima. The autor of ‘A Lesser Day’
The European Literary Review**

“In his works happens something very special. This is newest happening in contemporary culture.”

Kaki Kenchoshvili. National Library of Georgia

“There is a Poet in Georgia, who represents a true feeling of past, modern and future understanding and feeling of life. He, who suffers and loves, sacrifices and gains, composes and shares, builds and develops...There is Mr. David Dephy, A Master and Navigator, A brand...Please , listen to him...”

**Kakha Jelia. Researcher in history and simbols. Geographer.
The Unknown Caucasus Review**

"Every great writer is, above all, a great reader. David Dephy is a true demonstration of that. His stories like “Words +Words Words”, “The Chair” and “Before the End” show not only a powerful prose but also a very sensible vision of the world. A writer the Brazilian reader will certainly appreciate".

Fabio Guimaraes Bensoussan. Biblioteca Do Fabio Review

“Verses that practically sizzle and spark with intelligence... Stylistically energetic, emotionally moving.”

Philadelphia Inquirer

“Extraordinary and Mystical.”

Poetry

“Incandescent and richest talent.”

New York Bookforum

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტი“